

# ქვეყნის გზები



საქართველოს  
მხარეთა  
კავშირის  
გაზეთი  
№3 (299)

15 მარტი -  
15 აპრილი 2023

ფასი 150 ლარი

გაეროს  
თემატიკა



## გვესაუბრება სოსო სიბუა

ლენა სხვა დროს და როგორია თქვენი პროგნოზი?

- ტექნიკის პროგრესმა, კომპიუტერმა, საერთაშორისო კონფლიქტებმა ანუ ოცნების პრაქტიკულმა რეალიზებამ გაანელა ინტერესი სიტყვაში მოქცეული იდეებისა და ფორმებისადმი.

მწერლობა პოპულარული გახდა ბექდვიით სიტყვით მეოხებით მე-19 საუკუნის მეორე ნახევრიდან. გვახსოვს, როგორი დიდი იყო ინტერესი ნიგნისადმი, რა კოლოსალური ტირაჟით გამოდიოდა ლექსი, რომანი, ნოველა.

ძველ დროში, როცა ნიგნი ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა, უფრო რელიგიური ლიტერატურა იყო პოპულარული. მაგალითად, ბიბლია. წერა-კითხვის მცოდნე ადამიანები მცირე იყო და ტექსტებს უფრო ისმენდნენ, ვიდრე კითხულობდნენ. მაგალითად „ვეფხისტყაოსანს“.

ახლა არც ზეპირი სიტყვა უნდათ, არც ბექდვიითი. მასობრივი კომფორტი ცვლის ადამიანის ინტერესებს.

რა იქნება მომავალში? ეგ არავინ იცის. მაგრამ საეჭვოა ნიგნის ბუმი კვლავ განმეორდეს.

- რა ჟანრებია უფრო კითხვადი?

- კითხვადი? მე მგონი არც ერთი. დააკვირდეთ ტირაჟებს. ნიგნი, რომელიც 200 ან 300 ეგზემპლარი გამოიცემა, როგორ იქნება პოპულარული ან რა ზეგავლენას მოახდენს საზოგადოებაზე. მისი გამოცემა შეუმჩნეველად ჩაივლის. მით უმეტეს, რომ ტელევიზიის კარები დახშულია მწერლობისათვის და ვერც ვერავინ იგებს - რა გამოიცა.

რეკლამა სჭირდება ყველაფერს, ცხადია, ნიგნსაც.

გარდა ამისა, არსებობს ნიგნის რეალიზების და გავრცელების პრობლემაც. ადრე ამ საკითხს აგვარებდა საქნიგნი. ახლა თავად ავტორმა უნდა მოახერხოს, რაც შეუძლებელია. ზოგი ჩივის, ნიგნი გაძვირდა. ეს არაა მიზეზი. გაძვირდა ყველაფერი და შესაბამისად - ნიგნიც. ინტერესის გაქრობა გაძვირებას არ გამოუწვევია.

წარმოიდგინეთ, რამხელა შრომა სჭირდება „ვეფხისტყაოსნის“ ან რელიგიური ტექსტების გადაწერას, როგორი ფანატიკოსები იყვნენ ჩვე-

ნი წინაპრები. ბექდვის გაიოლებამ კიდევლი ინტერესი და სიყვარული გააუფასურა ანუ როგორც ამბობს რუსთაველი - „ოდეს ტურფა გაიფდეს“.

- ასეთ ვითარებაში რომელ მწერლებს აქვთ შანსი, რომ დროს გაუძლონ?

- ახლო წარსულში ყველაზე კითხვადი იყო პროზა, რომელიც უზარმაზარი ტირაჟით გამოიცემოდა და სწრაფად ქრებოდა ნიგნების დახლებიდან. გამოდიოდა ნიგნები ხელმწიფით და მსურველთა ნაკადს ვერ აკმაყოფილებდნენ, ნიგნის შეძენის მსურველთა კონტინგენტი იმდენად დიდი იყო, ბევრი გულდანწყვტილი რჩებოდა.

მაგრამ აქ ჩვენ უნდა განვასხვავოთ მყიდველი და მკითხველი. მყიდველი ბევრი იყო, მკითხველი - ცოტა, განსაკუთრებით პოეზიისა. ნიგნი იყო ქცეული კომფორტის ნაწილად, როგორც ორიგინალური, ისე თარგმნილი. ყველა ცდილობდა, კლასიკოსთა თუ ცნობილ თანამედროვეთა ტომეულები შეეძინა. ნაკითხვა არ იყო აუცილებელი. მაგრამ ბავშვი იზრდებოდა ნიგნიერების ატმოსფეროში და მისი ინტერესები მეტნაკლებად იყო განსაზღვრული მშობლიური ტრადიციებით, სიტყვიერი კულტურით.

- როგორ ფიქრობთ, ეგრეთ წოდებული „პოსტმოდერნიზმი“ ლიტერატურულ მოვლენებს ესიტყვებოდა თუ ხელოვნური, ყურით მოთრეული ტერმინი იყო?

- გავრცელება და პოპულარობა ნიგნის ღირსებაზე გავლენას ვერ იქონიებს. ნამდვილი ლიტერატურა დროს გაუძლებს და დამფასებელსაც მოიპოვებს. სხვა მასკულტურა და სხვა ელიტარული კულტურა, რომელიც პოპულარული არც არასოდეს ყოფილა.

მწერლობა მუდამ აღმავალი სახით არ მიემართება. მასაც აქვს აღმასვლის და დაქვეითების პერიოდები. ეს გულსატკენია, მაგრამ ყველა პროცესს ახლავს ამგვარი ცვალებადობა.

ნამდვილი მწერლობა იქმნება დღესაც, ოღონდ არა ისეთი ინტენსივობით, როგორც მე-20 საუკუნის დასაწყისში.

განსაკუთრებით მძიმე სურათია პოეზიის სფეროში. ყველა პენსიონერი, შეყვარებული წერს ლექსებს და დებს ფეისბუქზე. მათი სიმრავლე კიდევ უფრო აბნევს მკითხველს. გამოდის მცირეტირაჟიანი უამრავი ნიგნი.

თურმე საქართველოში ყოფილა 20 000 ავტორი!

როგორც წერდა სიმონ ჩიქოვანი - „უსაქმობით მელექსენი მრავლდებიან“.

- ახლახან ზოგი „კირკიმალა“ ლიტერატურისმცოდნე „პოსტმოდერნიზმის“ ნაცვლად ტერმინ „ბურუსიანი რეალიზმი“ დამკვიდრებას ცდილობს. ეს რაღა დარღუბალაა?

- თავად ავტორები ხმაურობენ ხოლმე, იმეორებენ ახალ ტერმინებს, რომ ამით ყურადღება მიიქციონ. როცა არ ფასობს ესთეტიზმი, მის ადგილს იკავებს ანტიესთეტიზმი და ვულგარული სტილი. ადრე მწერლები თავს იკლავდნენ ენის გაძლიერებისა და გამრავალფეროვნებისათვის, სიახლეთა მისაღწევად. ახლა მოკლე გზაა არჩეული — ენის დამსხვრევა, ვულგარობა, ტრადიციების ხელყოფა, სინამდვილის იმიტაცია. ამას „პოსტმოდერნიზმს“ არქმევენ.

მკითხველს ტერმინები არ აინტერესებს და როცა სადმე იგი ესწრაფვის აზრისა და გრძნობების სიმძაფრეს. სიტყვებით, ჟანრებით, სახეებით თამაში ცხადყოფს სწორედ სათქმელის არქონას, როცა შინაგანი საქციელის შევსებას ცდილობს ასეთი ხმაურით.

ესეც თამაშის ნაწილია. ერთხანს იყო გავრცელებული სამხრეთ ამერიკული „მაგიური რეალიზმი“, რომელმაც მართლაც წარმოშვა დიდი მესიტყვენი. ახალთაობას უნდა არარსებულ სივრცეში თავის დამკვიდრება ან ამ სივრცის გამოგონება და მოაქვთ ახალ-ახალი პაროლები - მეტი ნილი ნამდვილად ბურუსიანი და ბუნდოვანი. ესეც პროცესის თანმდევი, რომელსაც უღმობელი დრო ჩვენზე მშვენივრად განმენდს და გაანულებს.

ესაუბრა მანანა გორგიშვილი

- ბატონო სოსო, რით ხსნით ხელისუფლების მხრიდან არა მარტო გულგრილ, არამედ ხშირად აშკარად აგდებულ დამოკიდებულებას მწერლობისადმი?

- მწერლობა ყველაზე მეტად არის დაკავშირებული ეროვნულ ფენომენტთან - ენასთან, ტრადიციებთან, ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებთან. მით უმეტეს ეს ეხება პატარა, დაჩაგრულ და ანექსირებულ ერებს. ამდენად იგი არ ემორჩილება გლობალიზაციის ტენდენციებს.

კომუნისტებმა მწერლობა ჩააყენეს იდეოლოგიის სამსახურში. დღეს დემოკრატიული საზოგადოება ასე ვერ მოიქცევა. ამიტომ ხდება მწერლობის იგნორირება ან იმ ნაწილის წამოწევა და დაფასება, რომელიც ახალი დროის კოსმოპოლიტური პაროლებით მოქმედებს.

გლობალიზაცია სხვადასხვა ფორმით მუდამ არსებობდა, იგი საჭირო და აუცილებელი იყო, მაგრამ - ზომიერად, რაც არ მოსპობს და არ დააზიანებს მშობლიურს. მოდერნიზმი თუ რომანტიზმი გლობალიზაციის ტენდენციების გაშლას, მაგრამ იგი ემსახურებოდა მშობლიურის გაძლიერებას და არა დაცემას.

გალაკტიონ ტაბიძე და კონსტანტინე გამსახურდია ხომ წარმოუდგენელია ევროპეიზმის გარეშე! მაგრამ დღეს პროცესები სხვადასხვანაირად ვითარდება და მწერლობა ჩრდილში ექცევა.

- თქვენ ბრძანეთ რომ ლიტერატურისადმი გაუცხოება მსოფლიო მოვლენაა. თუ ყოფილა მსგავსი მოვ-



რევაზ მიშველაძე

(დასაწყისი „მწერლის გაზეთი“ 2021 №3,4,5,6; 2022 №1,2,3,4,5; 2023 №1,2)

30/VIII-25/XIX 91

საშინელებაა, რაც თბილისში ხდება. ხელისუფლებამ მისდაუნებურად ქართველი ერი ორად გაყო და ერთ-მანეთს დაუპირისპირა.

საქართველო განსაცდელის წინაშე დადგა.

ოპოზიცია გამაგრდა უნივერსიტეტის, ცირკის, ტელევიზიისა და ფილარმონიის შენობებში.

ვიღაცები გულუბრყვილო, პოლიტიკაში გაუთვითცნობიერებელ მოქალაქეებს აქეზებენ, გაუსწორდით ქართულ ინტელიგენციასო.

რა ხდება?

26-30/IX 91

აიღეს შავნაბადა.

კიტოვანმა გვარდია ტელევიზიის შენობაში შეხიზნა. იქაა სიგუაც.

ახლა ოპოზიცია მხოლოდ ტელევიზიის შენობაშია.

26 სექტემბერს ირაკლი წერეთელმა დღის 1 საათზე გამოაცხადა: 4 საათზე შევიკრიბოთ და ზვიადის დასამხობად წავიდეთო.

მაშინვე ავგარდი კიტოვანთან და სიგუასთან; იქ იყო ირაკლიც, ეს არ ჩაიღინოთ, სისხლი დაიღვრება, ხომ არ გაგიჟდით-მეთქი. უზენაესი საბჭოსკენ წასულ ხალხს ტყვიას დაუშენენ და თავდამსხმელები თქვენ იქნებით-მეთქი.

დამიჯერეს და უარი თქვეს ამ ნაბიჯზე.

როგორც ვატყობ, ესენიც დაბნეულები არიან, ვერ გადაუწყვეტიათ, რა გააკეთონ.

მე მოვითხოვ ეროვნული ყრილობის ჩატარებას, იქ საბუთიან მსჯელობას.

სხვა ნაბიჯი (დამხობა, გადმოგდება) დამლუპველია.

ვურჩიე ეს ოპოზიციის ლიდერებს, თავს მიქნევდნენ, მაგრამ საქმე არ ჩანს.

ხელისუფლება გადადგომაზე არც ფიქრობს.

კაცმა რომ თქვას, რატომ უნდა გადადგეს?

1/X 91

ინტერვიუ მივეცი ინგლისის ტელევიზიის წარმომადგენელს.

ვთქვი, რომ პრეზიდენტის ძალით გადაყენების მომხრე არა ვარ. არ ვემხრობი ხელისუფლების იმ წარმომადგენლებს, რომლებმაც — ქართველი ერი შუაზე გახლიჩეს და ერთ-მანეთს დაუპირისპირეს-მეთქი.

ვესაუბრე ვაჟა ადამიას (რუსთაველის ძეგლის უკან მერაბ კოსტავას ეზოში), რომელსაც საქართველოს

რადიო ყოველ ათ წუთში ბანდიტად აცხადებს.

თუ ძმა ხარ, პროვოკაციას არ წამოეგო, ხალხს ტყვია არ ესროლო-მეთქი.

არაო, ბატონო რეზო, მე მხოლოდ თავდაცვის მიზნით მაქვს ეს იარაღი. ხომ ხედავთ, მთელი ინტელიგენციის დაჭერას აპირებენო.

მანქანის მართვის მონმობას უნდა „ფსიხოს“ — ცნობა და ქვეყნის

მოვიდნენ დეპუტატები. ნ. ნათაძეს და ე. შენგელაიას ეკითხებიან; სად არის კიტოვანი, ხომ დაგვპირდა, როგორც კი სისხლი დაიღვრება, კვლავ შემოვალთ თბილისში.

არ ვიცითო, მხრებს იჩეჩავენ.

გაგზავნეს დეპუტაცია (ე. შენგელაიას ხელმძღვანელობით) კიტოვანთან. შემოთვალა, ტყვია-წამალი არა მაქვსო.

მიტინგზე ირაკლი წერეთელი მოუ-

რცხილადეს შეეშინდა სასამართლოს წინ მოზღვავებული ხალხისა და არ გამოცხადდა. არც მომდენვო სამშაბათს მოვიდა.

სასამართლოდან მე და ირაკლი აბაშიძე ერთად წამოვედით. ბატონი ირაკლიც გულდამდულრულია.

5 ნოემბერს ზვიადი შეხვდა „ინტელიგენციის“ წარმომადგენლებს. დარბაზში უნიჭო ფუნქციონერები და რენეგატი, ხელმოცარული მეცნიერები ისხდნენ.

ვინმე ფოჩხუამ, რეჟისორმა ლალი ნიკოლაძემ (!) გიზო კეკელიძემ ოპოზიციური ინტელიგენციის მიმართ რეპრესიები მოითხოვეს.

ზოგი ორატორის გამოსვლა საშინელება იყო: ნ. ნათაძე და ე. შენგელაია მანქანის ქურდობაში დაადანაშაულა.

ხშირად ვეკითხები ჩემს თავს: ვის მხარეს ვარ მე?

ორივე მხარეს ხომ ქართველები დგანან.

11/XI-20/XI 91

17 ნოემბერს გალაკტიონს ასი წელი შეუსრულდა.

რადიო-ტელევიზია ხმას არ იღებს. ხელისუფლებას, ჩანს, გალაკტიონი არ ახსოვს.

ჩამოვურეკე მწერლებს, ნაცნობებს და გავედიტ გალაკტიონის ძეგლთან.

ორასამდე კაცი მოგროვდა.

ირაკლი აბაშიძეს ვთხოვე; თქვენ უხუცესი ხართ და გაუძეხით-მეთქი მიტინგს. სიამოვნებითო.

ასე რომ, მიტინგი მშვენიერი შესავალი სიტყვით გახსნა ბ-ნმა ირაკლიმ. პირველი სიტყვა მე ვთქვი. მერე გამოვიდნენ ლაშა თაბუკაშვილი, აკაკი ვასაძე, ნაირა გელაშვილი და დათო ტურაშვილი.

გამოსვლაზე უარი თქვეს ლევან სანიკიძემ, ნოდარ გურუშიძემ, ემზარ კვიციანიშვილმა, ვახტანგ ჯავახიძემ და სხვებმა.

ამ შეხვედრას ჩემთან ერთად ორგანიზატორობდა აქტიური, საქმიანი, განათლებული კობა ჯულელი.

18 ნოემბერს უნივერსიტეტის წინ თბილისის სტუდენტობის მიტინგი გაიმართა.

ბრწყინვალე მიტინგი იყო. რა მშვენიერი იყვნენ სტუდენტები.

19 ნოემბერს მცხეთაში, სოფელ მუხრანში შეხვედრა მომიწყვეს. დირექტორი ნოდარ ბლიაძე „ორპოზიციონერი“ აღმოჩნდა.

გამომსვლელები ერთხმად აღნიშნავდნენ: პირველად მიშველაძემ გააფრთხილა საქართველო მოსალოდნელი საფრთხის — ძმათა დაპირისპირების შესახებო.

სუფრასთან დიდხანს ტკბილად ვისაუბრეთ. წვეთი არ დამიღვია. იქვე მაცნობეს, დაპატიმრებულია მონარქისტი ჟორჟოლიანი.

21/XI-6/XII 91

ამხედრდნენ სტუდენტები, მაგრამ არც მათი დაჟინებული თხოვნით ათავისუფლებენ პოლიტპატიმრებს.

ჩვენ, მწერლები, ორიოდე გამონაკლისის გარდა (მაჭავარიანი, კალა-

აიშუარაზი როგორ ირწეოდა სოცალდი

მართვას არა? რატომ არ მოვითხოვეთ ჯანმრთელობის ცნობა, ზოგიერთს როცა ვირჩევდით?

2/X 91

გუმინ მუხრან მაჭავარიანმა მწერალთა კავშირი დაკეტა.

2 საათზე საათთბიროდ შეკრებილი მწერლები შენობაში არ შეგვიშვეს და იძულებული გავხდით, მიტინგი ქუჩაში ჩაგვეტარებინა.

გამოვედით: გ. ფანჯიკიძე, თ. ნივნივაძე, მე, ნ. შატაძე, ზ. კალანდია, თ. მალაფერიძე, ანზ. სალუქვაძე, ა. ვასაძე, ჯ. თითმერია, ნ. გაბრიჩიძე, დ. მჭედლური, კ. იმედაშვილი და სხვები.

დავადგინეთ: უნდობლობა გამოეცხადოს მ. მაჭავარიანს.

სასწრაფოდ დაინყოს მოლაპარაკება დაპირისპირებულ მხარეთა შორის.

მონვეულ იქნას ეროვნული ყრილობა, რომელიც განიხილავს საქართველოს ხელისუფლების ბოლო თვეების საქმიანობას.

მოვუწოდეთ სხვა შემოქმედებით კავშირებს, გამართონ ანალოგიური მიტინგები.

3,4,5/X 91

კიტოვანის და ადამიას ნაწილები ქალაქიდან გავიდნენ თუ არა, მაშინვე გამოაცხადეს ისინი დამარცხებულ პუტჩისტებად.

3-ში დილით პრეზიდენტის ძალებმა ალყა შემოარტყეს კიტოვანს (თბილისის ზღვაზე) და ცეცხლი დაუშინეს. ხალხი (ჩვენ) მაშინვე შევიკრიბეთ მთავრობის სახლთან და მოვითხოვეთ, შეენწყვიტათ ძმათამკველი ომი.

გამსახურდიას აზვირთებული ხალხის შეეშინდა და ცეცხლის შეწყვეტის ბრძანება გასცა. ღამის 2 საათზე ხალხი რომ შეთხელდა, ვიღაც პროვოკატორმა ბრძანება გასცა, ტყვიით გამასპინძლებოდნენ რუსთაველზე მდგომ ხალხს.

სასწრაფოდ აიღეს რუსთაველზე გამართული სულელური ბარიკადები. ვინც წინააღმდეგობა გაუწია, ცხვირში ძმარი ადინეს.

დილით უნივერსიტეტთან შეიკრიბა გაგიჟებული ზღვა ხალხი.

რალაც მიმართვას ხელი მოვანერეთ. შაშხანიანი გვარდიელები რუსთაველზე „ნადირობენ“ სხვის ბინებში თავშეფარებულ დემონსტრანტებზე.

წოდებდა ხალხს, დავიდრათ სასახლისკენო, მაგრამ შეშინებული ხალხი არ გაჰყვა.

დღეს (5-ში) სალამოს სესიის საგანგებო სხდომაა მოწვეული.

სესია რას გადაწყვეტს? იგი ყველა ოპოზიციონერს პუტჩისტებად გამოაცხადებს და პასუხისგებაში მისცემს.

გამთენიისას ვაჟა ადამიას მამა ვნახე.

არ ვიცი ვაჟა სად არის, ალბათ, მცირე რაზმით ტყეში გაიხიზნაო.

ის, რაც ხდება, ისტორიული დანაშაულია. არ შეიძლება, არ გვეკადრება ზვიადის დამხობა.

6-11/X 91

სესიაზე მაგრად გაიბრძოლეს „ფრაქციონერებმა“, მაგრამ მათი ხმა არავინ იღო ყურად.

აკ. ასათიანი არადემოკრატიულად აწყვეტინებდა ხმას „უმცირესობას“.

დაადგინეს, სექტემბერ-ოქტომბრის მოვლენები ჩათვალოს პუტჩად (სახელმწიფო გადატრიალების ცდა) ყველა გამომდინარე შედეგებით.

ხელისუფლებას უკვე აღარ ენდობა ბევრი, განსაკუთრებით 4-5 ოქტომბრის შემდეგ, მაგრამ ძალა ჯერ კიდევ მის ხელშია. ხომ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ორივე მხარეს ქართველები დგანან. არ შეიძლება ასე. არ არიან მართლები სიგუა და კიტოვანი.

მწერლებს გვინდოდა წაღმა (ხალხისკენ) შემოგვებრუნებინა ხელისუფლება, მაგრამ დავმარცხდით. ზვიადი ზიზლით გვიცქერის.

მეო, 8 ოქტომბერს განაცხადა, რომ გადავდგე, საქართველო არსებობას შეწყვეტსო. კანალიზაცია აღარ იმუშავებსო. იქნებ მართალია, მაგრამ პრეზიდენტმა ნერვები უნდა მოთოკოს.

12/X-10/XI 91

ვერ მოვიცალე დღიურებისთვის. თავბრუდამხვევი, გამოგნებელი ამბები ხდება.

დეპუტატმა ავთ. რცხილაძემ თ. ნივნივაძეს სასამართლოში უჩივლა.

დაინიშნა სასამართლო. მოსამართლესთან შევედით თამაზი, ნ. გრიგალაშვილი, ნ. ნათაძე და თ. ნინიძე, და მე. რა ხდება-მეთქი. მწერლის სასამართლო 1906 წლის მერე (აკაკი რომ გაასამართლეს) არ ყოფილა-მეთქი.

ძე, პეტრიაშვილი) ცუდ დღეში ვართ. არავითარი სიტყვის თავისუფლება. 5 დეკემბერს უნივერსიტეტში გალაკტიონის 100 წლის იუბილე ჩავატარეთ. როინ მეტრეველმა კარგი შესავალი სიტყვით გახსნა. კარგი რექტორია როინი. მოხსენებები წავიკითხეთ რისმაგ გორდუზიანმა, კუჭუჭი დანელიამ, აკაკი ხინთიბიძემ, სოლომონ ხუციშვილმა და მე. საღამოთი დიდი პოეზიის საღამო გავმართეთ. — ირაკლი, ზაურ ბოლქვაძე, ლია სტურუა, მიშა ქვლივიძე, ვახტანგ ჯავახიძე, ემზარ კვიციანიშვილი, გრიშა ჯულუხიძე, თემურ ჩალაბაშვილი, ნოდარ გურეშიძე, ცნობილი არტისტები — თათია ხაინდრავა, ელდინო საღარაძე, ზურაბ ცინცქალაძე და ახალგაზრდა მწერალთა წრის წევრები გამოვიდნენ. პირველი სიტყვა მე ვთქვი. კარგი საღამო გამოვიდა. 7/XII-22/XII 91 დღეს 22 დეკემბერია. მეორე დღეა ოპოზიცია მიტინგს აწყობს მთავრობის სახლთან და ცდილობს აილოს ავტობუსის ჯებირი, ოთხ წყებად რომ შემორკალვია უზენაესი საბჭოს შენობას. დღეს, დილის რვა საათიდან, როგორც რადიომ გვაუწყა, ოპოზიციამ სასახლის იერიში დაიწყო. რადიოში სროლის ხმა ისმის. გავედი მანქანით, მაგრამ რუსთაველის ძეგლის იქეთ არ გამიშვეს და უკან დავბრუნდი. ვრეკავ ტელეფონზე იმათთან, ვინც იქვე ახლომახლო ცხოვრობს. მეუბნებიან, რომ უზენაესი საბჭო ალყაშია, რომ ზვიადს წინადადებას აძლევენ, დატოვოს პრეზიდენტობის პოსტი და გადადგეს. არ შეიძლებოდა ამის გაკეთება. არა ვარ მომხრე შეიარაღებული ძალით ხელისუფლების გარეკვისა. სამაგიეროდ, კომპანიამაც ძალიან გააღიზიანა ხალხი; ქედმაღლობით, მედიდურობით, ამპარტავნობით, წამდაუნუმ „მტრების“ და „აგენტების“ ძახილით. იქნებ როგორმე მოილაპარაკონ, იქნებ სისხლი არ დაიღვაროს? მაინც ველი გონივრულ ნაბიჯს. გიზო ნიშნიანიძე მირეკავს; არიან დახოცილები და დაჭრილები. ღმერთო, გვიშველე! რა ვქნა? როცა საქმეში შაშხანა ერევა, იქ მე ვინლა მომისმენს? 23/XII-3/1 92 თურმე, რა საოცარ დროში ვცხოვრობ.

თორმეტი დღეა თბილისში ნამდვილი ომია ქართველებს შორის. იქნებ მოსკოვი ხელმძღვანელობს ამ ოპერაციას? დაილუპა სამასამდე და დაიჭრა ხუთასამდე კაცი. დანგრეულია რუსთაველის პროსპექტზე ყველა ლამაზი შენობა. დაინვა ბანკი, I სკოლა, სასტუმრო „თბილისი“, მხატვრის სახლი (ყოფილი „ინტურისტის“), კავშირგაბმულობის სახლი...

ოპოზიცია დაჟინებით მოითხოვს ზვიად გამსახურდიას გადადგომას. ილუპება საქართველო. დამნაშავე მაინც ოპოზიციაა. ზვიადს, მიუხედავად შეცდომებისა, ისტორია გაამართლებს. თავიდან ეს ყველაფერი ომობანას თამაშს ჰგავდა, მაგრამ თვალწინ მისი დაცვიდან თვრამეტი წლის ბიჭი რომ დაეცა, გულმა როგორ გაუძლო, არ გამოსულიყო და არ ეყვირა: შეჩერდით, ბავშვებს ნუ დახოცავთ, გადავდგებიო!

გადაუდგენ ბესიკ ქუთათელაძე, ივანე ჭელიძე, მურმან ომანიძე (!) ჯონი ხეცურიანი, ნოდარ გიორგაძე... 25 დეკემბერს გულმა აღარ მომიტანა და გავარღვიე ოპერასთან ცოცხალი ჯვები. თეთრი პლაში გავიხადე და ავაფრიალე. უნდა მივიდე მთავრობის სახლთან და შუაში ჩავდგე. დაე, მომკლან. ოღონდ შეჩერდნენ. ძმები ერთმანეთს ნუ დახოცავენ. ვილაცამ ხელი მტაცა და ლამის ხელში აყვანილი უკან გამომათრია. შეიძლება ორივე მხარემ გესროლოს, რეზო, ახლა ისინი სრულ ჭკუაზე არ არიანო. ვიცანი, იურისტი კარლო გოგოტიშვილია, ჩემი სტუდენტობის მეგობარი. რა დააშავე ასეთი, ჩემო უბედურო სამშობლოვ?! ახალი წელი შავად გაუთენდა საქართველოს. 30-ში კგბ-ს ჯურღმულებიდან გაათავისუფლებს ჭანტურია, იოსელიანი და ხაინდრავა. იოსელიანმა „მხედრონი“ შეკრიბა და ოპოზიციას შეუერთდა. ორი დღეა ტელევიზია ამუშავდა. უჩვენებენ, როგორ ესროლა „ომონმა“ მშვიდობიან დემონსტრაციას — 2/IX, 16/IX, 21/IX, 24/IX, 5/X-ს. დღეს გამოაცხადეს, დროებითი მთავრობა იქმნებაო. ვნახოთ... სად არის ახლა მუხრან მაჭავარიანი? 3/1-8/1 92 4 იანვარს, ღამით, 3 საათზე ზვიადი აიძულეს, თავისი ამალით ბუნკერიდან გაქცეულიყო. სომხეთში, ქალაქ იჯევანში გადავიდა თავისი ამალით... ვაი, სირცხვილო. მსოფლიოში თავი მოგვეჭრა. როგორ შეიძლებოდა პრეზიდენტის გაქცევა. 9/1-19/1 92 „ისევ აგორდა თვითმოდრავი ჭური“. ზვიად გამსახურდია სომხეთიდან ჩეჩნეთში გაფრინდა. 9 იანვარს ტელევიზიით გამოვედი და ჩემი აზრი გამოვთქვი იმის შესახებ, რაც მოხდა, რატომ მოხდა, რა შეცდომები დაუშვა გამსახურდიამ და რაში შეცდა — ოპოზიცია. მე ხომ არცერთ მხარეს არ ვამართლებ. იმთავითვე შერიგებას ვქადაგებდი. გარდაიცვალა რევაზ ინანიშვილი, დღეს ვასაფლავებთ ირაკლი აბაშიძეს. ამ ორ უძვირფასეს ცხედარს ღირსეულად ვერ დაიტვირთებს სამო-

ქალაქო ომის საფრთხის წინაშე მდგარი, დაბნეული, ცრემლგამშრალი საქართველო. მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის სხდომა გავმართეთ, როგორც იქნა. გადადგა მუხრან მაჭავარიანი, გადავაყენეთ ხუტა ბერულავა. ავირჩიეთ კომისია 15 კაცის შემადგენლობით, რომელიც უხელძღვანელებს მწერალთა კავშირი მოამზადებს ყრილობას. კომისიაში რატომღაც მეც დამასახელეს. თავმჯდომარეა გურამ ფანჯიკიძე. „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქტორად თამაზ ნივნივაძე ავირჩიეთ, „ცისკრიდან“ თეიმურაზ დოიაშვილი დავითხოვეთ და დათო მალრადე გავარედაქტორეთ, დათო ზრდილი ყმანვილია. რამ გააგიჟა ეს დინჯი და ჭკუადამჯდარი ერი? როგორ შეიძლება კერპად აქციო ვინმე? გადავხედოთ, ვინ მოვიდა ზვიადის ადგილას? კიტოვანი და ჯაბა. რომელია ზვიადზე დიდი პატრიოტი? ვისი გულისთვის იწყებენ სამოქალაქო ომს? ჭკუასუსტია ყველა, ვინც მზადაა თავის სკამისთვის საქართველოში სისხლის გუბე დააყენოს? თბილისის ომი ძალაუფლებისთვის ომი იყო. ორივე მხარეს საქართველოს პირტიტველა ავტომატიანი ბიჭები ფეხებზე ეკიდა. 20/1-30/1 92 საქართველოში სამოქალაქო ომია. ქუჩაში ავტომატიანი ბიჭი გავაჩერე. ვის უნდა ებრძოლო, შვილო, ვის უნდა ესროლო-მეთქი. იქითაც და აქეთაც მოტყუებული ქართველები არიან-მეთქი. ნუ გეშინია, ქართველებს არ ვესვრიო. დაქირავებული რუსების და ჩეჩნების ჯინი მჭირსო. ეროვნულმა გვარდიამ ბრძოლით აიღო სამტრედია, აბაშა (ქუთაისის წინააღმდეგობა არ გაუნეცია), სენაკი. ბოლოს 27-29-ში ფოთი და ზუგდიდი „დაეცა“. ზვიადი გროზნოში გაიქცა. თბილისში დემონსტრაციები გრძელდება. მოკლეს ბერდია ბერიაშვილი... ვინ რას ერჩოდა პოეტ კაცს, რა დააშავე? თოფით ხელში ვმორიგეობთ ჩვენი სახლის დასაცავად. 31-3/II 92 თბილისი კვლავ აბობოქრდა. ყოველდღე მიტინგ-მანიფესტაციებს მართავენ. მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო წესებია გამოცხადებული, ხალხი გააფთრებით მიიწვეს დროებითი მთავრობის რეზიდენციისკენ, აწყობენ პიკეტირებას, რათა სიგუა კაბინეტში არ შეუშვან, ესვრიან ქვებს, უშვერი სიტყვებით ილანძღებიან. 1 თებერვალს სპორტის სასახლეში თბილისის მცხოვრებთა კრება გაიმართა. სიტყვით გამოვედი: მერაბ ალექსიძე, მე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, გიგა ლორთქიფანიძე, ჯანსუღ

კახიძე, ბუბა კიკაბიძე, ირაკლი წერეთელი... ვთქვი: სნგ-ში შესვლის წინააღმდეგი ვარ-მეთქი, რუსის ჯარის სტატუსის შეცვლის წინააღმდეგი ვარ-მეთქი, ჩვენ დაპყრობილი, ანექსირებული ქვეყანა ვართ და რუსის ჯარს ზვიადმა სწორად მისცა ოკუპანტის სტატუსი-მეთქი. ძალადობის წინააღმდეგი ვარ-მეთქი. მე თოფით ხელში თბილისს ვდარაჯობ-მეთქი. ყველამ უნდა დავიცვათ პოლიტიკურ მაფიათაგან ჩვენი ღირსება, ჩვენი ოჯახის სინძინდე და პატიოსნება-მეთქი. ამით ჩვენ საქართველოს დავიცავთ-მეთქი. დარბაზს მოენონა, მაგრამ ტელევიზიით არ გადასცეს. ჩანს, ახალი ხელისუფლების თვალსაზრისს ზვიადზე არ ვეთანხმები, და ამიტომ. 2 თებერვალს გვარდიამ დემონსტრანტებს ესროლა. მოკლა 1, დაჭრილია 20 კაცი. ცუდი ამბავია. გამოსავალი?! 4/II-10/III 92 ათასი პრობლემა ერთად დამეცა თავზე და დღეობის საწერად ვერ მოვიცალე. ჯერ იყო და კათედრის წევრი, სათნოებით აღსავსე ქალი, ლია შატბერაშვილი, გარდამეცვალა. მერე 5 მარტს სატელეფონო მუქარა აღმისრულეს, მამისეული სახლი დამიწვეს. ვინ დაიდო ეს ცოდვა? გადაჭრით ვერავის დავაბრალე. ერთი კია: მე ვფიქრობ, ეს კიტოვანის და ჯაბას ნამოქმედარია. ისინი ხომ „შუმ“ ზვიადისტს მეძახიან. ლამის ოთხ საათზე სახლს „გაურკვეველი მიზეზებით“ (როგორც სახანძრომ დაასკვნა) ცეცხლი გაუჩნდა. დაინვა ყველაფერი. ქალაქის ნაგლეჯიც არ გადარჩა. ალბათ, მხოლოდ განგებას შეეძლო ჩემი ბებერი მშობლების და ძმის (თავისი სამი შვილით) გამოყვანა იმ სტიქიიდან. სახანძრო მოვიდა და უბენზინობის გამო წყალს ვერ ტუმბავდა თურმე. რით გავამხნევე, რა ვუთხრა ჩემებს, გაფიქრებაც კი მზარავს იმისა, რომ ეს ყოველივე ჩემი მიზეზით მოხდა. არა, ქართველი კაცი მე ასე არ გამომეტებდა. ჯერ ერთი, მე ნეიტრალურ პოზიციაზე ვიდექი თავიდანვე და მეორეც, რა შემატყვევს შევარდნაძისტებმა, რომ ჩემი დაშინება ეგრე „იოლად“ შეიძლება. სახლის დანვა რა დაშინების ან ზემოქმედების ფორმაა, ნეტავ? ნუთუ მე იმის მიხედვით შევიცვლი აზრს დიქტატორზე ან სამხედრო ხელისუფლებაზე, სახლს დამიწვავენ თუ ამიშენებენ? 9 მარტს საქართველოში შევარდნაძე დაბრუნდა. მე არ ვეკუთვნი შევარდნაძით აღფრთოვანებულთა რიცხვს. მისი „მეფობის“ წლები საქართველოში კარგად როდი მახსოვს.

ეჭვი მღრღნის, იქნებ სულ სხვა მიზნით გამოგზავნა რუსმა შევარდნაძე?

10/III-26/III 92

25-ში მწერალთა XI ყრილობა ჩავატარეთ...

„კარვის ქალებმა“ ყრილობის დაწყების წინ მოედანზე დაწვეს ჭაბუკას, მორის ფოხიშვილის, შ. ნიშნიანიძის, ოტია იოსელიანის, გ. ფანჯიკიძის, ჯანსუღის, ტ. ჭანტურიას, რ. ჭეიშვილის და სხვათა წიგნები. მათ შორის თურმე - ნ. ნათაძის რედაქტორობით გამოცემული „ვეფხისტყაოსანიც“.

ყრილობის დაწყების წინ მუხრანის განცხადებით გამოვიდა — მეო, ეს ყრილობა და საერთოდ გამოსახურდიას დამხობა უსამართლობად მიმაჩნია და მომყვებით, ვინც ჩვენთან ხართო.

უკან გაჰყვა 15-მდე კაცი. მათ შორის ხუტა, ელიზბარ ჯაველიძე, სოლომონ დემურხანაშვილი, თ. დოიაშვილი და სხვანი.

გამოვედი მოკლე სიტყვით; მწერლობის საქმე ახლა გახლეჩილი ერის გამთლიანებაა-მეთქი. თავმჯდომარედ გ. ფანჯიკიძე ავირჩიეთ, მოადგილედ — რ. ჭეიშვილი.

27/III-7/IV 92

ისევ აირია ქვეყანა (თუმცა როდის დაენყო).

რადიო აცხადებს: ზუგდიდიდან დაიძრა ზვიადის მომხრეთა 500-კაციანი ლაშქარი. დაიპყრეს აბაშა, სენაკი, ხობი, ფოთი. გამოყარეს ადგილობრივი ხელისუფლება და ზვიადისეული პრეფექტები დააბრუნესო.

თბილისიდან დაიძრა გვარდია.

„აიღეს“ ფოთი, ზუგდიდი, აბაშა, ხობი... დარბეულებმა თავი აფხაზეთს შეაფარეს. აფხაზეთმა შეიფარა ლტოლვილები და ენგურსმომდგარ გვარდიას გზა ტანკებით გადაუკეტა.

საქართველომ არ გაბედოს დამოუკიდებელი აფხაზეთის დაპყრობა, თორემ სისხლი დაიღვრება და ჩრდილოეთიდან მამველ ძალებს ვუხმობთო, არძინბამ.

„მამველნი“ ჩეჩნები და რუსები არიან.

ასე მოგვიწყობს საქმე ჩვენმა უთავობამ.

საქართველოს ისტორიის მთელს მანძილზე პირველად ვერ შევდივართ ჩვენს მიწაზე — აფხაზეთში.

ახლა კი აშკარად ჩანს, რომ ეს ომი რუსების ინსპირირებულია.

რუსის იმედი რომ არ ჰქონდეს, არძინბა რას გაბედავდა!

8/IV-12/IV 92

ათ აპრილს მწერალთა კავშირში ედუარდ შევარდნაძე გვეწვია.

თავის გამოსვლაში სამჯერ თქვა — მწერლობა ერის საამაყო ნაწილიაო.

ეს ერთგვარი რეაბილიტაცია, ცნობა იყო ქართული მწერლობისა ამ უკანასკნელი ორი წლის ფონზე — როცა ხელისუფლება მწერლობის ლანძღვის მეტს არას აკეთებდა.

სიტყვები ვთქვით: გ. ფანჯიკიძემ, რ. ჯაფარიძემ, გ. გვერდნითელმა, მე, ჯანსუღ ჩარკვიანმა, ა. სულაკაურმა, რ. ჭეიშვილმა.

მე, პირადად, კმაყოფილება გამოვთქვი ხელისუფლების წარმომადგენლის მწერალთა კავშირში მოსვლის გამო და ვკითხე: რატომ არ გვცნობს რუსეთი, ხომ არ შევდივართ სნგ-ში (თანაც გავაფრთხილე, თუ სნგ-ში შევალთ, მე ასეთ მთავრობასთან არ ვითანამშრომლებ-მეთქი), რატომ აწერია ჩვენს პასპორტებს კვლავ „გრაჟდანი სსსრ?“ რატომ არ გადის რუსის ჯარი? ნუთუ მართლაც ვერ შევალთ ჩვენს ისტორიულ მიწაზე აფხაზეთში? სანამ იქნება დახლები ცარიელი? ყველა კითხვაზე პუნქტ-პუნქტად მიპასუხა. ვერ დავმაღავ, დინჯად, აუჩქარებლად გამოვიდა.

ნუ ვიჩქარებთო, ჩვენ ურთულეს ეპოქაში ვცხოვრობთ და ყოველი ნაბიჯი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდესო.

11 აპრილს იმ შეხვედრის ჩანაწერი (შემოკლებით) ტელევიზიამ გადასცა. ესენგეში შესვლაზე ლაპარაკიც ზედმეტიაო; შევარდნაძემ, ვნახოთ, როგორ შეასრულებს დანაპირებს.

13/IV-9/IV 92

საქართველოში რუსის ორგანიზება-ნაქეზებით დივერსია დივერსიაზე ხდება.

აფეთქებენ ხიდებს, წყალსადენებს, რკინიგზებს, ცეცხლს უკიდებენ დაწესებულებებს, აშინებენ მშვიდობიან მოქალაქეებს — გაფიცვას შეუერთდით, სამუშაოდ არ გახვიდეთ, თორემ მოგსპობთო.

თბილისში, ხელისუფლებაში განხეთქილებაა. შევარდნაძე და სიგუა ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. შევარდნაძე სიგუას ადანაშაულებს უმეცრება-უმოქმედობაში და ფასების თვითნებურად ზრდაში, სიგუა კი, მე მგონი, უკმაყოფილოა იმის გამო, რომ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდეგ „მეორე პლანზე“ აღმოჩნდა. სინამდვილეში, შევარდნაძეს ბრალს სდებს რუსიფიკატორულ პოლიტიკაში.

ჯანდაბას ყველა მთავრობა, მე იმას ვდარდობ, რომ ხალხს უჭირს. ადამიანები შიმშილით იხოცებიან. გახშირდა ბანდიტიზმი, შარაგზის ყაჩაღობა, სახლებში შევარდნა გვარდიელის ფორმაში გამოწყობილი მძარცველებისა. ავტომატიანი ლანჩირაკები ქვეყანას ანიოკებენ. გამკითხველი არავინ არის.

2 მაისს ნითელწყაროში (დედოფლისწყარო) მიმინვიეს. შეხვედრაზე, რაც შემეძლო, ობიექტურად ვილაპარაკე. ახალ მთავრობასაც უკვე დავუპირისპირდი, რადგანაც ვატყობ, ქვეყანას არც ესენი შევლიან-მეთქი. ვიდაც მოხუცი ქალი შეხვედრის შემდეგ ქუჩაში გამომყვა, შვილო, თავს გაუფრთხილდიო.

„საქართველომ“ ვინმე თამარ აბულაძის წერილი გამოაქვეყნა — მიშველაძეების სახლი „გაზის მოვარდნის“ გამო დაინვაო. იძულებული გავხდი 8 მაისს გაზეთში „მეპასუხნა“ და გაზის სამმართველოდან ცნობა მომეტანა, რომ გაზის მიზეზით სახლი არ გადამწვარა, ესეც არ იყოს, მე ხომ გადაჭრი

არავისთვის დამიბრალებია. ნ. გრიგალაშვილი ვაჟკაცი ბიჭია, მაგრამ, ჩანს, შეცდომაში შეიყვანეს.

„ლიტერატურულმა საქართველომ“ მიკბინა, „სალალობო კალენდარში“ (რომლის რედაქტორიც მე ვარ) რუსთაველია „ნაბურთაველიო“. 8 მაისის „ლიტ. საქართველოში“ ვუპასუხე.

საოცარი ამბავია; გგონია, საქვეყნო საქმეს აკეთებ, დიდ პრობლემებს და ერის ბედს სჯი, შენი ჭკუით. მოგეპარება ქურდულად შურიანი ფინია და კანჭზე თავის შხამიან კბილებს ჩაგასობს.

თბილისში პროკლამაციები დაყარეს — 26 მაისამდე აჯანყებას ვაპირებთ, კანონიერი პრეზიდენტი უნდა დავაბრუნოთ და შეიარაღდით, ვისაც გული გერჩითო.

ქვეყანა სამოქალაქო ომის მიჯნაზეა.

ჰაერში დენთის სუნი ტრიალებს.

10/V-30/V 92

25-26 მაისს თბილისში ამერიკის სახელმწიფო მდივანი ბეიკერი სტუმრობდა. თან ახლდა ნატოს ჯარების სარდალი, ამერიკაში ცნობილი გენერალი ჯონი (მალხაზ) შალიკაშვილი. ბეიკერიც შევარდნაძესავით უშიშარი აღმოჩნდა. ორივენი შიშველი ხელებით მოვიდნენ რესპუბლიკის მოედანზე. გზა გაიკვლიეს ოციათას ჭრელი ორიენტაციის ქართველთა შორის და სიტყვებით გამოვიდნენ.

ჩვენ ტაშით ვხვდებოდით ბეიკერს, მაგრამ რუსეთი გაგვინანყენდა.

რუსეთი ხომ იმპერიის დაშლას ჯერ არ აპირებს.

როგორ გაბედა ურჩმა (ჯერ კიდევ თავისად გვთვლის) საქართველომ დამოუკიდებლად ბეიკერის მოწვევაო.

ადგა და იმ დღესვე ჩრდილოეთ ოსეთს დაავალა საქართველოსთვის გაზი გადაეკეტა.

მეხუთე დღეა უგაზოდ ვართ. ე.ი. საქმელს ვერ ვამზადებთ, პურს ვერ ვაცხობთ. კატასტროფული რიგებია.

მოსკოვი გვემუქრება, თუ ჭკუაზე არ მოხვალთ, დენსაც გადაგიკეტავთო.

ესეც შენი „კეთილი რუსი“.

მწერალთა კავშირში გამგეობის სხდომა გვექონდა, მიგველო თუ არა მონანილეობა საკავშირო მწერალთა ყრილობაში. ჭაბუამ და თამაზ ჭილაძემ განაცხადეს: უნდა მივილოთო. მე და აკაკი ბაქრაძე კატეგორიული წინააღმდეგი ვავედით.

ბოლოს გადაწყდა. მეთვალყურედ ორი კაცი გავაგზავნეთო.

საერთოდ, ერთხელ და სამუდამოდ ჩვენ მაინც გამოვიდეთ ამ მონური სტრუქტურებიდან, რაკი საქართველო ჯერ კიდევ ვერ გამოდის-მეთქი.

მოსკოვში, ლიტფონდის რესტორანში გაზრდილ რუსოფილებს აშკარად არ ესიამოვნათ ჩემი რადიკალიზმი.

რით დამთარვდება გაზის ბლოკადა? ნუთუ დააჩოქებს რუსეთი საქართველოს?

28 მაისს ზუგდიდიდან შევარდნაძის „გვარდია“ გამოაძევეს.

გვარდიაც სამარცხვინოდ იქცევა ამ ბოლო დროს.

ამბობენ, ჯარისკაცები ბანდიტობენ მაშინ, როცა ქართველი ხალხი უნდა დაიცვას გარეშე მტრებისგანო.

სოხუმში დააპატიმრეს მოლოდინაშვილი.

დავწერე ნოველა „ნეკროლოგი სიკვდილის მიზეზს არ იუნყებოდა“.

ჭირდება ვინმეს? არის ახლა ლიტერატურის დრო?

1/VI-15/VI 92

9-ში შემოქმედებითი კავშირების გაერთიანებული პლენუმი ჩავატარეთ. გ. ფანჯიკიძემ და გ. ლორთქიფანიძემ თ. სიგუა გააკრიტიკეს, თურმე სახელმწიფო საბჭოზე უთქვამს: თუ თეატრები და გამომცემლობები თავს ვერ ინახავენ, დავხუროთო.

11-ში ახალციხეს გავემგზავრეთ უნივერსიტეტის ძველი ავტობუსით. იქ პირველი საუნივერსიტეტო კონფერენცია ჩატარდა და მოხსენება წავიკითხე. „სამცხე-ჯავახეთი“ თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში“. მქონდა შეხვედრები იქაურ მწერლებთან, მსახიობებთან.

კონფერენცია კარგად იყო მოწყობილი.

მესხეთის უნივერსიტეტის (ჩემი წინადადებით ახალციხის უნივერსიტეტის ნაცვლად „მესხეთის უნივერსიტეტი“ უწოდეს). ახალგაზრდა რექტორი — მერაბ ბერიძე — საქმიანი, ნიჭიერი კაცია.

11 ივნისის გაზეთ „ნიგნის სამყაროში“ ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა. მესაუბრა ჟურნალისტი მზია ნარმანია. პროტესტი გამოვთქვი ე.წ. სახელმწიფო საბჭოში მწერალთა სიჭარბის წინააღმდეგ, გავაკრიტიკე სახელმწიფო საბჭოს პოზიცია თურქი მესხების ჩამოყვანასთან დაკავშირებით.

ვ. გოგუაძემ (საბჭოს მდივანი) თავდაჭერილად მაგრძნობინა, შევარდნაძეს არ ესიამოვნაო.

რა ვქნა. მთავრობების ცვლა ზოგიერთივით ჩემს პრინციპებს ვერ შემაცვლევინებს.

ივნისის პირველ რიცხვებში ტელევიზიით გამოვედი და ვთქვი: რატომ სდუმს ჩვენი მეგობარი დასავლეთი. რატომ არ უგზავნის ბეიკერი ნოტას რუსეთს გაზი რომ გადაგვიკეტა-მეთქი. ან ჩვენი სახელმწიფო საბჭო რატომ არ აკეთებს განცხადებას მსოფლიოს გასაგონად-მეთქი?

არც ეს ესიამოვნებოდა შევარდნაძე-სიგუას.

ახალციხეში გავიცანი ორი კარგი ქართველი — იური გელაშვილი და რაგული სამსონიძე. საქმის ხალხი. გელაშვილმა, სათვეზე მინდოდა გამემართა, დავინყე კიდევ ეს საქმე, მაგრამ იმდენი თოფიანი კაცი დამესია (ფულის გამოძალვის მიზნით), რომ იძულებული ვარ ან თავი დავანებო, ან ავტომატიანი მოყმე დავიჭირავო, რათა დამიცვასო. იქვე იყო ჩემი მეგობარი პროკურორი გოჩა მარტინენკო.

მინდა, თუ მშვიდობა იქნა, ორი თვით ჩავიდე მესხეთ-ჯავახეთში და ნოველების ციკლი შევქმნა.



ზაურ ბოლქვაძე

გასული საუკუნის 60-იან წლებში ამობრიალდა ლიტერატურულ ასპარეზზე მწერალთა დიდებული თაობა: ოთარ ჭილაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ზაურ ბოლქვაძე, ტარიელ ჭანტურია, ვახტანგ ჯავახიძე, თამაზ ჭილაძე, ნოდარ დუმბაძე, ნოდარ ნულიისკირი, გივი გეგეჭკორი, რეზო ჭეიშვილი... მათ თავიდან „პირველსხიველებს“, მოგვიანებით მეოცე საუკუნის სამოციანელებს ეძახდნენ. დღეს მათგან თითო-ოროლათა ცოცხალი. წავიდნენ, მაგრამ დარჩა სამოციანელთა მიერ ლიტერატურის ანუ ლიტერატურული ღრმა და წარუშლელი კვალი.

დღეს სამოციანელთა კაშკაშა ვარსკვლავს, ოთხმოცდაათი წლის ზაურ ბოლქვაძეს გავიხსენებთ.

რევაზ მიშველაძე

ბარდაცვლილი მეგობრის საფლავთან

გადაუარა ბალახმა საფლავს, სიცოცხლის წერტილს, ჩემთვის შენ როგორ არა ხარ, მე აღარა ვარ შენთვის.

\*\*\*

მესიზმრა: მუხლებზე გკოცნიდით, გვედრებოდით, ბიჭებო: „ეგება, სიკვდილი მომცილდეს, არ მოიმარჯვოთ ნიჩბები, არ მომყაროთ მინა...“

„აცალეთ!“ გიმეორებდათ სამარეც ჩემს ვედრებას და სურვილს: „აცალეთ, ნიჩბები დამალეთ, იქნებ, მოითქვას სული!“

თქვენ არ ისმინეთ, ჩქარობდით, გასაწირავი - გამწირეთ: ხელი მომკიდეთ, მინიდან მინის გულშივე ჩამძირეთ. დამმარხეთ... ყრუ ნაბიჯებით ბილიკს გაჰყევით ძლივძლივ...

ასე მესიზმრა, ბიჭებო, ასეც იქნება, ვიცი.

\*\*\*

რუსმა დაგვიპყრო, რუსმა დაგვაბნა, - ამ თეთრმა დათვმა უზარმაზარმა!.. უაფხაზეთოდ, უსამაჩაბლოდ ვართ და არ ძალგვიძს, ვიყოთ სხვაგვარად!..

\*\*\*

კაცთ მისი სისხლის შესთხოვდა წვეთი, ევედრებოდნენ თვალები სველი: „ამაგებინეთ ცხოველი სვეტი, მერე მომჭერთ მარჯვენა ხელი!..“

ჯერ მათქმევინეთ სიმღერა ჩემი, მზიური აზრი მასმინეთ ღმერთის! მერე გამხადეთ ბოროტი ენის და სიძულვილის უენო მსხვერპლი!

ჯერ დამაცადეთ - ავანთო კვარი, გამათბობინეთ ცივი სხეული! მერე დამფარეთ ამღვრეულ მტკვარით, გულს დამაყარეთ მინა წყეული!

ნუ შემაჩერებთ ნახევარ გზაში, მაღალ მწვერვალზე მაცალეთ ასვლა, ჯერ მაგრძობინეთ სიცოცხლის ფასი, მერე დამისვით სიცოცხლის ფასად!..

ჯერ ნუ დამიშლით, ვიფრინო ცისკენ, ციური შუქით ავივსო სული, ჯერ დავეუფლო უსაზღვრო სივრცეს, მერე მიმოხნეთ თქვენს ნება-სურვილს!“

კაცთ მისი სისხლის შესთხოვდა წვეთი, ევედრებოდნენ თვალები სველი: „ამაგებინეთ ცხოველი სვეტი, მერე მომჭერთ მარჯვენა ხელი!..“

\*\*\*

თავისუფლების ძებნაში ვკვდები, თავისუფლების ვნატრულობ მერანს, თავისუფლების ძებნაში მკვდრების აჯანყებაა მინისძვრა! - მჯერა!

მთაზი

მაოცებს მთები - დაჯანღებული და ცაში მათი ღამის თევანი... მთა არის მინა აჯანყებული - დედამინაზე დაუტევარი!

\*\*\*

მახარებს თქვენი დანახვა, თქვენი ჭიკჭიკით ვინთები!.. თქვენ ხომ ცოდვილნი არა ხართ და რატომ კვდებით, ჩიტებო?!

სიზმარი

სიელვარეში მარადზღაპრულ, საოცარ ფერთა, სად სანთლებს შუქი აკლდებოდათ მთლად ჩამოღვენთილთ, მე და სიკვდილი - ბრალმდებელი, შევედით ერთად, ანგელოსების შუა მჯდომი დაგვიხვდა ღმერთი.

სიმშვიდემ მისმა, უსიცოცხლომ, შემაკრთო ძლიერ... საუკუნენი აცვიოდა ფიფქებად თეთრად... ანგელოსებმა თვალნი აპყრეს მის მეფურ იერს; - შენი ცხოვრება მოჰყევით! - მიბრძანა ღმერთმა. - მე დავამთავრე... ვთქვი სათქმელი, რაც უნდა მეთქვა და დავაშტერდი იმქვეყნიურ ბრწყინვალე ფერებს... შეუცნობელი გაოცებით შემხედა ღმერთმა: სულ ეს იყო შენი ყოფნა?! - მკითხა და მერე ანგელოსებთან ისაუბრა დიდხანს ფარულად, ღვთიურ სახეზე მრისხანება დაეტყო დიდი, ჩემი მოყვანა ჩაუთვალა დანაშაულად, - ისევ სიცოცხლეს დაუბრუნე! - უბრძანა სიკვდილს.

ცრემლი

დახუჭულ თვალებს ჩამოწყდა ნელა, თვალებში ჩადგა მარადი ბნელი... სულ ერთი წამი იცოცხლა ცრემლმა და მერე მოკვდა პატარა ცრემლი.

უკანასკნელი სათქმელი მისი - უსიტყვოდ მოკვდა პატარა ცრემლი. ჯერ დაიკარგა წერტილი მინის და მერე გაჰქრა სამყარო მთელი.

დაცურდა ერთი ვარსკვლავი ცაში, დაანყებინა კანკალი სანთლებს... ო, რა ძნელია სიკვდილი მაშინ, როცა ერთ ცრემლში ათავსებ სათქმელს!

იქნება

იქნებ არ გინდა ჩაძირვა გემის და ისე ღელავ, ზვიადო ზღვაო?! იქნებ თოვლია ჭალარა ჩემი, გადნეს და მღვრიე ცრემლებად ვღვარო - ცრემლებად დიდი სიხარულისა... იქნებ სიმღერა შენ, ჩემი წილი, არ გემეტება, ლექსის უფალო?! იქნებ არ მიცდის სიცოცხლე ტკბილი და მიხარია ტყუილუბრალოდ?... იქნებ არ ელის დიდების სხივი ლექსებს - პოეტის სუნთქვას და ფიქრებს... იქნებ არაა სამარე ცივი და უმიზეზოდ ვკანკალებ იქნებ?!

\*\*\*

ნეტავ, ჩემი ერთი ნატვრა ახდეს და არყოფნას ყოფნად გავიფიქრებ: მსურს, მინიდან ცაში გადავსახლდე, იქნებ, ცაში ბედნიერი ვიქნე.

მსურს, ვიფრინო თეთრი ღრუბლის ზემოთ მსუბუქ ფრთებით ანგელოზი ბავშვის და, სამარის ნაცვლად, ჩავესვენო ვარსკვლავების მარადიულ ყდაში...

\*\*\*

მარადისობა შენი ძეგლის ადგილას დადგა, ხარ ისე დიდი, უკვდავება აღარც კი გშვენის! ვერ დავიჯერებ მე შენს სიკვდილს ვერასგზით, რადგან ჯერაც არ მჯერა სიცოცხლე შენი.

\*\*\*

სული სევდას მისცემია, დამასუსტა ძველმა სენმა... აბა, ცრემლი რის ცრემლია, თავი თუ არ შეგახსენა?

შველა გამორიცხულია, სიო მექცა გრიგალადა... აბა, გული რა გულია, ერთხელ თუ არ გიღალატა?

\*\*\*

აპრილი აფეთქდა!.. მზე იქცა თაფლადა!.. და სასაფლაოზე ბალახი აყვავდა!.. საფლავი სულ ახლოს მივიდა საფლავთან!.. მენყინა: იქ მკვდარი არავინ არ მყავდა!

\*\*\*

არ გვანებვირებს ბედი გულცივი! - ასე ინება მამაუფალმა!.. რა ნალვლიანად ამბობს პუშკინი: „ჩვენ, პოეტები, მკვდრები ვუყვარვართ!“

\*\*\*

სიონში გვამები დასვენებულია!.. ცრემლები გვანვიმს და ცრემლები გვათოვს!.. ჩვენი საათები გაჩერებულია, კომენდანტის საათი მუშაობს მარტო!

\*\*\*

თავში ჩაარტყეს ბარი და გაათავეს იქვე!.. სისხლის დიოდა ღვარი, წითლად ღებავდა სივრცეს და ბუტბუტებდა მტკვარი შანდორ პეტეფის სიტყვებს: „არ მინდა, ვიყო მკვდარი, მინდა, მოკლული ვიქნე!“

დედასაქართველოვ!..

...გარდიფხვა ჩემი კერძი სოფელიც, გარდავიცვალე, მოვკვდი, აღარ ვარ!.. ვარ ბედნიერი და მადლობელი, შენს წმინდა მინას რომ მიმაბარე!

\*\*\*

მე პოეტი ვარ, - მინა ვარ, ცა ვარ, მე პოეტი ვარ, - სივრცე ვარ, დრო ვარ, მომენატრება სიკვდილი, ნავალ, მომენატრება სიცოცხლე, მოვალ!



ომარ მარგველაშვილი

ვინც მიცნობს, კარგად მოეხსენება, რომ ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე რუსი ხალხის მიმართ კარგად ვარ განწყობილი, რასაც ვერ ვიტყვი რუსეთის უბოროტეს, სისხლიან ხელისუფლებაზე და ადამიანთა მოძულე, უსასტიკეს და უტიფარ სამხედრო ხელმძღვანელობაზე, რომლებმაც არაჩვეულებრივი ტერიტორიები ნაგვგლიჯა და ქართველთა სისხლი დაღვარა.

მე მოსკოვში აკადემიაში ვსწავლობდი და სამ ათეულ წელზე მეტს რუსეთთან ვთანამშრომლობდი. ვმეგობრობდი სამეცნიერო ელიტის წარმომადგენლებთან და მაღალი თანამდებობის, საკავშირო სამინისტროების, კომიტეტების და ბანკების სამეურნეო ხელმძღვანელებთან. მივლინებებით შემოვლილი მაქვს თითქმის მთელი რუსეთი, საქართველოში ბევრად უკეთესად ცხოვრობდა გლეხი, მუ შა და საერთოდ საშუალო ფენა, ვიდრე რუსეთში. იქ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოუდგენელი დეფიციტი იყო, მწირი მინის და მკაცრი კლიმატის გამო, ჩვენთან კი საოცარი სიუხვე სუფევდა, მაგრამ მიუხედავად სიდუხჭირისა, მაინც თბილი მასპინძლობა იცოდნენ.

თუმცა მათ შორის არიან უცნაური გულცივი, ზედაპირული და უდარდელი არაადამიანებიც, რომელთა უსაქციელობამ გამაოგნა მეც და ამ ამბის უნებლიე შემსწრენიც.

მაგალითისთვის ორ ფაქტს გაიხსენებ.

თითქმის ყოველ ზაფხულს, აგვისტოში ოჯახით ვისვენებდი ბიჭვინთაში, ჩვენს აშენებულ მაღლივ კომფორტულ კორპუსებში. ამ გიგანტი კომპლექსის გენერალური დირექტორი იყო შესანიშნავი გარეგნობის მქონე, დამსვენებლების მიმართ ყურადღებიანი ადამიანი ალექსანდრე ბასილაია. ხან სანატორიუმ „თბილისში“ ვჩერდებოდით, სადაც დირექტორად მუშაობდა არაჩვეულებრივი

პიროვნება და გამოცდილი ორგანიზატორი ტარიელ ბასარია. ამ სანატორიუმში თანამდებობრივად მეკუთვნოდა საგზური, ბიჭვინთაში კი, სადაც უმთავრესად, სოციალისტური სახელმწიფოებიდან ჩამოსული ტურისტები ისვენებდნენ, საბჭოთა კონტინგენტი მკაცრად

ერთ დღესაც მთელი სანატორიუმი დაიზაფრა - დილით, ცურვის დროს გულის შეტევით გარდაიცვალა ცნობილი მოსკოველი უროლოგი, პროფესორი ალექსანდროვი. ყველანი შევწუხდით, განსაკუთრებით - ადმინისტრაციის თანამშრომლები. სასწრაფოდ შეატყობინეს

люди, дорогие! Помогите!“ მამაკაცს ალენილ სახეზე სისხლი სდიოდა, კოჭლობდა კიდეც.

შეიკრიბა ხალხი. ქალის მინაზე დასვენებაში დაეხმარნენ კაცს, უახლოესი სოფლიდან ქალებიც მოქოთქოთდნენ და ტირილი მორთეს. ქმარი მუხლებზე მდგომი ქვითინებდა. გამწარებული რალაცას ლულულეებდა. ფრთხილად წამოაყენეს კაცებმა - მიუსამძიმრეს, სახიდან სისხლი ჩამოხანეს.

კაცმა ოდნავ სული მოითქვა, მიიხედა-მოიხედა და ცოტა ხნის მერე ბარი ითხოვა. ვერ მიხვდნენ სოფელი ჭირისუფლები, რაში სჭირდებოდა ბარი რუსს. მანაც განმარტა: აბა, რა ვქნა, დამეხმარეთ, ცოტა მოშორებით საფლავი გავთხაროთ და დავადაფლავოთ, მე კი გზას ვაგვუყვები რუსეთისკენო.

შენუხდა ყველა, განსაკუთრებით ქალები, რომლებიც ჩუმად იცრემლებოდნენ. ტავშლის ბოლოთი თვალებს იწმენდნენ და თან ვიშვიშებდნენ: „როგორ შეიძლება, ქა, სად გაგონილა! ეს რა ურჯულო და უჯიშო ყოფილაო“.

კაცებმა, უხასიათოდ და დაღონებულებმა, იქვე შორიხლოს ერთი ვაკე ადგილი შეარჩიეს და მინის თხრა დაიწყეს. თან იგინებოდნენ და იკურთხებოდნენ. რამდენიმე მათგანი თავთავიანთი სახლებისაკენ მიმავალ ბილიკს გაუყვა ჩქარი ნაბიჯით, თან ცოლებიც გაიყოლეს და გზადაგზა რალაცას ეჩურჩულებოდნენ. მალე მობრუნდნენ, დოქით ღვინო და სახელდახელო წასახემსებელი მოეტანათ კალათებით.

კაცებმა მიცვალებული მინას მიაბარეს, ქალებმა კი მდელიზე უზარმაზარი ფარდაგი გაშალეს და ზედ ნაუცბათევი სანოვავე დააწყვეს. კაცებმა რუსს ხელი გადახვიეს, სუფრასთან მიიწვიეს და ღვინით სავსე სასმისი მიანოდეს. საცოდავი თან ტიროდა და თანაც ღვინოს აკანკალებული ხელით სვამდა. ნახევარი გულზე ექცეოდა.

კაცებმაც და ქალებმაც შესანდობარი ნაუქციეს მიცვალებულს, თან ცრემლს ვერ იკავებდნენ.

თანდათან ბინდი ჩამოწვა. რუსი აჩქარდა: იქნებ ყაზბეგამდე თუ არა, ფასანაურამდე მაინც ჩავასწრო ღამის გასათევადო. ეხვეწნენ მასპინძლები, ჩვენთან გაათიეო, მაგრამ იუარა, საქმე მაქვს, მეჩქარებაო. ყველას გულითადი მადლობა გადაუხადა, მძიმედ შემოაჯდა მოტოციკლს და ხელის აწევით სწრაფად მოწყდა ადგილს.

ორი გაუბონარი ამბავი

შეზღუდული იყო, განსაკუთრებით - არასრულწლოვანი ბავშვებისათვის, მაგრამ ჩემი დიდი ხნის მეგობარი ბორია ადღეიბა, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, როგორც კი ივლისი დადგებოდა, თვითონ შემომეხმინებოდა და შემომთავაზებდა ბიჭვინთაში - ამ ულამაზეს ოაზისში დასვენებას ცოლ-შვილით. ჩემი ბიჭები მაშინ სკოლის ასაკისანიც არ იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ ყოველ დღე შავი მარცვლოვანი ხიზილალით, ახლად დაჭერილი შებოლილი თევზით და საუცხოო ჩეხური ლუდით გვიმასპინძლდებოდნენ, ზღვა და სანაპირო კი ულამაზესი და უმშვენიერესი. ეს იყო საოცნებო, ზღაპრული ნეტარება.

აგვისტოს მეორე კვირა იყო, მშენებლის დღე, რომელიც მთელ საბჭოეთში აღინიშნებოდა. წინა დღეს დამირეკავდა გაგრის რაიკომის პირველი მდივანი ენვერ კაპბა, თვითონაც მშენებელი და შემომთავაზებდა - „Завтра устроим обед на Голубое озеро – отметим день строителя“. მერე დააყოლებდა: ვლადიმერ ბარქაიას გამოგიგზავნით ორი მანქანით და ვინც თქვენ გნებავთ, დაპატიჟეთო. დილიდან გავაფრთხილებდი საქართველოს ცკ-ს კულტურის განყოფილების გამგეს, ჩემს უახლოეს მეგობარს ნოდარ ჯანბერიძეს და მის მეგობარს პონომარიოვს, საბჭოეთის მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს, ვიქტორ სუხოდრიოვს საბჭოთა ლიდერების ცნობილ თარჯიმანს მეუღლეებით, საშა ჩიკვაიძეს, იმ დროს ნიდერლანდებში საბჭოთა კავშირის ელჩს და სიომასთან ერთად გავუყვებოდით ულამაზეს მდინარე ბზიფის ხეობას ავადხარისკენ. ნოდარი რუსულ-ქართულად მშვენივრად თამადაობდა და მხიარულები და წასიამოვნები უკან ვბრუნდებოდით.

მოსკოვში ოჯახს. ჩამოფრინდა მეუღლე და დირექტორს სთხოვა, გაგრამივე დაეკრძალათ მისი ქმარი. ბასარია გაოცდა, მაგრამ პროფესორის ცოლის სურვილს წინ ვერ აღუდგა. ადმინისტრაციამ ყველაფერი იღონა მიცვალებულის გასაპატიოსნებლად, დაიტირეს კიდეც, სამგლოვიარო სუფრაც გაუშალეს და რუსი პროფესორი მიაბარეს აფხაზეთის მინას.

მეორე დილით მიადგა დირექტორს უროლოგის ცოლი და სთხოვა ჩემს მეუღლეს საგზურით კიდეც დარჩა ოთხი დღე დასვენებისთვის და, თუ შეიძლება, ამ დღეებით მე ვისარგებლებო.

გაოგნებული და გაშტერებული ტარიელ ბასარია კარგა ხანს უსიტყვოდ შეჰყურებდა ქალს, ბოლოს კი ძლივს ამოილულულა: „Ради бога, пожалуйста, мадам...“ და პროფესორის ცოლი ოთხი დღით გარდაცვლილი მეუღლის ნომერში დარჩა. რაც მთავარია, მთელი დღე ზღვაში ლივლივებდა და გვარიანადაც გაირუჯა.

\*\*\*

კიდეც ერთ ისტორიას გავიხსენებ, რომელიც საუცხოო გარეგნობის ჩემმა სიყრმის მეგობარმა კეთილგონიერმა და ღირსეულმა პიროვნებამ, კასპის რაიოკომის ყოფილმა პირველმა მდივანმა ჯონდო ჯავახიშვილმა მიაბო:

ჩვენი რაიონის ერთ-ერთ სოფელთან მოტოციკლით სწრაფად მომავალი შუახნის რუსი ცოლქმარი ხეს შეასკდა. სამწუხაროდ, ქალი, რომელიც უკან იჯდა, თვლემამორეული, ძლიერმა დარტყმამ შორს მოისროლა. საბრალომ ხრიოკ ნიადაგს თავი დაარტყა და ადგილზევე გარდაიცვალა.

გაოგნებული ქმარი ყვირილით უხმობდა ხალხს. „Помогите,



ზურაბ ბოცვაძე - 80

გამორჩენილ ქართველ მეცნიერს, ლიტერატურის ისტორიკოსს და პუბლიცისტს, პროფესორ ზურაბ ბოცვაძეს 80 შეუსრულდა.

იგი უკვედავი ლუარსაბ ბოცვაძის შთამომავალი და ქართული პედაგოგიკის, ასევე ჟურნალისტიკის ისტორიის ცნობილი მკვლევარის იოსებ ბოცვაძის ძმისშვილია.

ზურაბ ბოცვაძემ 1962 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და ლამის 50 წლის მანძილზე მუშაობდა მასწავლებლის, შემდგომში პროფესორის, ხარისხით.

წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციებს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის უნივერსიტეტში და პედაგოგთა არაერთ თაობას თავი დაამახსოვრა, როგორც ტკბილმოუბარმა ლექტორმა და გულისხმიერმა ორგანიზატორმა იმ უმადლესი სკოლისა, რომლის სახელიც ათეული წლების განმავლობაში ამშვენებდა ჩვენს პედაგოგიურ საზოგადოებას.

წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა ფაკულტეტის სასწავლო პროცესს და იყო სულხან-საბას უნივერსიტეტის პრორექტორი.

რაც თანამედროებაზეც უნდა ემუშავა ყველგან გამოირჩეოდა უანგარო, ენერგიული, პრინციპული და საქვეყნო საქმიანობისთვის თავდაუზოგავი კაცის სახელით.

ზურაბ ბოცვაძემ დიდი ამაგი დასდო ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორიის კვლევას. ამ მიმართულებით შექმნა არაერთი საგულისხმო სტატია, დამხმარე სახელმძღვანელო და ქრესტომათია. ხოლო ზურაბ ბოცვაძის ფუნდამენტური ნაშრომი „ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია“ დღესაც ავტორიტეტულ გზამკვლევს წარმოადგენს საბავშვო ლიტერატურის პრობლემებით დაინტერესებულ მკვლევართათვის.

სწორედ მეცნიერების ამ დარგში მუშაობისთვის მიენიჭა მას ჯერ მეცნიერებათა კანდიდატის, ხოლო შემდგომ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის და პროფესორის ხარისხები. მოგვიანებით მეცნიერი მიიწვიეს ჩეხეთში, სადაც ჩამოაყალიბა ქართული სიტყვიერების შემსწავლელი და ინტელექტის სრულყოფის სკოლები. ამ სკოლებს ხელმძღვანელობდა ლამის ორი ათეული წლის განმავლობაში.

ზურაბ ბოცვაძის წარმატებული ინტელექტუალური საქმიანობით დაინტერესდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში და 2010 წლიდან ქართველ პროფესორს ამერიკის შეერთებულ შტატებში ვხედავთ, სადაც წარმატებით გააგრძელა ქართული ფოლკლორისა და სიტყვიერების ამერიკისთვის გაცნობის უარესად საშუალო საქმე.

2022 წელს ღვაწლმოსილი მეცნიერი პროფესორი ზურაბ ბოცვაძე სამშობლოში დაბრუნდა.

საქმე აქაც ბევრი აქვს. ახალგაზრდა მეცნიერებს კონსულტაციას უწევს და თავის მრავალრიცხოვანი ნაშრომების თუ ორიგინალური ჩანაწერ-დღიურების მოწესრიგება-რედაქტირების საქმეს შესდგომია, რათა ჩვენს თაროზე დადოს თავისი მრავალწლოვანი-მრავალნაწილი ნააზრები.

წარმატებას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებთ ამაგდარ მეცნიერს და სახელოვან მამულიშვილს, პროფესორ ზურაბ ბოცვაძეს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

ზურაბ, ზურიკო!

სტუდენტობა ერთად გავატარეთ. განსაკუთრებით სამნი ვმეგობრობდით: ვალერიან სულაკაური, ზურაბ ბოცვაძე და რევაზ მიშველაძე.

რა ტკბილი და რა მღელვარე იყო ის წლები. უნივერსიტეტის სასწავლო სტამბაში დაბეჭდილი პირველი გაზეთი, ჩათვლის წიგნაკში ჩაფრენილი პირველი ფრიადები, სტუდენტურ სასადილოში ერთმანეთის დაპატიჟება.

მთანმინდის ჩრდილში შენს აივანზე მეცადინეობისას ჩავცქეროდით ეზოს, სადაც ვასილ მჟავანაძე ცხოვრობდა. ხანდახან სავარჯიშოდ გამოდიოდა ქვეყნის პირველი პირი და ხელსაც კი დაგვიქნევდა. მერე გავიგეთ, ეს ის მჟავანაძე იყო, რომელიც ამბობდა, რატომ გვყავს პატიმრები, რაღა დროს პატიმრებია, ხვალ-ზეგ კომუნისტში ვიქნებითო. ჩვენ იმ დროსაც მოვესწარით, ერთი გონებასუსტი პრეზიდენტი პირაქაფებულნი რომ გაყვიროდა: „ყველანი ციხეში“!

60 წელი გავიდა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრეთ. მერე სხვადასხვა მხარეს გადაგვტყორცნა ილაღმა და როგორც შევძელით, ისე ვემსახურეთ ქვეყანას.


ახლა 80 წლის „ბიჭებს“ ალბათ თამამად შეგვიძლია თქმა, რომ თავი არ შეგვირცხვენია.

შენ ჩვენს შორის რამდენიმე თვით უნცროსი იყავი, სპორტული აღნაგობის ლამაზი თბილისელი ვაჟკაცი. კეთილმინილიანი, დაუზარელი, ნიჭით გამორჩეული ზურიკო.

...და შენც, შენც გაოთხმული უკვე. ზიხარ ახლა წინამძღვრიანთკარში, თბილ ბუხართან და ისევ სტრიქონებს ჩაპკირკიტებ.

სწორადაც იქცევი, ჩვენ კრიალოსანის მარცვლას მერეც მოვასწრებთ. ჯერ კიდევ ვჭირდებით ქვეყანას.

რევაზ მიშველაძე ვალერიან სულაკაური



ვახტანგ ჭანკოტაძე-90

90 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და მეცნიერი ვახტანგ რევაზის ძე ჭანკოტაძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ბატონო ვახტანგ!**  
ჩვენო მსცოვანო და ღვაწლმოსილო თანამოკალმე!  
საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები პატივისცემით მოგესალმებიან ძმასა და მეგობარს, ჩვენი სამწერლო ოჯახის საყვარელ წევრს და გილოცავენ დაბადების 90 წლისთავს.

თქვენ მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი ცხოვრებისეული გზა განვლეთ, სადაც ქართული პატიოსნებითა და კეთილშობილებით. მწერლობაში ხომ ტექნიკური სამყაროდან მობრძანდით. წლების განმავლობაში მუშაობდით გორის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში სხვადასხვა თანამდებობაზე. ხელმძღვანელობდით სამრეწველო ობიექტებს, თქვენ გეკუთვნით არაერთი სამეცნიერო შრომა, ათეულობით გამოგონება თუ რაციონალიზატორული წინადადება.

2003 წელს გამოეცით პირველი პოეტური კრებული „ლეგენდები“. ასე შემოაბიჯეთ ქართულ მწერლობაში და დაიმკვიდრეთ ადგილი, როგორც ორიგინალური ხელნერის მქონე შემოქმედმა. თქვენი პოეტური თუ პროზაული ნაწარმოებები, ჩანახატები, ესეები, იუმორისტული ნაწარმები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა თქვენი როგორც პროზაული („ბედისწერა“ - რომანი, „მინიატურების ალფიმი“, „ალმასი“, „აჯაფსანდალი“, „იგავ-არაკები“, „გველების სასაფლაო“) ისე პოეტური („მზიარული რითმები“, „ლეგენდები“, „მტევნის ნაჟური“, „კიბის 75 საფეხური“, „ბოლო ვაგონის ლექსები“, „სითბო ჩემკენ და ჩემგან“, „ნოსტალგია“) კრებულები, რომლებსაც ღრმადმოაზროვნე შემოქმედის ხელი ატყვია. გორში მოღვაწეობთ და გორის ციხეს თუ გორიჯვარს ესათუებთ, მაგრამ თქვენს სიზმრებში მინც მშობლიური კახეთის სანახები გამოკრთება ხოლმე - ალაზნის ველი, ნადიკვარი თუ ბატონის ციხე.

ქართველი ბავშვების საყვარელ წიგნებად იქცა თქვენი საყვარელი ლექსებისა და გამოცანების კრებულები „იხარეთ“ და „აბა, გამოიცანი“.

ავტორი ხართ ისეთი საყურადღებო წიგნებისა, როგორცაა „გენერალი გორიდან“, „პუბლიცისტიკა“, „თიკუნები“, „ბერმუხა“, „ვიტია“, „კაცი-ლეგენდა“, „გორელი გენერლები“.

ბოლო წლებშიც აქტიური მოღვაწეობით დაგვამახსოვრეთ თავი. იყავით გაზეთ „თანადგომის“ რედაქტორი, გორის ტელესტუდია „თრიალეთში“ მიგყავდათ საავტორო გადაცემები „ისინი იბრძოდნენ სამშობლოსათვის“ და „ლიტერატურა და ხელოვნება“.

**ბატონო ვახტანგ!**  
თქვენი მრავალწლიანი ღვაწლი ღირსების მედლით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ აკაკი წერეთლის სახელობის პრემია, არჩეული ხართ გორის საპატიო მოქალაქედ.

კიდევ ერთხელ გილოცავთ საიუბილეო თარიღს ამაგდარ, მსცოვან შემოქმედს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გამორჩეული მწერალი

ვახტანგ ჭანკოტაძე ქართულ მწერლობაში გამორჩეული კაცია. გამორჩეულს იმიტომ ვცამბობ, რომ მან ქართულ ლიტერატურაში, თამამად შეიძლება ითქვას, რომ თავისი მონეტა მოჭრა და თავისი ხელწერა დამკვიდრა.

90 წლამდე ისე მოაღწია, რომ ვაჟკაცურად, პატიოსნად, უანგაროდ ზიდა ქართველი მწერლისა და მამულიშვილი მძიმეუ მძიმე ტვირთი.

უპირველეს ყოვლისა, ყოველთვის იპყრობდა ქართველი მკითხველის ყურადღებას თავისი შეუივარი ეროვნული პოზიციით და თუ ვინმეზე ითქმის მამულიშვილიაო, - ვახტანგ ჭანკოტაძეზეც ითქმის.

იგი მაგალითად გამოადგება ქართველ მწერალთა თაობებს თავისი, როგორც შემოქმედის, სტილური ნიშნითა და გამომსახველობითი ირიგინალობით.

ამ ბოლო დროს მწერლები თავიანთი ხელნერით ისე დაემსგავსნენ ერთმანეთს, რომ გამორჩევა გვიჭირს, ვახტანგ ჭანკოტაძის ნააზრეს კი, თუნდაც გვარი არ ეწეროს, მაშინვე გამოარჩევ თავისი ორიგინალური ხელნერით.

საგულისხმოა, რომ ერთნაირი წარმატებით ეძებს მხატვრულად თქმის ახალ-ახალ საშუალებებს. მისი ნაწერი ერთნაირად ძვირფასი და სასარგებლოა მკითხველთა ყველა თაობისათვის.

ვახტანგ ჭანკოტაძეს აქვს განსაცვიფრებელი მოქალაქეობრივი თავმდაბლობა, რაც მხოლოდ ქვეყნის ოსტატისთვისაა დამახასიათებელი.

ერთხელ, ჩემი საკამოზე მეტად სქელტანიანი რომანი „ჩურჩულს გადაჩვეული კაცი“ მივართვი ნასაკითხად. დღეს, როდესაც მკითხველთა ერთი ნაწილი ისეა განებივრებული (განებივრებულში ცუდ მკითხველობას ვგულისხმობ), რომ წიგნს თუ აჩუქებ, ზრდილობა არ ყოფნის, დაგირეკოს, მადლობა გითხრას, ან ყოველგვარი მადლობის გარეშე, თავისი აზრი მოგახსენოს, ბატონმა ვახტანგმა, როგორც ველოდი, ამ შემთხვევაშიც სასიამოვნოდ გამოაცხა, ერთი კვირის თავზე წერილი გამომიგზავნა, ოღონდ დასაბეჭდად კი არა, - სახელმძღვანელოდ.

იმ წერილს, უძვირფასესი შენიშვნებით, მათ შორის პუნქტუალური შენიშვნებითაც, დიდი პატივისცემის ნიშნად, სასოებით ვინახავ დღესაც.

ამ და სხვა ძვირფასი თვისებების გამო მიმაჩნია ვახტანგ ჭანკოტაძე ჩემს გულთადად მეგობრად. სულთა და გულთა ვულოცავ, მეოცედან ოცდამეერთე საუკუნეში გადმოსულ მწერალ კლასიკოსს, ქართველ ინტელიგენტთა ძვირფასი თაობის ერთ-ერთ უკანასკნელ მოპიკანს, ჩემს ძვირფას მეგობარს ვახტანგ ჭანკოტაძეს 90 წლის სახელოვან იუბილეს.

რევაზ მიშველაძე



### ბორის მიმველაძე

ფიზიკის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი

### გვალდავა თუ არა პირთვული არაბაქლონი? ინტარვიუ ფიზიკის დოქტორთან, პროფესორ ბორის მიმველაძესთან

*მ.გ. - ბატონო ბორის, „მწერლის გაზეთის“ თებერვლის ნომერში გამოქვეყნდა თქვენი წერილი გასული წლის მთავარი მეცნიერული აღმოჩენების შესახებ. ჩვენდა მოულოდნელად, წერილმა მკითხველთა დიდი ყურადღება დაიმსახურა. რედაქციაშიც დაგვირეკეს და გვთხოვეს უკრაინაში მიმდინარეობთან და რუსეთის ატომურ მუქარასთან დაკავშირებით დაგვესვა თქვენთვის, როგორც ფიზიკოსისთვის, რამდენიმე შეკითხვა.*

*ბ.მ. სასამოვნოა თქვენგან ამის მოხმენა. მზად ვარ და ყურადღებით გისმენთ.*

*მ.გ. დავინწყით იმით, რაც მთელ მსოფლიოს აწუხებს. ომით უკრაინაში.*

*ბ.მ. გასული წლის 24 თებერვალს რუსეთი თავს დაესხა უკრაინას. ამის შემდეგ წუთითაც არ შეწყვეტილა ომი. ასიათასებს გადააჭარბა დაღუპულ ჯარისკაცთა რიცხვმა. ამას ემატება მშვიდობიანი მოსახლეობის ჟლეტა, ინფრასტრუქტურის განადგურება, დიდია მსხვერპლი ბავშვთა შორის, მილიონობით უკრაინელმა იძულებით დატოვა მშობლიური ადგილები. ლტოლვილები შეიფარა ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის საქართველომ. ჩვენმა, არცთუ მდიდარმა ქვეყანამ, პირველმა აღმოუჩინა ჰუმანიტარული დახმარება უკრაინას, საუკეთესო პირობები შეუქმნა დევნილებს, - უფასო ჯანდაცვა, სკოლებში უკრაინული სექტორის გახსნა (ანალოგი არ აქვს მსოფლიოში), ფულადი დახმარებები. ამასწინათ გავგზავნეთ გენერატორებიც. თავდაპირველად ყველას ეგონა, რომ „სპეციალური სამხედრო ოპერაცია“ (სსო) როგორც მას უწოდეს რუსეთში, მალე დამთავრდებოდა უკრაინის დამარცხებით. მაგრამ უკრაინელი ხალხი არ შეუშინდა აგრესორს. ჯერ საკუთარი, მერე კი დასავლეთიდან მიღებული შეიარაღებითა და ფულადი სახსრებით წინ აღუდგა მოძალადეს. რუსეთმა მაინც მოახერხა და მოწყვიტა უკრაინა აზოვის ზღვის აკვატორიას, გაჭრა სახმელეთო დერეფანი ყირიმთან. მას ოკუპირებული აქვს ლუგანსკისა და დონეცკის ოლქების თითქმის მთელი ტერიტორია, აგრეთვე ზაპოროჟიესა და ხერსონის დიდი ნაწილი, რომლებიც რუსეთის ტერიტორიად გამოაცხადა. ნატო, ევროკავშირი და, რაც მთავარია, აშშ გულუხვად ეხმარებიან უკრაინას. მაგრამ იარაღის მიწოდების ტემპებით მაინც უკმაყოფილოა ზელენსკი. (ანალოგია - აბელა სეთური ზუსტად იმდენს გვაძლევს, რომ შიმშილით არ დავიხოცოთო, - თქვა სპირიდონა სულანჯიამ). იმ მიმენტისთვის, როცა თქვენ გპასუხობთ,*

ფრონტზე მდგომარეობა შედარებით სტაბილურია. ომი გადავიდა ე.წ. „გამოფიტვის“ სტადიაში ყველა ელოდება გაზაფხულზე დაგეგმილ შეტევებს. რუსეთმა გამოაცხადა მობილიზაცია (ვითომდა ნაწილობრივი). მას ძალზე შეუმცირდა ზუსტი იარაღის არსენალი. ვერც ახალს აწარმოებს, რადგან ასეთ იარაღს და მათ შორის რაკეტებს, სჭირდებათ ახალი თაობის მიკროსქემები - ე.წ. ჩიპები. ვითომდა რუსული ჩიპები „ბაიკალი“ და „ელბრუსი“ სინამდვილეში მზადდებოდა ტაივანში, მაღალტექნოლოგიურ ქარხანა TSMC - ში. ბუნებრივია, სანქციონების შედეგად, ამ ქარხნიდან მიწოდება შეწყდა. თეორიულად, რუსეთს შეუძლია აწარმოოს მხოლოდ ძალზე მოძველებული ჩიპები, ისეთები, რომლებიც ხმარებაში იყო სსრკ-ს დროს, 30 წლის წინათ. ამჟამად მსოფლიოში მხოლოდ 10 ქარხანაა, რომელიც ჩიპებს აწარმოებს. ცნობისათვის: თანამედროვე ჩიპებში გეომეტრიული ელემენტის ზომები ასიათასჯერ ნაკლებია ადამიანის თმის სისქეზე. ახლა, რაც შეეხება უკრაინას: მას მალე გადაეცემა 300 - ზე მეტი თანამედროვე ტანკი, ასობით ჯავშანმანქანა. გაფართოვდება მიწოდებული არტილერიის არსენალი - იგი გახდება უფრო მძლავრი და შორსმხროლელი. ლაპარაკია ავიაციის გადაცემაზეც. ყოველივე ეს, ბუნებრივია, იწვევს რუსეთის შემოფოთებას. მათ გამოსავალი მოძებნეს იმაში, რომ პირდაპირ გადავიდნენ შანტაჟზე: პუტინი - „ბრძოლის ველზე რუსეთის დამარცხება შეუძლებელია, ამას ჩვენ არ დაუშვებთ“. შედეგად - „თუ რუსეთი შეაჩერებს მეცნიერულ სამხედრო ოპერაციას, ის ნაწილობრივ დაიშლება. თუ დასავლეთი გააგრძელებს უკრაინის შეიარაღებას, ჩვენ სრული უფლება გვქონება გამოვიყენოთ ყველა საშუალება, მათ შორის ატომური იარაღიც“. - რუსეთმა უკვე შეაჩერა მისი მონაწილეობა სტრატეგიულ შეიარაღების შემცირებისა და მასზე კონტროლის შეთანხმებაში (START III), რომელიც დაიდო აშშ - თან 2010 წელს, მაღევე, რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის 20% -ის ოკუპაციის შემდეგ, როცა დასავლეთს „შეშფოთებამ“ გაუარა და ამერიკა - რუსეთის ურთიერთობა დათბა - („პერეზაგრუზკა“). ამ ხელშეკრულებიდან გამოსვლის შემდეგ პუტინმა ბრძანება გასცა - დაამზადონ და გამოსცადონ ახალი ატომური ქობინები.

*მ.გ. „ათას მზეზე უფრო ელვარე“, - ალბათ ნაკითხული გაქვთ რობერტ იუნგის ეს შესანიშნავი ნივნი, რომელიც მოგვითხრობს აშშ- ში ატომური ბომბის შექმნაზე. მაგრამ ვაქცილებით ნაკლებია იარაღის დამზადების შესახებ. თქვენ როგორც ფიზიკოსმა რა იცით ამის შესახებ?*

*ბ.მ. 1939 წლის შემდეგ სამეცნიერო ჟურნალებიდან გაქრა პუბლიკაციები ურანის დაშლის შესახებ. ორიოდ წლის შემდეგ, ორმა ფიზიკოსმა მისწერა წერილი ბულგანინს (სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილეს). ბულგანინმა ბევრი ვერაფერი გაიგო და გადაამისამართა ბერიასთან. ბერიამ ხელად აულო ალლო პრობლემას და დაავალა ჯგუფს საკითხის დაწვრილებით შესწავლა. იმავდროულად დაუკავშირდა საზღვარგარეთ მომუშავე საბჭოთა მზვერავებს. შედეგად, ბერიასთან თავი მოიყარა ინფორმაციამ და ნათელი გახდა, რომ ამერიკა მუშაობდა ატომურ იარაღზე. მალე მოვიდა ცნობა, რომ ამერიკაში აამუშავეს პირველი ატომური რეაქტორი. ბერიამ გადაწყვიტა საქმის კურსში სტალინის*

ჩაყენება. ერთერთ თათბირზე, სადაც საკითხი იხილებოდა, საგეგმო კომიტეტი სამუშაოების დაფინანსების წინააღმდეგ წავიდა. მიზეზი - ქვეყანა მძიმე ომში იყო ჩართული. სტალინმა, წუთიერი ფიქრის შემდეგ, წარმოთქვა ცნობილი ფრაზა „надо делать“. 1942 წელს სსრკ - ს ატომური პროექტის კურატორად ბერია დაინიშნა. შეიქმნა საინიციატივო ჯგუფი და მას მიენიჭა უფლება ჩაერთო მუშაობაში ყველა, ვისაც საჭიროდ ჩათვლიდა, მათ შორის გამოენვია მეცნიერები ფრონტის წინა ხაზიდანაც. მაგრამ არც ეს აღმოჩნდა საკმარისი. ბერიამ „დაავერბოვკა“ აშშ- ში ატომურ პროექტზე მომუშავეთა მთელი წყება. მათ შორის ფიზიკოსი კლაუს ფუქსი, (გამოგზავნა კრიტიკული მასის ფორმულა, რითაც რამდენიმე თვე დაუზოგა საბჭოელებს), ჰარი გოლდი, ცოლ - ქმარი როზენბერგები.... ბერიამ შეძლო თვით რობერტ ოპენჰეიმერის (აშშ -ს ატომური ბომბის მამა) ცოლთან შეეგზავნა თავისი აგენტი. ოპენჰეიმერმაც, ცოლის რეკომენდაციით, სამსახურში აიყვანა რამდენიმე გერმანელი ფიზიკოსი, რომელთაც სძულდათ ჰიტლერი და თანაუგრძობდნენ სსრკ - ს. შედეგად, ყველა ფორმული-სა და ნახაზის ასლი რამდენიმე დღეში ბერიას მაგიდაზე იდებოდა. მაგრამ ამას ყველაფერს გაშიფრვა უნდოდა. ნვალბდნენ საბჭოთა ფიზიკოსები, გამომწყვდეულნი საიდუმლო ქალაქ „არზამას - 16“ -ში. ამასობაში, უკვე 1945 წლის 16 ივლისს, აშშ - ში გამოსცადეს პირველი ატომური ბომბი. ამ ბომბის ნახაზები 12 დღის შემდეგ სტალინის მაგიდაზე იდო. სტალინმა მაგრად „შეახურა“ ბერია და სამუშაოების დაჩქარება მოთხოვა. ეს უკანასკნელი კი დახვრეტით დაემუქრა ყველა ფიზიკოსს, ვინც ბომბზე მუშაობდა. მათაც გაასამაგეს ტემპი. პოტსდამის კონფერენციაზე 1945 წლის ივლისში ამერიკის პრეზიდენტმა ტრუმენმა ნაიტრაბახა, რომ შტატებს აქვთ ზემძლავრი ბომბი. სტალინმა, ვითომ არაფერი სმენოდა ამის შესახებ, „გაატარა“ ეს ინფორმაცია, თითქოს საქმე რუტინულ რაღაცას ეხებოდა. 1945 წლის აგვისტოში, ამერიკამ ჩამოყარა ატომური ბომბები იაპონიის ქალაქების პიროსიმისა და ნაგასაკის თავზე, რამაც განაპირობა იაპონიის უსიტყვო კაპიტულაცია. ეს იყო კაცობრიობის ისტორიაში ატომური იარაღის პირველი გამოყენება მოსახლეობის წინააღმდეგ. იაპონიაში ჩამოყრილი ბომბების სიმძლავრე 15 - 20 ათასი ტონა (15 - 20 კილოტონა) ტროტილის ეკვივალენტი იყო. ტროტილი ჩვეულებრივი ასაფეთქებელი ნივთიერებაა. მას იყენებენ დინამიტებში, ყუმბარებში, ჩვეულებრივ ბომბებში (რამდენიმე კილოგრამს, მაქსიმუმ ტონას, შეადარეთ - ატომური ბომბის სიმძლავრე რამდენ ათას ჩვეულებრივ ბომბს უდრიდა). იაპონიის დაბომბვის შემდეგ მთელი ოთხი წელი გავიდა, ვიდრე სსრკ მოახერხა საკუთარი ატომური ბომბის გამოცდა 1949 წლის 29 აგვისტოს.. ახლა, მრავალი წლის შემდეგ, ერთერთი ჟურნალისტი თავის სტატიაში აკადემიკოს ზელდოვიჩის შესახებ ციტირებს მეცნიერის ნათქვამს - ამერიკელმა ებრაელებმა დაუმზადეს ამერიკას ატომური ბომბი, ებრაელებმა ჯაშუშებმა გადასცეს მისი საიდუმლოებები სსრკ - ს, საბჭოთა ებრაელებმა დავამზადეთ ატომური ბომბი საბჭოთა კავშირშიო. არ ვიცი, რამდენად დაეჯერება ჟურნალისტს, მაგრამ ზელდოვიჩი იყო უნიჭიერესი ფიზიკოსი, მას უმაღლესი არ ჰქონდა დამთავრებული, ისე გახდა მეცნიერე-

ბათა დოქტორი. იყო ექსტრავაგანტური პიროვნება, (ხუთი არაოფიციალური ცოლიდან ხუთი ბავშვი ყავდა).

*მ.გ. წყალბადის ბომბის შექმნის ისტორიაც ასეთი დრამატული იყო?*

*ბ.მ. ცნობილია, რომ წყალბადის ბომბის სიმძლავრე, განსხვავებით ატომურისგან, შეუზღუდავია. მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე გერმანიიდან მეცნიერთა უმეტესობა გაიქცა. ზოგი - თავისი ებრაული ფესვების გამო, დანარჩენები - არ ეთანხმებოდნენ ნაცისტს. დარჩენილებს შორის იყო ნობელის ლაურეატი, კვანტური ფიზიკის ერთერთი შემქნელი ვერნერ ჰაიზენბერგი. იგი გაურიგდა ნაცისტებს და შეპირდა ისეთი იარაღის შექმნას, რომელიც მათ გამარჯვებას მოუტანდა. შეკითხვაზე, - რამდენი ბომბი დაჭირდებოდა ლონდონის დაბრკვას, მეცნიერმა უპასუხა, - ერთი, - დაახლოებით ანანასის ნაყფის ზომისო. წყალბადის ბომბისთვის საჭიროა დეიტერიუმი. ესაა იგივე წყალბადი, ოლონდ მის ბირთვში ერთი „ზედმეტი“ ნეიტრონია. წყალს, რომელშიც ჩვეულებრივი წყალბადი ჩანაცვლებულია დეიტერიუმით, „მძიმე წყალს“ უწოდებენ. ერთი ლიტრი მძიმე წყლის მიღებას ორმოცი ათასი ლიტრი ჩვეულებრივი წყლის ელექტროლიზი სჭირდება. ელექტროენერგიაც და წყალიც უზვად იყო ნორვეგიაში. ამიტომაც, გერმანელებმა გადაწყვიტეს მძიმე წყლის ქარხანა ნორვეგიაში აეშენებიათ. ამის შესახებ შეიტყო ბრიტანეთის დაზვერვამ და გაგზავნა დივერსიული ჯგუფი, რომელიც შვეციიდან ნორვეგიის ტერიტორიაზე თხილამურებით შეიპარა. მათ ააფეთქეს საწყობი, სადაც ერთ ტონამდე მძიმე წყალი ინახებოდა. ამ აქტმა რამდენიმე თვით შეაფერხა ქარხნის მუშაობა. მაგრამ, გერმანელებმა, ჩვეული გულმოდგინებით, მალევე აღადგინეს წარმოება. ამის შემდეგ, ქარხანა უკვე ამერიკელებმა დაბომბეს, 140 ბომბდამშენით. ქარხანა დაზიანდა,, მაგრამ მძიმე წყლის დაგროვილი მარაგი გადარჩა, - იგი ტბაში ჩაძირულ კასრებში ინახებოდა. ბოლოს ნაცისტებმა გადაწყვიტეს 15 000 ლიტრი მძიმე წყლის ჩატანა გერმანიაში, მაგრამ დივერსანტებმა 1944 წლის თებერვალში მატარებლის ეშელონი გზაში ააფეთქეს. ამით დასამარდა ნაცისტების ოცნება - შეექმნათ „აბსოლუტური იარაღი“. სხვათაშორის, ომის შემდეგ, ფიზიკოსმა ვაიცეხეკერმა (რომელიც ჰეიზენბერგთან მუშაობდა გერმანიის ატომურ პროექტზე), შეკითხვაზე - რატომ ვერ მოასწრეს მათ ატომური ბომბის დამზადება, უპასუხა: - არ გვინდოდა და იმიტომო. რაც შეეხება ამერიკას, ჰიროსიმაში ბომბის ჩამოგდების შემდეგ რამდენიმე წელი „სიჩუმე“ დამყარდა. მერე და მიხვდნენ, რომ სსრკ-მ მათი საიდუმლოებები მოიპარა. ოპენჰეიმერი გადააყენეს. დაიწყო სასამართლო პროცესები. სიკვდილით დასაჯეს მრავალი ჯაშუში. ზოგმა მოასწრო საზღვარგარეთ, მათ შორის სსრკ - ში გაქცევა. დაზვერვამ ამერიკელებს აცნობა, რომ რუსეთში გრძელდება უფრო მძლავრ იარაღზე - წყალბადის ბომბზე მუშაობაო. ტრუმენმა კვლავ შეკრიბა ფიზიკოსები. ამერიკელებმა წყალბადის ბომბის პირველი პროტოტიპი ააფეთქეს 1952 წლის ნოემბერში. რაც შეეხება სსრკ-ს, ჯერ კიდევ 1945 წელს, ჩვენს მიერ ნახსენებმა ზელდოვიჩმა გააკეთა პირველი გათვლები. შემდგომში ახალგაზრდა ანდრეი სახაროვმა მოახსენა ბერიას თავისი მოსაზრებები ახალ იარაღთან მიმართებაში. ბერიამ იდეა მოიწონა და საორგანიზაციო საკითხების გადაწყვეტაში*



აქტიურად ჩაერთო. პირველი საბჭოთა წყალბადის ბომბი ააფეთქეს ყაზახეთში, სემიპალატინსკის პოლიგონზე 1953 წლის აგვისტოში, იგი სჯობდა ამერიკულს იმ თვალსაზრისით, რომ იყო ტრანსპორტაბელური. ამ დროს სტალინი უკვე ცოცხალი აღარ იყო. ბერია - ოფიციალური წყაროებით, - დაპატიმრებული იყო, არაოფიციალური წყაროებით კი იგი მოკლეს დაპატიმრების დროს 1953 წლის 26 ივნისს და, შემდგომში, მისი სასამართლო იყო იმიტაცია. მაგრამ დრამატული მოვლენები ამით არ დამთავრებულა. ხრუშჩოვი, რომელმაც შური იძია სტალინზე და ბერიაზე, შეპყრობილი იყო იდეით რამენაირად დაეშინებია ამერიკა. გასცა ბრძანება ზემძლავრი, 100 მეგატონიანი (მეგატონა - მილიონი ტონა) წყალბადის ბომბის დამზადებაზე. მეცნიერებს შეეშინდათ და სიმძლავრე წინასწარ 50 მეგატონამდე შეამცირეს. ბომბი თვითმფრინავიდან ჩამოაგდეს არქტიკაში, კუნძულ ახალ მინაზე. აფეთქება იმდენად ძლიერი იყო, რომ აფეთქების ტალღამ დედამიწას სამჯერ შემოუარა. ეს მოხდა 1961 წლის 30 ოქტომბერს. ამის შემდეგ ასეთი მძლავრი ბომბები აღარ გამოუცდიათ. რაც შეეხება სახაროვს - მოგვიანებით იგი „მშვიდობის მტრედად“ მოგვევლინა. თავი მოიკატუნა და განაცხადა, რომ არ ისურვებდა თავისი ნაწარმის (ბომბის) რეალურად გამოყენებას ადამიანების წინააღმდეგ. აქვე ვიტყვი, რომ მას განსაკუთრებულად აგრესიული დამოკიდებულება ჰქონდა ქართველების მიმართ, იგი საქართველოს „მცირე იმპერიას“ უწოდებდა. წელან ვახსენე რომ ბომბი თვითმფრინავიდან ჩამოაგდეს. ატომური ბომბის შექმნის პარალელურად სსრკ-ში უკვე ფიქრობდნენ მისი ტრანსპორტირებისთვის გამოსადეგ თვითმფრინავზე. სტალინმა იცოდა, რომ ახალი თვითმფრინავის შექმნა მოკლე დროში ვერ მოხერხდებოდა. ამიტომ იპოვა ასეთი გამოსავალი - დაეშინებინათ ამერიკული ბომბდამშენის B - 29, ანუ „მფრინავი ციხე სიმაგრის“ სრული ასლი. ამ დავალების შესასრულებლად კონსტრუქტორებმა მოითხოვეს ორი-სამი წელი, სტალინმა მისცა ვადა ექვსი, მაქსიმუმ ცხრა თვე. ერთ ადგილზე მიიტანეს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სხვადასხვა მიზეზით ჩარჩენილი ოთხი ცალი ამერიკული თვითმფრინავი. ზოგი გაუმართაობის გამო იძულებულად დამჯდარი, ერთი თითქმის სრულიად გამართული, რატომღაც ვერ გაფრინდა უკან, (ალბათ კგბ - მ ჩუმად გააფუჭა), ერთი მათგანი მდინარის ფსკერიდანაც ამოიღეს. ყველა ბოლო ჭანჭიკებამდე დაშალეს და ასე დაამზადეს პირველი მძიმე ბომბდამშენი TU - 4, რომელიც შემდეგ გახდა საფუძველი უფრო მძლავრი ბომბდამშენების წარმოებისა.

**მ.გ. ადრე ბევრს წერდნენ იმის შესახებ, რომ სწორედ ევრეთნოდებული „ბირთვული ტრიადა“ არის მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნების გარანტი. რას გვეტყვი ამის შესახებ?**

**ბ. მ.** სახელმწიფო ჩაითვლება ბირთვული ტრიადის (Nuclear triad) მფლობელად, თუ მას ბირთვული იარაღთან ერთად გააჩნია: 1) საკონტინენტთაშორისო რაკეტები და მათი გაშვების საშუალებები (მობილურიც და სტაციონარულიც, შახტებიდან). 2) შორსმფრენი სტრატეგიული ბომბდამშენები და ფრთოსანი რაკეტები, რომელთაც შეუძლიათ ბირთვული იარაღის გადატანა. 3) წყალქვეშა ნაგები და მათგან ბირთვული რაკეტების გაშვების საშუალებები.

ბეზი. ამჟამად მსოფლიოში ტრიადის მფლობელი სახელმწიფოებია რუსეთი, აშშ, ჩინეთი და ინდოეთი. ახლოსაა ჩრდილო კორეა. რაც შეეხება კავშირს ტრიადის ფლობასა და მშვიდობის შენარჩუნებას შორის, - ეს გარკვეულწილად სწორია. სახელმწიფოებმა იციან, რომ ბირთვული რაკეტების გაშვებას მოყვება პასუხი, რაც ყველას მოსპობას გამოიწვევს. ამიტომ ამ ნაბიჯზე არ მიდიან. ჯერ კიდევ 1945 წლის, თებერვალში, იალტის კონფერენციის შემდეგ სტალინმა განუცხადა ჩერჩილს და რუზველტს, რომ უნდა შემუშავებულ იქნეს მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოში მშვიდობას, თუნდაც უახლოეს 50 წელიწადში. ამ კონფერენციიდან თითქმის 80 წელი გავიდა და მსოფლიოში გლობალურად მშვიდობა არ დარღვეულა, იყო მხოლოდ ლოკალური ომები. ახლა კი რუსეთი იმუქრება ბირთვული ომით. აქვე, ორი-ოთხ სიტყვით, მოგიყვებით ისტორიას წყალქვეშა ნაგების შესახებ. გასული საუკუნის 80 - იან წლებში, „ცივი ომის“ დროს, ამერიკასა და სსრკ - ში დაამზადეს წყალქვეშა ნაგები, რომელთაც შეეძლოთ ჩაყვინთულ მდგომარეობაში მრავალი თვე ეცურათ და ნებისმიერი ადგილიდან გაეშვათ ატომური რაკეტები. მაგრამ ამერიკელები მშვიდად იყვნენ, რადგან, ოკეანეებში ბევრ ადგილას ჩამონტაჟეს ხმაურის აღმომჩენი დეტექტორები, რომელთაც შორიდანვე „ესმოდათ“ საბჭოთა წყალქვეშა ნაგების ხრახნების რახრახი. მაგრამ, ერთ მშვენიერ დღეს, ზედ ამერიკის სანაპიროსთან, ამოყვინთა რამდენიმე საბჭოთა წყალქვეშა ნაგვა. ატყდა სკანდალი. თანამედრობა დაატოვებინეს გენერლებს. ამერიკას ათეული მილიარდი დოლარი დაუჯდა ახალი, უფრო მგრძობიარე ხმაურის აღმომჩენი დეტექტორების ქსელის დამონტაჟება, მაგრამ ამან საქმეს მხოლოდ ნაწილობრივ უშველა. რა მოხდა? როგორ „ჩაჩუმდნენ“ რუსული სუბმარინები? ყველაფერი გადანიშნა ქრთამში, რომელიც იაპონიის კონცერნმა „ტოშიბამ“ აიღო. ქრთამის სანაცვლოდ, შემოვლითი გზით, საბჭოთა კავშირმა არაღებულად შეიძინა იაპონიისგან ოთხი ჩარხი, რომელთაც საშუალებითაც აბსოლუტურად ჩუმი ხრახნების დამზადება გახდა შესაძლებელი. ამას წინათ რუსეთმა გამოაცხადა, რომ მტრული სახელმწიფოების ნაპირებთან აპირებენ (შეიძლება უკვე აქვთ) წყალქვეშა, ფსკერზე შემჩნეულად განათავსონ „განკითხვის დღის იარაღი“ - შლამში ჩაფლული უპილოტო სუბმარინა - ბომბი, რომელიც აფეთქდება დისტანციურად და წარმოშობილი ცუნამი ნალექავს სანაპიროს. ტყუილად კი არ უწოდა რეიგანმა რუსეთს „ბოროტების იმპერია“...

**მ.გ. შეუძლია თუ არა პუტინს მარტო გადაწყვიტოს ბირთვული ომის დაწყება? რა არის ეს ყბადალებული „ბირთვული ჩემოდანი“, სულ რომ თან დააქვთ ამერიკის და რუსეთის პრეზიდენტებს?**

**ბ. მ.** ბირთვული ჩემოდანი ესაა კომპაქტური მონოპოლიზა, საიდანაც იკრიფება კოდები სტრატეგიული ბირთვული ქობინებით აღჭურვილი რაკეტების გასაშვებად. კოდები ყოველდღიურად იცვლება და სპეციალურ პლასტიკურ ბარათზე ჩანერილი ეძლევა უმაღლეს მთავარსარდალს. ამერიკაში, პროცესის დასაწყებად, საჭიროა ბარათიდან კოდების შეტანა. კოდების შეყვანის ქმედება უნდა დაადასტუროს თავდაცვის მინისტრმა, მას ფორმალურად არა აქვს უფლება წინ აღუდგეს პრეზიდენტის მოქმედებას, (რომც შეე-

წინააღმდეგოს შეიძლება გადააყენონ). მერე ბრძანება მიდის პენტაგონში, გაერთიანებული შტაბების უფროსთან, იქიდან - შესაბამისი ჯარების მეთაურთან, რასაც მოყვება რაკეტების სტარტი. მთელ პროცესს დაახლოებით ხუთი წუთი სჭირდება. ვერც ერთ ეტაპზე, ვერაფერს შეუშლის ხელს პრეზიდენტს, მაგრამ არსებობს ერთი გზა: თუ ჩათვლიან რომ პრეზიდენტი „ვერ არის თავის მოტორზე“, - მაშინ ვიცე - პრეზიდენტს და კაბინეტის წევრებს შეუძლიათ პრეზიდენტის მყისიერი გადაყენება აშშ -ს კონსტიტუციის 25 - ე შესწორების საფუძველზე. 2021 წლის იანვარში, კაპტოლიუმზე თავდასხმის დროს, ჯერ კიდევ მოქმედ პრეზიდენტ ტრამპს, (ისე, რომ მან ამის შესახებ არ იცოდა), შეეზღუდა ბირთვულ ჩემოდანზე წვდომა: - გაერთიანებული შტაბების უფროსმა შეცვალა კოდები. რაც შეეხება რუსეთს, პროცედურების შესახებ ღია ინფორმაცია არ არსებობს. ამასწინათ, რუსულმა სააგენტომ „მედუზამ“ გამოაქვეყნა ინტერვიუ რუსეთიდან კანადაში გაქცეულ სამხედრო ექსპერტთან: - პრეზიდენტი პუტინი „ჩემოდანში“ ჩამონტაჟებულ მონოპოლიზაში საიდუმლო კოდით შეყვანით ახდენს ბირთვული ძალების დებლოკირებას, რითაც შესაძლებელი ხდება მათი გამოყენება. იგივე უნდა გააკეთონ თავდაცვის მინისტრმა და გენშტაბის უფროსმაც. შემდეგ ბრძანება მიდის „ქვევით“ ბირთვული ძალების მეთაურთან და უფრო ქვევით - შესაბამის შემსრულებლებთან. თითქოსთანა გრძელდება ჩაჭვივა, არის მექანიზმი „დურაკისგან“ დაცვისა, მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ყველაგან მორჩილი ხალხია დანიშნული, მაინც ერთპიროვნული გადაწყვეტა რეალური, - ამბობს ექსპერტი.

**მ.გ. რას გვეტყვი ევრეთნოდებული „ბირთვული ბომბის“ შესახებ?**

**ბ. მ.** ბირთვული ბომბი - ესაა ჩვეულებრივ ასაფეთქებელ მონოპოლიზაში ჩატვირთული რადიოაქტიური ნივთიერება. ბომბის აფეთქების შემდეგ ეს ნივთიერება გაიფრქვევა და გამოიწვევს გარემოს რადიაციულ დაბინძურებას. შედეგად დაიხოცება ხალხი, განადგურდება ფლორა და ფაუნა. სამხედრო თვალსაზრისით ბირთვული ბომბი არაფრეტურია, იგი დიდ ნგრევას არ იწვევს, მაგრამ ზედამოჭრილია ტერორისტებისთვის. ამიტომ მსოფლიო ცდილობს რადიოაქტიული მასალები ხელში არ ჩაუვარდეს ტერორისტებს. სხვათაშორის, „ალ - ქაიდას“ ბუნაგში ნახეს „ბირთვული ბომბის“ ნახაზები. წარმოდგენაც კი ძნელია, რა მოხდებოდა, მათ რომ გამოეყენებიათ ეს იარაღი ნიუ-იორკში, 2001 წლის 11 სექტემბერს.

**მ.გ. როგორც ვიცი გარდა სტრატეგიულია, არსებობს ტაქტიკური ატომური იარაღიც...**

**ბ. მ.** ტაქტიკური ატომური იარაღი - ესაა მცირე ზომის ატომური ჭურვები, რომელთა გასროლა ჩვეულებრივი საარტილერიო საშუალებებიდანაც შეიძლება. იგი ჩვეულებრივ ჭურვეზე ბევრად უფრო დამანგრეველია. ინვესს გარემოს რადიოაქტიურ დაბინძურებას. ეფექტურია ერთ ადგილზე თავმოყრილი მტრის დიდი შენაერთების წინააღმდეგ. უკრაინის ფრონტი კი 1500 კილომეტრზეა გადაჭიმული, ჯარები გაფანტულია.

**მ.გ. დავუბრუნდეთ ისევ უკრაინას. როგორია მასთან დაკავშირებით მოვლენათა განვითარების თქვენური პროგნოზი?**

**ბ. მ.** სსრკ -ს რაკეტულ - ატომური არსენალის დიდი ნაწილი უკრაინაში იყო განთავსებული. როგორც დასავლეთმა, ისე რუსეთმა უსაფრთხოების გარანტიები მისცა უკრაინას და გაიტანეს ეს იარაღი. რუსეთმა პირობა დაარღვია. სუფთა პროპაგანდისტულია ის სამი მიზეზი, რომელიც რუსეთის პრეზიდენტმა სპეცოპერაციას დაუსახა. ჩემი აზრით, ომის დაწყების მთავარი მიზეზი სხვაა: პუტინი ნელ-ნელა კარგავდა ისეთ რუსეთს, რომელიც მას, როგორც კგბ-ში აღზრდილს უნდოდა. ახალგაზრდებში გაქრა პატრიოტული სული, მდიდრები და მაღალი რანგის ჩინოვნიკები თავიანთ შვილებს საზღვარგარეთ ასწავლიდნენ და ასაქმდებდნენ. ამ ომის შედეგად კი პუტინი სამხედრო ბანაკად გადაქცევს რუსეთს: - მწერლები ისევ დანერგნენ სამხედრო - პატრიოტულ ნაწარმოებებს, კომპოზიტორები შეთხზავენ მარშებს. ხალხი, „ტელეგრაფიკებზე“ ქამარშემოჭერილი, კუშტი სახეებით იჩქარებს სამხედრო ქარხნებისკენ. მთელი ძალით ამუშავდება რუსის გენეტიკაში ჩადებული კოდი „დიდი დერჟავის“ აღორძინების შესახებ... რაც შეეხება პროგნოზს. პუტინი ატომური იარაღის გამოყენებას ვერ გაბედავს. ომი დამთავრდება მოლაპარაკებით და ორივე მხარე თავს გამარჯვებულად გამოაცხადებს. მთავრობა რუსებს ეტყვის: - რაც მიწოდდა შევასრულეთ (დემილიტარიზაცია - უკრაინას თავისი არც იარაღი აქვს და არც მისი ქარხნები, დენაციფიკაცია - ამ მთავრობას მომავალში გაუბედურებული ხალხი აღარ აირჩევს, დონბასის მოსახლეობის დაცვა - ხალხი რუსეთის სიღრმეებში გადაიყვანეს და ვინღა დარჩა დასაცავი?) უკრაინა დაიბრუნებს ტერიტორიის ნაწილს. გამოაცხადებს, რომ რუსეთმა ვერ მოახერხა მთავარი - ვერ ჩამოშალა სახელმწიფო (ანალოგია ჩვენს 2008 წ. ომთან). სინამდვილეში კი, ორივე მხარეს, დამარცხდა უბრალო ხალხი. მამ ვინ მოიგო? მოიგო კაპიტალმა, სამხედრო სამრეწველო კომპლექსმა: - ძველი იარაღისგან დაიკალა საწყობები, წამოვიდა ახალი შეკვეთები და, რაც მთავარია, ჩეჩქვით ფული, ბაბაია, - ფული... ამერიკამ ფაქტიურად დაიმორჩილა ევროპა, რომელიც წარსულში ხშირად ჯიუტობდა და ძუნწობდა შეიარაღებისთვის ხარჯების გაღების საკითხში. ახლა ევროპა აშშ -ს ხელისშემყურება, როგორც თავდაცვის, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით: - ნავთობისა და გაზის დიდ ნაწილს სწორედ ამერიკისგან იღებს. ასევე უკრაინაც ის მთლიანად „ჯიბში ჩაისვა“ ამერიკამ. სად არის ამ დროს საქართველო? ჩვენ ბენვის ხიდზე გავდივართ... ზღვაზე შტორმის დროს გამოცდილი მეზღვაურები ღუზას ახსნიან და გემს ღია ზღვაში უშვებენ. მიჯაჭვული გემი შეიძლება ნაპირთან დაჯახებამ დაამსხვრიოს. შტორმი აუცილებლად ჩადგება, ნაპირიც გამოჩნდება.

P. S. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველო დიდ პოლიტიკურ ქართა კვეთებაში ატომური ბომბის სამიზნე ქვეყნად არც ახლა და არც მომავალში განიხილება, თუ ჭკუით ვიქნებით.

„ჭკუით ყოფნა“ კი იმას ნიშნავს, რომ რადიკალიზმის ნაცვლად განონასწორებულ, ბალანსირების პოლიტიკას მივდივით, ისე როგორც ამას დავით აღმაშენებელი აკეთებდა.

ესაუბრა მანანა გორგიშვილი

## მზიური დათიაშვილი-აფციაური

### კანონზომიერება

თებერვლის ბოლოს კალმახებმა კუდი ტალღას ჰკრეს, ფრენით ცანჩქერის შეუპოვარ ჭავლებს შეებნენ... კლდიდან დაშვებულ მდინარეში სწრაფად შეცურდნენ სათავისაკენ ჩქარ დინებას მკვირცხლად აუყვანენ... სხარტ რაინდებსაც შემურდებათ ცხოვრება მათი, კარგ ვაჟკაცთათვის ძნელი არის პირისპირ ბრძოლა, ნითლად დაწინკლულ კალმახებს კი - საოცრად ესმით ბუნების წმინდა კანონების მტკიცედ გაძღვლა, წყნარ ჯიღებებში ქვირითის ყრას, რომ მორჩებია და სანავარდლო გაშლილ წყალში ინყებენ რბოლას, ბუნების მხატვარ-ორაგულნი აღარ ჩნდებიან... ღრმად მიჰყვებიან მდონარებას ფსკერზე სურთ ნოლა...

### აზრთა სამეფო

აზრთა სამეფო კოსმიური რყევის წინაშე, მისტიურ ძალთა მსხვერპლშენიერვის დროს აფიქსირებს: როცა ვარსკვლავნი სავეს მთვარის ჩრდილში ივანშმებს, მზის ცვარნამდასხმულ დედამინას სხივით იტირებს... და აბორგება ოხშივარი, ნისლებს აიკრეფს... ღრუბლის გორებად აზვირთდება ტრუბადურთ ცრემლი, დიდ მთვარის შუქზე მინა გულზე ჩრდილებს დაიკრეფს, როცა ზღვის კიდეს ცეცხლში დაწვავს დაისის გრდემლი...

### აკვთიელი

გაცრეცილ ნახატს დატყობია სული მფვინვარე, გამოსასყიდი არ დაუკლავთ, ალბათ, გოლიათთ, მიღმა, ვით კიჩო გემბანისა ებრძვის მძვინვარეთ, ტალღებს, რომელთაც სიძულვილი გამოჰყოლიათ...

ცივ სამარეშიც, თუ დრტვინავდა სული ცხოვრების, ვერ ვიჯერებდი, სანამ სიზმრით ხედვა დაიხმე,

უნმინდესთ გრძობად განმძარცვავი, ნირვანათა კრებს, მიძინებულნი სიყვარული დაბდღენის კლავიშებს...

და სათუთა სიყვარულის ნაზი სიმები, ვილონჩელოს პარტიტურას მოსწყვეტს ხმის ლირას? ჩემს დიდ სიყვარულს ამ ცხოვრებით მივეშველები, გაცრეცილ ნახატს მე აღვუდგენ პირველად მირაუს...

შენ კი - დახეთქილ ძარღვებიდან აფრქვევ მდულარე სისხლს და გსურს მწუხრით გადათოვო ირგვლივ, ყოველგან, რა დაგიძვევ? - როს ჩანჩქერი შენ ხარ მქუხარე, მე აიაზმად მოვლენილი მშვიდ მზედ მოვედ და...

მწუხრის სამოსით მიმატოვე ღრუბელთა შორის, ცრემლების ზღვაში უტივოდ ვარ წყალს მიტმასნილი, ჩემი სავანე შენთან არის, უფალთან - ცაში... კვალი კი - არ ჩანს... ცრემლის დენით არის ნაშლილი...

ჰოი, სიყვარულს რა ვუთხარი, თორემ ნავრეკდი, ამ მემოჯარულ ღრუბელთდენას მისტერიისა,

ჰოი, სანუთოვ, რა ძალა ხარ, ასე რომ სდევნი, ყოველ ნაპერწკალს გრგვინვა-ტეხათ ისტორიისა...

ცხადს სიზმრად რად წრთენი, როს სანუთო მყისიერია, რატომ ანვალეზ გაურანდავ გონებას მცნებით: რომ ამ სამყაროს სამართალნი ცისმიერია, ჩვენ კი - სიმუხთლე ამ ქვეყნისა ვცდებით და ვკვდებით...

ჰოი, სანუთოვ, - ერთ სხეულში ორი მღვიმეა, როგორც სამყაროს სიყვარული; მრუმეთ თამაში... თავწყვეტილი სინავარდე დიდი ტურნეა, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს რყევა გამაში!..

მიტომ გაცრეცილ ნახატებში დავეძებ იმ შტრისხს, დიდი სიცოცხლის ნაპერწკალი, რომ არ ჩააქროს, სანთლებანთილი ვხეტიალოვ გარდასულთ შორის, რომ მათმა სუნთქვამ მინავლული, კვლავ რომ აანთოს...

ცხოვრების აზრი - მჩქეფარების დიდი მისია, ეს სიყვარულის კანონია დაუშრეტელი, არა ისეთი, ჩვენ რომ ვინვით: „ვისი - ვისია?...“ არამედ სულის მბრძანებელი არის მკვეთელი!..

## მალხაზ ლომსაძე, სამართლის დოქტორი, პროფესორი

### აჯრამელაული პოეტი

თუ კაცს რაიმე თარიღი მესხიერებაში შემოგრჩება, ეს იმის ნიშანია, რომ იმ დღეს რაღაც განსაკუთრებულ შემთხვევას ჰქონდა და ადგილი, რომელშიც დადებითი ან უარყოფითი ემოციით აგავსო და სამუდამოდ აღიბეჭდა ცნობიერებაში.

ეს მოგონება დადებითი ემოციის შედეგია. წვიმა შეწყდა. 2001 წლის 30 აპრილი გათენდა. ფანჯარა გამოვალე და გაზაფხულის მაცოცხლებელი სურნელით აივსო ოთახი. თბილისი იღვიძებდა. იმ დროს პოლიციის აკადემიაში ვკითხულობდი ლექციებს. სამსახურში ფეხით წავედი. გაზაფხულის ნაწი-მარი დილა მამხნევებდა და ხალისს მმატებდა. ფეხით ავიარე გლდანის აღმართი და გემო კურსანტთა ქუჩაზე გადაუხვიე.

სამსახურში მისულს, ჩემს კაბინეტში ალექსანდრე კვამილავა დამხვდა. მიუხედავად იმისა, რომ იგი ჩემზე ორმოცი წლით უფროსია, ვემგობრობთ. ალექსანდრე მეგრულ სიმღერას ხმადებალი ღლინებდა, ისე ლამაზად და მგრძობიარედ, ამხელა კაცი კინაღამ წავხდი, კინაღამ ხმამალა ამატირა. სიმღერას რომ მორჩა ოთახში მძიმე ნაბიჯებით მოჰყვა ბოლოთის ცემას, მერე გამჭოლი მზერა მესროლა.

- დღეს მურმან ლებანიძე მოდის ჩვენთან, შეხვედრა კლუბში გაიმართება - ამბობს ალექსანდრე ჩემს გასაგონად და პირზე ღიმილი ეფინება.

- ვიცი, - მოკლედ ვპასუხობ თუმცა ამის შესახებ არაფერი ვიცი მაგრამ მექანიკურად ვპასუხობ მაინც და ვეკითხები, - რომელ საათზე მოდის?

- სამ საათზე - რიხიანი ხმით მეუბნება იგი და მეგრული სიმღერის ღლინს აგრძელებს. ეს კაცი მაოცებს, მიუხედავად იმისა რომ ჭარმაგია, მაინც საესეა ენერგიითა და ხალასი, გამჭრიახი გონებით. როცა კომპლიმენტით ამკობ და ეუბნები თუ როგორ გამოიყურება ახალგაზრდა კაცივით, პასუხს არ დააყოვნებს: „შენ ბაბუაჩემი უნდა გენახა, 115 წლამდე იცოცხლა ისე, რომ სათვალეები არასდროს უხმარია და ნემსში ძაფს ისე აგებდა. მიყვარს ამ დარბაისელ კაცთან საუბარი, განსაკუთრებით მაშინ ვძაბავ სმენას როცა ძველ ამბებს იხსენებს და ისე გულიანად ყვება, აღტაცებაში მოდიხარ და პათოსს განიცდი. სამ საათამდე მთელი ექვსი საათია. დღეს ორი ლექცია მაქვს, ნავიკითხავ და თავისუფალი ვიქნები. მერე, მერე რა უნდა ვაკეთო? არაფერი. დაველოდები როდის გახდება 3 საათი და შევხვდები ჩვენ სახელოვან, ალექსანდრე კვამილავასავით ჭარმაგ პოეტს.

ღრომ თვალსა და ხელს შუა გაიბრინა.

სამი საათისათვის კლუბში შევედი. დარბაზი, რომელიც ფუტკრების სკას უფრო ჰგავდა, საესე იყო პროფესორ-მასწავლებლებითა და სტუდენტებით. ყველა ხმადებალი საუბრობდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, ფუტკრებითი ზუზუნებდნენ, მაგრამ ხმაური მაინც ისმოდა. ერთმა სტუდენტმა ადგილი დამითმო.

- მოდიან, - ნამოიძახა ვილაკამ, ათასი ცნობის მოყვარე თვალი შემოსასვლელ კარს მისჩერებოდა და სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

დარბაზში აჩქარებული ნაბიჯებით რექტორთან ერთად მურმან ლებანიძე შემოვიდა, ჭალარა ხშირი თმა და უღვაში ელვანტურ იერს აძლევდა. სცენაზე ავიდნენ, რექტორი მოგვესალმა და გამოაცხადა:

- დღეს ჩვენთან სტუმრად იმყოფება ცნობილი ქართველი პოეტი მურმან ლებანიძე, მივესალმოთ მას. - დარბაზში მხურვალე ტაშმა იგრიალა, არ ცხრებოდა ოვაციები, ყველა გულთბილ დამოკიდებულებას გამოხატავდა პოეტის მიართ.

- ბატონი მურმანი თქვენ გავსაუბრებთ პოეზიის შესახებ და უპასუხებს თქვენს შეკითხვებს, ოღონდ შეკითხვები პოეზიის ფარგლებს არ უნდა გასცდეს - სიტყვა გააგრძელა რექტორმა, მერე შუბლზე დაცვარული ოფლი ქათქათა ხელსახოცით შეიმშალა და იქვე სკამზე დაეშვა. სხვისი არ ვიცი და ჩემ გულს ბავაბუგი გაჰქონდა, არ ვიცი რამ გამოიწვია ჩემში ასეთი ემოციური განწყობა.

მურმან ლებანიძემ დაიწყო საუბარი პოეზიის შესახებ. იგი გამხდარი კაცი იყო, მარცხენა მხარი ოდნავ დაშვებული ჰქონდა მარჯვენა მხართან შედარებით. დარბაზში სირუმე იყო და მხოლოდ პოეტის საამო საუბარი ისმოდა. მონუსხულებივით ვუსმენდით ყველანი მწერალთა კავშირის ყველაზე ხანდაზმულ წევრს. პოეტის მონოლოგი მხოლოდ რამდენიმე წუთიანი იყო და გადავედით კითხვა-პასუხის რეჟიმში.

პირველი შეკითხვა მანანამ დასვა, ქალმა, რომელიც სითამამით გამოირჩეოდა ყველასაგან.

- ბატონო მურმან გვიამბეთ თქვენი ცხოვრების შესახებ? -სახეზე სინითლემ გადაურბინა მანანას, პირი გაუმრა და წყურვილმა შეაწუხა.

- ჩემი ცხოვრების გზა, - დაიწყო მურმან ლებანიძემ თხრობა,- ია- ვარდით მოფენილი არ ყოფილა. დავიბადე 1922 წელს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, დაბა აღსტაფაში. ვიყავი ჩვეულებრივი მოსწავლე, არაფრით სხვებისგან არ გამოვირჩეოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ ვსწავლობდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე. სამამულო ომი მაშინ დაიწყო, როცა 19 წლის გავხდი და მეორე კურსის სტუდენტი გახლდით. უნივერსიტეტის

მერხიდან გამიწვიეს ფრონტზე. ჯერ მარუხის უღელტეხილზე, კავკასიის მთებში ვებრძოდი ფაშისტებს, შემდეგ კრანსოღარის მხარეში-ყუბანთან. 1943 წელს მძიმედ დაავიჭირე, ჭურვის ნამსხვრევებმა ფილტვები დამიზიანა, რის გამოც ფრონტიდან სახლში გამიშვეს. ლექსების წერა როდის დავეწყე ვერ გეტყვით, იმიტომ, რომ ბავშვობაშიც დამიწერია ლექსი, მაგრამ შემდეგ არ მომწონებია და გამინადგურებია.

ჩემი ლექსების პირველი კრებული 1950 წელს დაიბეჭდა, მაშინ როცა 28 წლის ვიყავი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, მინაზე კი არ დავდიოდი, ცაში დაფრინავდი. სიტყვებით ვერ ვგადავცემ შენაგანად რას განვიცდიდი. ყველა ჩემი ლექსი მიყვარს, ყველას ვეფერები. მთავარია ისინი მკითხველმა შეიყვაროს. ფასი არ აქვს მწერალს, თუ მკითხველი არ ჰყავს. ლექსი ხალხის გულებამდე უნდა მივიდეს და ისეთი წვა იგრძნოს, როგორსაც პოეტი განიცდის. თუ პოეტის თუნდაც ერთი ლექსი მაინც შეიყვარა ხალხმა, ეს იმას ნიშნავს, რომ ის პოეტი უკვდავია, მისი ადგილი ხალხის გულშია სამუდამოდ დამკვიდრებული.

მყავს შესანიშნავი მეუღლე - ელენე ჭავჭავაძე, შვილები, შვილიშვილები და ვცხოვრობ ისე, როგორც ქართველს შეეფერება. ბევრი ჩემი ლექსი ოჯახის წევრებზეა დაწერილი. ელენეზე ისეთი ლექსი დავწერე, რომელზეც ჯემალ სეფიაშვილმა სიმღერა შექმნა - გაზაფხული შემოსულა ღენ.

ამჟამად მწერალთა კავშირში ორი ხანდაზმული მწერლები ვართ-მე და ჭაბუა ამირეჯიბი. ჩემი ტკივილი ჩემი საქართველოა. მიწა იყოს ერთიანი, მთლიანი და ბედნიერი და მე მიწა ამ დღეს მოვესწრო.

საუბრობდა პოეტი თავის ცხოვრებაზე და დარბაზი სულგანაბული უსმენდა. ამასობაში გარეთ კოკისპირულმა წვიმამ დაუსვა, მაგრამ ყურადღება ამ მოვლენისთვის არ მიუქცევია, მსმენელებს პოეტის საუბარი სირინოზის გალობასავით ჩაესმოდათ ყურში.

მერე რამდენიმე კითხვა კიდევ დასვეს დარბაზიდან. პოეტი პასუხს დინჯად, აუღელვებლად იძლეოდა.

ბოლოს როგორ იქნა გალახული კაცივით მეც ავითრიე ნელი, ნამოვდექი და ვეკითხები მურმან ლებანიძეს:

-ბატონო მურმან, გალაქტიონი ამბობდა, მზეს მივანერებდი და თვალებს დავხუჭავ. მზე ჯერ ბნელდება, მერე თანდათან ნათდება, ამ დროს მოფრინდებიან ანგელოსები და ლექსებს ყურში ჩამწერჩელებენ. მე კალამს და ფურცელს ვიმარჯვებ და ვწერ ისე, რომ ანგელოსების ნაკარნახევი ერთი სიტყვაც არ გამომჩრჩეს. ასე იწერება ჩემი ლექსები. თქვენც ანგელოსები გკარნახობენ ლექსებს?- ვკითხე და ცოტა არ იყოს სახეზე ნამოვნითლდი, მივხვდი რომ შეკითხვა ბავშვიური იყო, უადგილო და არასერიოზული. დარბაზში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

-არა-გაიღიმა მურმან ლებანიძემ, - მე ლექსებს მანერინებს ან დიდი ტკივილიანი განცდა, ან აღტაცება, სიხარული. ერთი ლექსის ისტორიას მოგიყვებით და ყველაფერი ნათელი გახდება თქვენთვის. ფრონტზე მიღებულმა ჭრილობამ გამახსენა თავი. იმდენად მძიმე მდგომარეობა შემექმნა ხუდადოვზე სამკურნალოდ დამანვინეს. ჭლექი დამიდგინეს ექიმებმა. ჩემთან ერთად სამკურნალო დაწესებულებაში მკურნალობის კურსს გადიოდა პატარა გოგონა დუშეთიდან-თამუნია ქავთარაძე. თამუნია მამა მეტყევე კაცი იყო. განვიცდიდი პატარას მდგომარეობას. მე სენი ისე მომერია, რომ ჩემი ადგილზე გაჩერება შეუძლებელი გახდა და სამკურნალოდ აბასთუმანში გამწერეს, სადაც საუკეთესო ჰავა იყო ტუბერკულოზით დაავადებული პირებისთვის. ერთ მშვენიერ დილას, როდესაც ეზოში დავსეირნობდი დავინახე ეზოში ის პატარა თამუნია ქავთარაძე თამაშობდა. გამეხარდა მისი დანახვა, მაგრამ შევწუხდი მისი მდგომარეობით, შემეცოდა პატარა გოგონას ავადმყოფობა რომ მორეოდა, მძიმედ განვიცადე ბავშვის მდგომარეობა. ამ მძიმე განცდამ ასეთი ლექსი დამანერინა: თამუნია ქავთარაძეს

პირმოლუშული სახითა აქ მრავალს ჩაუვლია... შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია?! ქალაქი - დიდი იმედის! ქალაქი - ტყუპი მექის! დადიან ბრძნული ხველებით ვეტურანები ქლექის... მთაში ირემი აყვირდა ტირილი გაურია... შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია?! სად უცხო ქალაქი არი და სად ვინროში ბლავის არავგი - არავგვანი, იქ უხდა კრეფდე ყავილის!... პირმოლუშული სახითა აქ მრავალს ჩაუვლია... შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია?! ანაურზეთ სოფელი... ნელში გაჩრილი ნალდით ტყეს წავა მამა მშობელი - მუშტისტოლაა დარდით... მთაში ირემი აყვირდა ტირილი გაურია... შენ ამ ქალაქში რა გინდა, პატარა თამუნია?!

დაასრულა პოეტმა ლექსის წაკითხვა და თვალზე ცრემლები ჩამოსდოდა. დიდი პოეტი დიდი სულის პატრონი ყოფილა. იმ მომენტში პოეტის თვალეში რომ ჩაგხედათ დარწმუნდებოდით მის გულწრფელობასა და სიალაღეში. საოცარი ის იყო, რომ დარბაზში მყოფი ადამიანების თვალეშიც სიყვარულის ცრემლები კიაფობდნენ.



სიტყვის ჭეშმარიტი დიდოსტატი - რევაზ მიშველაძე, რომლისთვისაც ყველაზე დიდი ფუფუნება ადამიანური ურთიერთობაა.

დღეს, როდესაც ასე გაიშვიათდა მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული, გვიკვირს საიდან აქვს ამ პიროვნებას ამოდენა სიყვარულის ნიჭი?! ალბათ ღმერთმა უწილადა თავისი გრძნობები. ცხოვრების ქარტეხილებმა ბოლმით კი არ აავ-

მოძრაობითა და გაბედულებით. არის დინჯი, უშიშარი, პირდაპირი, ვაჟკაცური ნებისყოფის, ყველა მის გარშემომყოფზე ახდენს გავლენას, სიმპათიით განაწყობს მათ. ძნელია, მოიძებნოს ისეთი მრავალმხრივი, ძლიერი და დახვეწილი ბუნების პატრონი, როგორც რევაზ მიშველაძე გახლავთ, მას ადამიანის უპირველეს დანიშნულებად მოძრაობა, მოქ-

ანურ სისუსტეს, უზომო ტკივილს, მაგრამ ღალატს - არა, ამ შემთხვევაში შეუძლებელია მალამოს პოვნა, რომელიც ოდნავ მაინც გაანელებს ამ ლოგიკას. იგი გახსნილ ჭრილობას ჰგავს, სისხლი რომ ჟონავს და ვერაფერს შევლი. თუმცა, მას სჯერა ჰეგელისეული შეფასების - „...კაცობრიობის ცივილიზაციის პროცესი კავკა-

## ეპოქის უემქმნელი სახალხო მწერალი და დიდი მოაზროვნე

საქართველოში დღეს ორი უმაღლესი ჯილდო არსებობს: ლიტერატურის და ხელოვნების დარგში რუსთაველის პრემია და საზოგადო მოღვაწეობისათვის დავით აღმაშენებლის პრემია. რ. მიშველაძემ რუსთაველის პრემია 1998 წელს მიიღო, ხოლო ამჟამად, დაუცხრომელი საზოგადო მოღვაწეობისთვის მას დავით აღმაშენებლის სახელობის პრემია მიენიჭა ოქროს ორდენითურთ.

რევაზ მიშველაძეს ქართული მწერლობის წინაშე დიდი დამსახურებისთვის მართებულად უწოდებენ ცოცხალ კლასიკოსს. მისი შემოქმედება ნამდვილად იმსახურებს პატივისცემასა და აღტაცებას, რადგან ხანგრძლივი შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე რევაზ მიშველაძეს არასოდეს მიუტოვებია ტრადიციული პატრიოტული სულისკვეთების მსახურება ენისა და სარწმუნოებისა. ამქვეყნად იშვიათად მოიძებნება კაცი, რომელსაც თავისი მოღვაწეობით სიცოცხლეშივე უკვდავუყვია თავისი თავი და ხელთუქმნელი ძეგლი დაუდგამს მშობელი ხალხის გულში. სწორედ ასეთთა რიგს განეკუთვნება ქართული ნოველის კლასიკოსი და

სო, პირიქით, ადამიანი შეაყვარა. ხარობს, როდესაც ადამიანები ერთმანეთს უახლოვდებიან, ერთმანეთს ეთვისებიან. უნდა ითქვას, რომ რევაზ მიშველაძე არის მეგობრობის ბურჯი, დულაბი, სულიც და გულიც, მეგობრობა მისთვის უდიდესი სიამოვნებაა, ხალხის და მხიარულება ემატება, ფარული დარდი და ნალველი ცილდება... არავითარი საშიშროების წინაშე უკან არ იხევს, ბენვის ხიდზე გავლა ურჩევნია წყნარ, ყველაფერთან შერიგებულ ცხოვრებას. მისთვის დაბრკოლებათა გადალახვა, საიდუმლოს უკეთესად შეცნობის გზაა.

სხვათა ჭირ-ვარამის გამზიარებელს თავისი ტკივილები არასოდეს მოუხვევია ვინმესთვის.

„კარგი ქართველი“... თუ ვინმეს შეეფერება ეს სიტყვა, ერთი მათგანი რევაზ მიშველაძე გახლავთ. ჩვენ მასში, ყველა იმ თვისებას ვხედავთ, რაც ასე ძალიან სჭირდება დღეს თითოეულ ჩვენთაგანს, სჭირდება ჩვენს ერს. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ მისთვის, როგორც სახალხო მწერლისა და მოაზროვნისთვის, მთავარი არის აზრისა და მოქმედების ერთიანობა. მისი ცხოვრება, აღსავსეა ძიებით და მისწრაფებებით,

მედება, აღმასვლა და ხალხისთვის, სამშობლოსათვის სარგებლის მოტანა მიაჩნია. შექმნა, შენება, მატება, მიღწეულით არდაკმაყოფილება სახალხო მწერლის, ყველასათვის ხელმისაწვდომელი, ნათელი და გამჭვირვალე ეპოქის შემქმნელი ადამიანის მთელი ცხოვრების ქვაკუთხედს წარმოადგენს. რევაზ მიშველაძის მრავალფეროვან შემოქმედებაში გახსნილი და წინ წამოწეულია ჩვენი ერის ხასიათი, თითქმის ყველა კუთხის მცხოვრების თავისებური ბუნება და შინაგანი მომხიბვლელობა. თითოეულ მათგანს მწერალი ისეთი ინდივიდუალურობით, მხატვრული დამაჯერებლობითა და რეალისტური ტონებით აღწერს, რომ მკითხველს არასოდეს დაავინწყდება.

თავად რევაზ მიშველაძე გახლავთ სამართლიანი, მამაცი და ერთგული პატრიოტი და ამასვე უქადაგებს იგი ადამიანებს, უქადაგებს შთამბეჭდავად, ამავე დროს მკაცრად აკრიტიკებს ყველას, ვინც ცხოვრების რიტმს ჩამორჩება იჩენს დაბნეულობას და ვეღარ გრძნობს შემოქმედების შრომით მინიჭებულ ნამდვილ სიხარულს - ყველაფერს შევეგუები, - იტყვის ხოლმე ბატონი რევაზი - ადამი-

სიიდან, კერძოდ საქართველოდან იწყება“. რევაზ მიშველაძე ნამდვილად არის თავისი სამშობლოს უბადლო მესიტყვე და მართალი სიტყვის მსახური. მიუხედავად მრავალი ქარტეხილების და განგებისგან მოვლენილი განსაცდელისა, რევაზ მიშველაძის პიროვნება ყოველთვის იყო პატივისცემის საგანი როგორც ხალხის, ისე კოლეგების მხრიდან. ნებისმიერი ხელისუფალი იძულებული იყო ეღიარებინა მწერლის მამულიშვილური ღვაწლი და დაეფასებინა მისი ერთგულება და თავგამებება ეროვნული ინტერესების დასაცავად.

ამ დღეებში ნობელის პრემიის ნომინანტი, ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე, რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პროფესორი რევაზ მიშველაძე დაჯილდოვდა დავით აღმაშენებლის სახელობის პრემიით „ძღვევაი საკვირველი“ და ოქროს ორდენით.

ბატონო რევაზ! კიდევ ერთხელ გილოცავთ ამ დამსახურებულ საპატიო ჯილდოს, გისურვებთ დღეგრძელობას და მზეგრძელობას მშობელი ქვეყნის სადიდებლად.

ჯემალ გაბელია



ნანა კობალაშვილი

ცრემლების ზღვარზე

„ლამაზ ქალს ლამაზი აზრის ტარება აქცევს ღმერთად“.

ვაჟა

ქართველისათვის სილამაზე თვალში ჩამდგარი მზე და პირზე მოთამაშე აპრილია. საქართველო „მშვენიერთა სავანედ“ აღიარებული ქვეყანაა. ქართველ ქალთა სილამაზემ შორს გაითქვა სახელი, მაგრამ სიტუირფე არ ყოფილა ქართველი ქალის ერთი ღირსება. საუკუნეების სიღრმიდან მოყოლებული მშვენიერ ქართველ ქალს ბევრი ქართველი და უცხოელი თაყვანისმცემელი ჰყავდა. ისინი სილამაზესთან ერთად ამ მანდილოსნების მრავალმხრივ განათლებას, ნიჭიერებას, ზნეკეთილობას ეტრფოდნენ. ქართველი ქალი ყოველთვის უნიკალური დიდი ქართული კულტურის ნაწილი იყო. საქართველოში იყვნენ, არიან და მუდამ იქნებიან ეროვნული კულტურის მატარებელი ქალები. ვინ იცის, რამდენი სილამაზე და ნიჭიერება ჩაესვენა მზის ქვეშეთში, რამდენი მშვენიერება დაიფერფლა.

ეს მოგონება ეძღვნება ჩვენგან უდროოდ წასულ სოხუმელ უნიჭიერეს პოეტ ქალს ეთერ სამხარაძე-ჯღამაძეს. ქალს, რომელიც თავად იყო სილამაზის, ნიჭიერების და სათნოების განსახიერება. ეთერმა თავისი გარეგნობით და სიცოცხლით სავსე პოეზიით მარადიულობის წიაღში მოაქცია მშვენიერი ქართველი ქალი. ვინც კი ერთხელ მაინც შეხვედრია ეთერს, არ შეიძლებოდა მისი მომხიბვლელობით და მშვენიერებით არ გაოცებულიყო. ეს მომხიბვლელობა და სილამაზე თან სდევდა მის ფიზიკურ და სულიერ სამყაროს.

იგონებს პოეტი ჯანო ჯანელიძე: მახსენდება ჩვენი პირველი შეხვედრა. ქუჩაში ვიდექი პოეტთან შეხვედრას ველოდი და ვლეღავდი. ერთმანეთს მივესალმეთ და წამით მისმა გარეგნობამ პოეზია დამავინყა, ჩემს წინ მშვენიერი ქალი იდგა, თაფლისფერი, ხალისიანი თვალები და მერცხლისფრთებით გაშლილი წარბები მის სანდომიან ლამაზ სახეს ძალიან უხდებოდა. ჩვენ წლების მანძილზე ახლონი ვიყავით ოჯახებით, ხშირად ვსტუმრობდით ერთმანეთს, ის თბილისში, ჩვენ სოხუმში, სადაც ლამაზი სახლი და მშვენიერი ვარდების ბაღი ჰქონდა. ქართული პოეზია არ არის განებივრებული ქალთა

სიმრავლით, მაგრამ იმათ, ვისი სიყვარულიც ქართველის მეხსიერებას შემორჩა, დაუფინყარი კვალი დატოვეს ქართულ მწერლობაში. ეთერის ლექსებმა მზის სხივივით შემოანათა ქართველი მკითხველის გულსა და გონებაში და ჰპოვა აღიარება და სიყვარული. მისი ლექსების ემოციურობამ, ტბილზმოვანებამ, გულწრფელობამ, სითბომ და მრავალფეროვნებამ, სამყაროს და მოყვასის უსაზღვრო სიყვარულმა მაშინვე მოხიბლა მკითხველი. ეთერი ყველასათვის საყვარელი, დაფასებული მოფერებული ქალბატონი იყო. იგი მშვენიერ ქალთა იმ ამპლუას ეკუთვნის, დღესაც რომ გვინათებს ზეციური საქართველოდან.

ჭეშმარიტი პოეზია უკვდავია, ის უკვე მარადისობას ერწყმის და მარადიულობის შარავანდედითაა მოსილი. ეთერის პოეზია ისე, როგორც ყოველი ჭეშმარიტი პოეზია, ძალიან ფაქიზად ეხება ადამიანის გულის სიმებს, ყოველ მწებდობის ჟამს ამხნევეს და იმედს აძლევს, ეფერება მათ. მისი ხელით იწერება ულამაზესი სტრიქონები, რომელიც მრავალი უბედურების გადამტან ადამიანის გაუხეშებულ სულს მალამოდ ედება, ამშვიდებს და აბედნიერებს, თუმცა ქვეყნის სატიკივარი მისთვის გაუნელებული სევდაა...

„დალილი ხარ, ჩემო ტკბილო საქართველო, შენი ზეცა ცრემლისფერია“, რა დიდი ტკივილია ამ სიტყვებში. ასე ქალური სინაზით ამბობს დიდ სათქმელს. მკითხველმა იგრძნო, რომ მის წინაშეა პოეტი, რომელსაც ყალბი პათოსის გარეშე თავის თანამედროვეობასთან უშუალო და გულში ჩამწვდომი გულწრფელი საუბარი სურდა. მკითხველმაც გული გაუხსნა ეთერის ლექსებს, სიყვარულითვე უპასუხა პოეტის სიყვარულს. ლექსი გულში, პოეტის მღელვარე გულში იბადება. ლამაზად თქვა პოეტმა ქალბატონმა მარიჯანმა: „კარგი ლექსის დაწერას ხელს არავინ უშლის, კარგი ლექსი იბადება უსპეტაკეს გულში“.

როცა ეთერის ლექსებს კითხულობ გრძნობ, რომ სიყვარულის მღელვარების და გულწრფელობის გარეშე არც ერთი სტრიქონი არ დანერილა, გულწრფელობა მისი ლექსების მაჯისცემია, პოეტის გული მძაფრი ემოციების ტყვეა ეს ყოველისმომცველი განცდა, ტკივილი თუ სიხარული ლექსში ჰპოვებს შვებას. მეხსიერებაში ტიციანის ლექსი ამომიტივტივდა: „არცერთი სიტყვა არ დამცდენია მხოლოდ იმისათვის, ლექსი რომ მეთქვა, როცა პწკარები პწკარებს ერთიან, საკუთარი გულის მაშინებს ფეთქვა“.

მისი ლექსები მკითხველისთვის ის ჯადოსნური სარკეა, რომელიც აირეკლავს მშვენიერი ქალის მშვენიერ პოეზიას.

სხივი მწველი ბალახებში იმალება, ქარი უმღერს ჩვენს ანწყოს და წარსულს, ნურც მოშლოდეს ქართულ ზეცის ბრწყინვალეობა, საქართველოს პირმშვენიერ ასულს.

მოვსულვარ სიბრძნის და სიმშვიდის მოსაპოვებლად, შენთა ნესტანთა თუ თამართა შესამკობელად... მოვსულვარ ქვეყნად ზღაპრულ ფრესკის უცნაურ ფერით,

დღეს თუმცა კვალი მამჩნევია გარდასულ ომთა... რამდენჯერ ტყვია გასროლილი მტარვალთა ხელით გიშრის ნანაზე მოშრიალეს შგ გულში მომხვდა... დღეს დაჭრილ მკერდზე მახნვია ვარდი ოცნების, თაყვანისმცემელს მამულის და პატიოსნების.

ეთერის პოეზია ლოცვაა, სიყვარულის ლოცვაა. მე მის ლექსებს სიყვარულის ბარათები დავარქვი. როცა მის ლექსებს კითხულობ, შენც თავიდან გიყვარდება შენი საქართველო, მისი თვალწარმტაცი ბუნების დამატყვევებელი სილამაზე, ზღაპრული პეიზაჟები...

ეთერისთვის ყველა და ყველაფერი სიყვარულის ობიექტია. შენც თავიდან გიყვარდება შენთვის ძვირფასი ადამიანები, მანამდეც გიყვარდა, როგორ არა, მაგრამ თითქოს შენს სიყვარულს რაღაც აკლდა. შენც პოეტივით შეყვარებული თვალით უყურებ სამყაროს, ეთერის პოეზია გხიბლავს, ჩაგაფიქრებს...

მაცხოვრის ხატთან დავდგები და გეტყვი ალერსით, ჯვარი გწერია, საქართველო, ჯვარი გწერია, რამდენი გიცქერს ქვეყანაზე მუშტრის თვალებით, ჯვარი გწერია იმ თვალთავან, ჯვარი გწერია... მაინც რა არის ასე ტკბილი შენზე ოცნება, სულ შენ გეკუთვნის თუ რამ ტრფობით დამინერია. ქართველი ერის სალოცავო და საოცრებავ, ჯვარი გწერია, საქართველო, ჯვარი გწერია...

ეთერის თითქმის ყოველი მეორე ლექსი მამულის უზომო სიყვარულია. შენი სიტუირფე თუ დამამუნჯებს სული სიმწვანით კვლავ აივსება, ჩემო მამულო, ჩემო საუნჯევ, ჩემო სიცოცხლის გამაისებავ! შენს ყოველ ბუჩქს, ყვავილს, ბალახს სატრფოს თვალთ ვაკვირდები, შენი მინის ავგაროზად ყელზე ჩამოსაკიდები.

ვკითხულობ მის ლექსებს და ვიცი, რომ მისი პოეზია მარად ახალგაზრდა იქნება, მისი ლექსების საოცარი სიმსუბუქე, ემოციების და ფერების მდიდრული პალიტრა ახლაც ისევე გხიბლავს, როგორც ადრე. ეთერი ერთხელ ქიზიყში, სოფელ ანაგაში გვესტუმრა. მეორე დღეს ბოდბეში წავიყვანეთ წმინდა ნინოს საფლავის მოსალოცად. ეკლესიიდან გამოსულები ტაძრის ეზოში შევეკონდით. უეცრად ეზოს ბოლოდან შემოგვესმა, - „შეხედეთ ეთერია, ეთერი, სოხუმელი პოეტი“. იმ წამსვე 16-17 წლის გოგო-ბიჭებმა მოიბრინეს და გარს შემოგვეხვივნენ. ეთერს სიყვარულით და მოწინებით შესცქეროდნენ. მერე შავთვალა გოგო ეთერს წინ დაუდგა და მისი ლექსი „იმ გაზაფხულზე“ წაგვიკითხა.

ბეჭდის თვლებივით დასატაცები, მზემ ბრონეულებს შეხსნა მარცვლები... და რა მარცვლები, რა წარმტაცები და რა ცეცხლოვან თვალთა გამძლები!.. რა ნეტარების იდგა ნუთები იმ გაზაფხულზე განსაკუთრებით! ეთერს თვალზე ცრემლი მოადგა. გოგოს ხელი მოხვია და გულში ჩაიკრა. ახალგაზრდები ყველა სათითაოდ გადაეხვია. ეტყობოდათ, ბედნიერები იყვნენ, ბედნიერი იყო ეთერი, ბედნიერები ვიყავით ჩვენც.

პოეზია სულთა შეხების მყუდრო სავანეა, პოეზია სულის მუსიკაა. ეთერის პოეზია თავად არის მუსიკა, ალბათ ამიტომ დაინერა მის ლექსებზე ამდენი სიმღერა. პოეტი, რომლის ლექსები ხალხმა ზეპირად იცის და მრავალ სიმღერაში ჟღერს, ხალხში აღიარებული და ხალხისთვის ძვირფასი პოეტი. ეთერის ლექსს მაღალი ჭერი აქვს. ღირებულები ამ ლექსებში სიღრმე და სიმალეა. მამულის სიყვარულს უბრუნდება, მამული იკითხება თითქმის ყოველ მეორე ლექსში. მამული უპირველესი და უსაყვარლესია. რომელი ერთი ლექსი ან ფრაზა გავიხსენოთ. მისი ლექსები დავინყვებას არ მიეცემა, მათში პოეტი ადამიანის სულის იდუმალ სიმებს ეხება. ეს მშვენიერი და დიდებული ქალბატონი თითქოს მისანის თვალთ იხედება ქალის სულის ხვეულებში.

ეთერის მშობლიურმა სოფელმა პოეტს სიმბოლური სასაფლაო გაუქვია. ჭიათურაში, ქალაქის ცენტრში ეთერის სახელობის სკვერი გაკეთდა. „უვიწყარა“ დაარქვეს.

ვერასოდეს გავბედე ეთერისთვის მეთქვა, რომ ლექსებს ვწერდი. ახლა კი მინდა, მის ნათელ ხსოვნას ჩემი ლექსით მოვეფერო.

მინდვრის ყვავილზე თვალს ახელს ნამი, ნაჭრილობევი დილა თენდება, ცამ გადაკეტა ყველა სარკმელი, ნაომარ ბაღებს კვირტები სცვივა. აფხაზეთია შენი ტკივილი, ცივ სამარეშიც ბორგავ დაჭრილი, ამ მიწა-წყალზე შეყვარებული, ახლაც წრფელი ხარ თოთო

ბავშვივით. შენი ლექსები, სხივმოსილი ნაზი პეპლები,

იფარფატებენ დაუსაბამოდ, მათშია შენი უკვდავება და ამაღლება, პოეზიაში გადამდნარი ეს სიყვარული.

გამხდარა ჩვენი სულის მალამო. დღე ხვალინდელი თვალს გაახელს სხივით მოსილი და გულუბრყვილოდ გაუღიმებს ზეცის მზიანეთს, შენი თვალების უზადო ეშხი, სითბო და სხივი, სოხუმის დილას ძველებურად აამზიანებს.

„თუ გადამქრალი შენ ხარ ვარსკვლავი, ახლაც გვინათებს შენი მშვენიება,“ ცაზე გაკრთბა მზის სხივი წამით, როგორც ნატვრა გარდასულ დღეთა და მოჩვენება.

რიუნოსკე აკუტაგავა  
ცხვირი

ბერი ძენტის ცხვირის ამბავი ყოველმა სულიერმა უწყობდა იკენოოში. ეს ცხვირი ხუთი-ექვსი სუნიისა იყო სიგრძეში და ტუჩების მიღმა ნიკაპამდე აღწევდა, იმავდროულად მისი სისქე, როგორც ფუძესთან, ისე წვერთან, სრულებით ერთგვარი გახლდათ. ასე დასთრევედა სახის შუაში იმგვარი საგანი, ძხვი რომ გეგონებოდათ.

ბერი ორმოცდაათს გადაცილებული იყო, და მთელი ცხოვრება, აღკვეცის შორეული დროიდან ჩვენს დღეებამდე, უკვე ნაიდოძე-გუბუს ღირსებამდე ამაღლებული, სულით მწარედ მწუხრებდა ამ ცხვირის გამო. რასაკვირველია, ახლაც კი თავს იკატუნებდა, თითქოს ეს ამბავი ცოტას ანაღვლებდა. საქმე მარტო ის როდი იყო, რომ ცხვირის გამო ტანჯვა სასულიერო მოღვაწისთვის შეუფერებლად მიიჩნადა, რომელსაც ვალად ადევს, საკუთარი გულის ზრახვანი მომავალ არსებობას მიუძღვნას ამიდა ბუდას სიახლოვეს. უფრო ის ადარდებდა, ვინმეს არ შეეცყო, რა ძლიერ აწუხებს საკუთარი ცხვირის ამბავი. ყოველდღიური საუბრების დროს ყველაზე მეტად იმის ემიზნობა, სიტყვა ცხვირებზე არ ჩამოვარდნილიყო.

ბერს ცხვირის გამო გული ორი მიზეზით უწუხებდა.

პირველ ყოვლისა, გრძელი ცხვირი ყოფით უხერხულობას უქმნიდა. მაგალითად, ბერს არ შეეძლო, დამოუკიდებლად მიერთმია საკვები. თუკი სხვის დაუხმარებლად ჭამდა, ცხვირის წვერი კერძის ჯამში ჩასდიოდა. ამიტომ ტრანკვილისას ბერს მაგიდასთან თავის პირდაპირ მონაფეთაგან ერთ-ერთის დასმა უნებდა, რათა იმას ცხვირი სუნის სიგანისა და ორი სიაკუს სიგრძის საგანგებო ფიცრის ნაჭრით დაეკავებინა. ასეთი მეთოდით საკვების ყოველ ჯერზე მირთმევა ადვილი საქმე სულაც არ იყო როგორც მონაფის, ასევე მოძღვრისთვის.

ერთხელ მონაფის ნაცვლად ცხვირი მორჩილს ეკავა. შუა ტრეპუზობისას მან დააცხიკვა, ფიცრიანი ხელი შეერხა, და ცხვირი ბრინჯის ფაფაში ჩავარდა. ხმა ამ შემთხვევის შესახებ თავის დროს თვით დედაქალაქამდე ჩააღწია... და მაინც ეს არ ყოფილა უმთავრესი მიზეზი, რის გამოც ბერს ცხვირის ამბავი აწუხებდა. სინამდვილეში ის შელახული თავმოყვარეობის გამო წუხდა.

იკენოოს მცხოვრებლები ამბობდნენ, ბერ ძენტის, ცხვირის შემხედვარეს, კიდევ გაუმართლა, ბერი რომა და არა ერისკაცი, თორემ საეჭვოა, მონახულიყო ქალი, რომელიც ცოლად გაყოლაზე დასთანხმდებოდა. ზოგი კრიტიკანი იმასაც ამტკიცებდა, თითქოს იგი სწორედ ცხვირის გამო აღკვეცილიყო. თუმცა ბერს ოდნავადაც ვერ წარმოედგინა, მისი სასულიერო ფენისადმი კუთვნილებას თუნდაც მცირედად მაინც შეემსუბუქებინა ტანჯვა, რომელსაც ცხვირი აყენებდა. თავმოყვარეობა ღრმად ჰქონდა შელახული იმგვარი მოსაზრების გამო, როგორც დაოჯახების საკითხი გახლდათ. ამიტომაც ცდილობდა, საკუთარი სიამაყის იარები განეკუთვნა როგორც აქტიური, ასევე პასიური ხერხებით.

პირველ ყოვლისა, ბერი ეძებდა საშუალებას, როგორ ექნა ისე, რომ ცხვირი უფრო მოკლედ გამოჩენილიყო, ვიდრე სინამდვილეში იყო. როცა სიახლოვეს არავინ ეგულებოდა, მთელი ძალით ცდილობდა, თავისი ფიზიონომია ყოველი შესაძლო მხრიდან შეეთვალერებინა. საითაც არ შეაბრუნა თავი, გული ვერ დაიმშვიდა, და დაიძინებოდა ჩასცქეროდა საკუთარ ანარეკლს, ხან ლოყას ხელით შეიკავებდა, ხანაც ნიკაპზე მიიდებდა თითებს. მაგრამ ვერც ერთხელ ისე მოკლედ ვერ დაინახა ცხვირი, რომ ამას დაეწყნარებინა. და რაც უფრო უმძიმდებოდა გული, მით გრძლად ეჩვენებოდა ცხვირი. მაშინ ბერი სარკეს ყუთში გადაამალავდა, ჩვეულებრივზე მძიმედ ამოიხრავდა და უნძილად უბრუნდებოდა ძველ ადგილს პიუპიტრთან, სუტრა „კანონ-კეს“ საკითხავად.

ბერს ყოველთვის აწუხებდა სხვისი ცხვირი. იკენოოს ტაძარი იმ სალოცავთაგანი გახლდათ, სადაც ხშირად იმართება კურთხევების ცერემონია, იკითხება ქადაგებანი და ასე შემდეგ. ტაძარში უამრავი სენაკი იყო ჩამყვებული, მის აბანოში ყოველდღე აცხელებდნენ წყალს. მომსვლელები — ბერები და საერო ადამიანები — უჩვეულოდ მრავლად იყრიდნენ თავს.

ბერი დაუღალავად ათვალერებდა ამ ადამიანთა სახეებს. იმედოვნებდა, იმგ-

ვარივე ცხვირიანი ერთი კაცი მაინც ეპოვა, როგორც თავად ჰქონდა, მაშინ გულიდან ლოდი მოეხსნებოდა. ამის გამო მისი თვალები ვერ ამჩნევდნენ ვერც ცისფერ ქურთუქებს, ვერც თეთრ კიბონოებს, ხოლო ერის ხალხის ყავისფერ ქუდეებსა და სასულიერო პირთა რუხი ფერის სამოსს იმდენად შეჩვეოდა, რომ ისინი მისთვის თითქმის არ არსებობდნენ. ბერი ადამიანებს ვერ არჩევდა, მხოლოდ ცხვირებს ხედავდა... ხოლო ცხვირები, უკეთეს შემთხვევაში, მოკაუჭებულები იყვნენ, ისეთი ცხვირის ნახვა, როგორც თვითონ ჰქონდა, არც რგებოდა. ყოველი დღის შემდეგ ბერი სულიერად უფრო და უფრო ეცემოდა. როცა ვინმეს ესაუბრებოდა, იგი გაუცნობიერებლად იმწყვდებოდა თითქმის ჩამოკიდებული ცხვირის წვერს, თან ყოველ ჯერზე ნითლდებოდა, მთლად ბავშვივით, რომელსაც ცელქობისას ნაასწრეს, ამაღვარი გარემოება სრულად ამ საშინელი სულიერი მდგომარეობიდან გამომდინარეობდა.

დაბოლოს, როგორმე რომ გული დაეწყნარებინა, ბერი ეძებდა ამგვარივე ცხვირიან პერსონაჟებს, როგორიც თვითონ იყო, ბუდისტურ და საერო წიგნებში. თუმცა არც ერთ წმინდა წიგნში არ ენერა, რომ მაუდგალიანს ან შარიპუტრის გრძელი ცხვირები ჰქონოდათ. ნაგარჯუნა და აშვაგხოშაც ასევე, რასაკვირველია, სავსებით ჩვეულებრივ ცხვირიანი წმინდანები აღმოჩნდნენ. როგორცაა ჩინეთის შესახებ საუბარში ბერმა გაარკვია, თითქოს შუხანის თავდას, ლუ სიუნ-დეს გრძელი ყურები ესხა, და იფიქრა, რამდენად ნაკლებ უულად იგრძნობდა თავს, საუბარი რომ ცხვირზე ყოფილიყო.

იმავს ენის დასველებაც არ ღირს, რომ ბერი, როცა თავს პასიურ საშუალებებზე იტყებდა, ასევე სინჯავდა თავის ცხვირზე ზემოქმედების აქტიურ საშუალებებსაც. აქ მან ასევე ყველაფერი მოსინჯა, რისი გაკეთებაც კი შეიძლებოდა. დამწვარი გოგრის ნაყენიც დალია, თავისი ფსელით ცხვირის შეხვევაც ქნა, მაგრამ რაც უნდა ელნა, ცხვირი მაინც ტუჩებსკვემით ეკიდა ხუთგოჯიანი ძხვივით.

მაგრამ ერთხელაც შემოდგომით ბერის ერთმა მონაფემ, მისი დავალებით დედაქალაქს რომ იყო გაგზავნილი, იქ ახლობელი მკურნალისგან შეიტყო გრძელი ცხვირების დამოკლების მეთოდის შესახებ. ეს მკურნალი ადრე ჩინეთში ყოფილიყო და დაბრუნების შემდეგ სასულიერო პირად მოქცეულიყო ტერაკუს ტაძრის ბუდის მთავარ ქანდაკთან. ბერმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ცხვირების საკითხი საერთოდ არ აღუვლებდა და ისიც კი არ ნამოცდენია, რომ სასწრაფოდ უნდოდა ნახსენები მეთოდის მოსინჯვა. მეორე მხრივ, მან, სხვათა შორის, შეამჩნია, რომ უკიდურესად არასასიამოვნოდ რჩება მონაფის შეწუხება ყოველ ჯერზე, როცა საკვებს იღებს. სულის სიღრმეში ელოდა, რომ მონაფე დაუწყებს დაყოლიებას, მოსინჯე ეს მეთოდი. მონაფე მშვენივრად მიხვდა ბერის ეშმაკობას. და რაც უნდა ამაზრზნე ყოფილიყო მონაფისთვის ის ცბიერება, მასზე უფრო მეტად იმოქმედეს, იმდენად, რომ თანაღობა აღუძრეს, იმ გრძნობებმა, რომლებმაც აიძულეს ბერი, მისთვის მიემართა. როგორც ბერი მოელოდა, მონაფე, ბოლოს და ბოლოს, მოლბა მძაფრი მუდარის შემდეგ.

რაც მეთოდს შეეხება, იგი მეტისმეტად მარტივი იყო: ცხვირი მდულარეში უნდა დაეფუჭებოდა მერე ფეხებით კარგად გაეთვალათ. წყალს ტაძრის აბანოში ყოველდღე აცხელებდნენ. მონაფე ნავიდა და დიდი მათარით მდულარე მიტანა, ისეთი ცხელი, რომ შიგ თთისაც ვერ ჩაყოფდი. პირდაპირ ცხვირის მათარაში ჩაყოფა შეუძლებელი ჩანდა, მდულარის ორთქლი სახეს დამწვრობას მიაყენებდა. ამიტომაც გადაწყდა, ხის ჭურჭელში ნახვრეტი გაეკეთებინათ, იმით მათარა დაეხურათ და ცხვირი მდულარეში იმ ნახვრეტიდან ჩაეყო. ცხვირი რომ მდულარეში ჩაჰყო, ეს მტკივნეული სულაც არ აღმოჩნდა. რაღაც დრო რომ გავიდა, მონაფემ უთხრა:

— უკვე საკმარისად იქნება მოხარშული. ბერმა მწარედ გაიცინა. გაიფიქრა, ახლა რომ ვინმე ისმენდეს ამ ფრაზას, თავშიც არ მოუვიდოდა, რომ საუბარი ცხვირს შეეხებო. ცხვირი კი, მდულარით დაფუჭებული, ისე აეკავა, თითქოს რწყილებს დაეკბინოთ. ბერმა ცხვირი ჭურჭლის ხვრელიდან გამოიღო. მონაფე ორივე ფეხით შესდგა ცხვირს, ჯერ კიდევ ორთქლი რომ ასდიოდა და დაუწყო ტკეპნა რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ბერი იხვია, ცხვირი ხის იატაკზე განერთხო და ხედავდა, როგორ ადი-ჩამოდიოდა მონაფის ფეხები მის წინ. დრო და დრო მონაფე სიბრაულოთ დახედავდა ბერის მოტვლებილ თავს და ეკითხებოდა:

— არ გტკივთ? მკურნალმა გამაფრთხილა, მაგრამ უნდა დატკეპნოთო. გტკივთ? ბერს სურდა, თავი გაექნია იმის ნიშნად, რომ არ სტკივა, მაგრამ ცხვირზე მონაფის ფეხი ედგა, და ვერ გაერყია. მაშინ თვალები ალაპყრო და მონაფის სიცივისგან დახეთქილ ქუსლებს მიჩრებულმა გულმოსულად უთხრა:

— არა, არ მტკივა. მართლაც, აქავებული ცხვირის ტკეპნამ ბერს იმდენი ტკივილი კი არ მოუტანა, რამდენიც სასიამოვნო განცდები.

რაღაც დროის შემდეგ ცხვირზე, ბოლოს და ბოლოს, უცხო ბურთულები დაასხდა, ფეტვის მარცვლების მსგავსი. ზუსტად ისე, როგორც ხდება მაშინ, როცა განაუტულ ქათამს ბრანავენ. ეს რომ შეამჩნია, მონაფე ცხვირიდან გადმოვიდა და თითქოს თავისთვის, ჩაიდუდღუნა:

— ნაბრძანები მქონდა, ესენი თმის მათი ამომეცლია.

ბერი, უკმაყოფილებისგან გაბერილი, უსიტყვოდ დაჰყაბულდა. ის კი არ იყო, რომ არ ესმოდა მონაფის კეთილი განზრახვისა, არა, ის ამას ხვდებოდა, მაგრამ უსიამოდ რჩებოდა, რომ მის ცხვირს უცხო საგანივით ექცევიან. და იმ სნეულის დარად, რომელსაც ოპერაციას ნდობის არმქონე ექიმი უკეთებს, ზიზილი შესცქეროდა, მაშინ როგორ ამოჰქონდა მონაფეს ცხვირი მისი ცხვირიდან. ცხვირის ნაფლეთებს ფრინველის ბუმბულის ღეროს ფორმა ჰქონდათ, დაახლოებით ოთხი ბუს სიგრძისა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ეს პროცედურა დასრულდა, მონაფემ შევებით თქვა:

— ახლა კიდევ ერთხელ გაეფუჭეთო.

ბერმა ისევე იმავე უკმაყოფილო იერით შეუდგა იმის ქნას, რაც უთხრეს. და როცა მეორედ გაეფუჭებული ცხვირი მათარაიდან ამოიღეს, აღმოჩნდა, რომ იგი ისე მოკლე იყო, როგორც არასდროს. ახლა არაფრით განსხვავდებოდა სავსებით ჩვეულებრივი მოკაუჭებული ცხვირისგან. ამ დამოკლებულ ცხვირზე ხელის ფერებით, შინაგანი თრთოლითა და უხერხულობის განცდით ჩახივდა ბერმა სარკეში, რომელიც მონაფემ მიუტანა.

ცხვირი, სწორედ ის ცხვირი, რომელიც ოდესღაც ნიკაპამდე დასთრევედა, დაუჯერებლად დაჰატარებულყოფი და ახლა მორიდებულად კმაყოფილდებოდა ტუჩის ზემო ადგილით. აქა-იქ ზედ ნითელი ლაქები აჩნდა, ალბათ მონაფის ფეხებისგან დარჩენილი კვალთ თუ იყო. ახლა კი, უეჭველად, დაცინვას ვერავინ დაუწყებდა... სარკიდან ბერს სახე შემოჰყურებდა და კმაყოფილი ახამხამებდა თვალბებს.

მართალია, ბერს ემიზნობა, ორი-სამი დღის შემდეგ ცხვირი ძველი სიგრძე არ დაბრუნებოდა, ამიტომ, ნებისმიერ ხელსაყრელ დროს, წმინდა წიგნების ხმაბალა კითხვა იქნებოდა თუ ტრანკვილბა, ხანდისხან ხელს მაღლა სწევდა და მაღულად ისინჯავდა ცხვირის წვერს. ოღონდ ცხვირი მეტად ნესიერად მოწყობილიყო ტუჩის ზემო ადგილზე და, როგორც ეტყობოდა, არც ჰქონდა განზახული, იმის ქვემოთ ჩამომკვებულყოფი. ადრე დილით, მეორე დღეს, როგორც კი გამოიღვიძა, ბერმა უმალ ცხვირზე მოიფათურა თითები. ცხვირი ისევე უწინდებურად მოკლე აღმოჩნდა. და მაშინ ბერმა უდიდესი შიშით იგრძნო, თითქოს მრავალწლიანი ღვანლი განესრულებინოს „წმინდა ლოტოსის სუტრის“ გადასაწერად.

მაგრამ ორი-სამი დღეც არ იყო გასული, რომ ბერმა მოულოდნელად აღმოჩნდა გააკეთა. საშურაი, რაღაც თავის საქმეზე ამ დროს იკენოოს ტაძარში მოსული, თვალს არ აცილებდა მის ცხვირს, მაშინ როცა მასთან საუბარი არ ჰქონია და თან მეტად დამცინავი იერი არ შორდებოდა. თითქოს ეს არ კმაროდა, მორჩილმა ბიჭუნამ, სწორედ იმან, რომელმაც ოდესღაც მისი ცხვირი ბრინჯის ფაფაში ჩააგდო, გვერდით რომ ჩაუარა იმ დარბაზში, სადაც ქადაგებანი და სწავლანი წარმოითქმებოდა, თავდაპირველად თვალები ძირს დახარა, თითქოს სიცილის შეკავება სურსო, შემდეგ კი მაინც ვერ დაძლია თავი და ნაიფრუტუნა. სხვა დროს, მომუშავე ბერებს რომ დავალებას აძლევდა, ამჩნევდა, იქვე როგორ იწყებდნენ ხითხითს ისინი.

თავდაპირველად ბერმა ეს საკუთარი სახის შეცვლას მიანერა. მაგრამ ასეთი ახსნა თავისთავად, სინამდვილეში, ვერაფერს ხდიდა ცხადს... რა თქმა უნდა, მომუშავე ბერები და მორჩილი სწორედ ამ მიზეზით ხითხითებდნენ. თუმცა, ისინი სავსებით უწინდებურად იცინოდნენ, ეს სიცილი ახლა რაღაცით განსხვავდებოდა იმ დროთაგან, როცა ცხვირი ჩამოგრძობილებული ჰქონდა. ალბათ, უჩვეულოდ მოკლე ცხვირი უფრო სახალისო ჩანდა, ვიდრე ჩვეული გრძელი

ცხვირი მაგრამ ამის გარდა იყო, სხვა რამეც.

— არასდროს მანამდე ასე თავხედურად არ უტყინათ, — ბუტბუტებდა დროდადრო ბერი, როცა წმინდა წიგნის კითხვას სწყდებოდა და განზე ხრიდა მოტვლებილ თავს. ამ დროს ჩვენი ლამაზო დაბნეულად ამტერდებოდა ვიშვავხუს გამოსახულებას, იქვე რომ ეკიდა, იხსენებდა იმას, როგორი გრძელი ცხვირი ჰქონდა რამდენიმე დღის წინ და ფიქრობდა: „ახლა ვგავარ სილატაკეში ჩავარდნილ ადამიანს, რომელიც უწინდელ კეთილდღეობას მალავს...“ სამწუხაროდ, ბერს არ ეყო განჭვრეტის უნარი, რომ ჩამწვდარიყო, რა ხდებოდა.

...ადამიანის გულში ორი ურთიერთსაპირისპირო გრძნობა ბოგინობს. არ არის ქვეყნად კაცი, ახლობლის უბედურებას რომ არ განიცდიდეს. მაგრამ, საკმარისია, იმ ახლობელს როგორღაც საქმე გამოუსწორდეს, რომ ახლა უკვე გამოიწვიოს გრძნობა, თითქოს რაღაც არ კმაროდეს. ოდნავ გადამეტებით იმის თქმაც შეიძლება, ჩნდება სურვილი, კიდევ ერთხელ აკურვივოს თავი იმ ახლობელს ძველ უსამოყენებამში. უმალვე იბადება, მართალია, პასიური, მაგრამ მაინც მტრობა იმ ახლობლისადმი... ბერი ვერ იგებდა, რა მოხდა, მაგრამ ამის მიუხედავად განიცდიდა ნაცნობ ნუხილს, — უეჭველად იმიტომ, რომ ბუნდოვანად ამჩნევდა საეროთა თუ იკენოოს ბერთა დამოკიდებულებაში გარეშე დამკვირვებელთა ეგოიზმს.

და ბერს ხასიათი ყოველდღე უფუჭდებოდა. იგი ბრაზიანად ეჩხუბებოდა ყველას, ვინც თვალში მოხვდებოდა. საქმე, ბოლოს და ბოლოს, იქამდე მივიდა, რომ მისმა მონაფემაც კი, სწორედ იმან, ცხვირზე რომ უნამლა, დაიწყო ჩუმ-ჩუმად მითქმა-მოთქმა, რომ თითქოს ის, ბერი, სცოდავს რელიგიისადმი გულგრილობით. ბერი განსაკუთრებით ალაშვოთა არაფრის მაქნისი მორჩილის გამოხდომამ. ერთხელ, ფანჯრის მიღმა ძალიან ყვირს გაგონებზე გარეთ გავიდა და დაინახა, რომ მორჩილი იქნევს ორი ფუტი სიგრძის ჯოხს და დაარბენინებს ეზოში ბენგვაქუცულ მისავათებულ ძაღლს. კიდევ რა უჭირდა, მარტო რომ ედევნა! არა, დაარბენინებდა ცხვირს და თან მისძახობდა:

— აი, შენ, ცხვირიში! აი, შენ, ცხვირიში!

ბერმა ბიჭუნას ჯოხი წაჰკლიჯა და დასახეში გააფრთხებით სთხლია. ჯოხი ძველი ცხვირის დასაჭერი ფიცარი აღმოჩნდა.

ბერი სულ მეტად ნანობდა, ასე დაუნანებლად რომ დაიმოკლა ცხვირი.

შემდეგ დადგა ერთი ღამე. მზის ჩასვლიდან მალე ქარმა დაუბერა, და პავოდის სახურავქვეშ ზარების რეკა მომაბეზრებლად მიძრებოდა ყურებში. ამასთან კარგა ძალიანაც აცივდა, ამიტომ მსცოვან ბერს, ძალიან კი სურდა მოსვენება, მაგრამ ვერაფრით დაეძინებინა. ინვა თვალეგახელოდა და უცებ იგრძნო, რომ საშინლად მოექცა ცხვირი. თითებში შეეხო — ცხვირი გასიებოდა, თითქოს წყალმანკი შეჰყრიათ. როგორღაც გახურებულიც ჩანდა.

— საწყალი უსამართლოდ დაამოკლეს, ჰოდა, ავად შეიქნა, — ჩაიბუტბუტა ბერმა და მონივრით შეახო ხელი ცხვირს, როგორც ჰკიდებენ მასხვებზე ვევილებს ბუდას წინ საკურთხეველზე დასახეობად.

მეორე დილით, როგორც ყოველთვის, ადრიანად გამოეღვიძა. სარკემლში გაიხედა და დაინახა, რომ გინკოსა და ცხენისნაბლას ტაძრის ეზოში ღამით ფოთლები დასცვენოდათ და ეზო ისე ელავდა, თითქოს ოქროთი მოერთოთ. სახურავები თრთვილს დაეფარა. უიჟობანის ჯერ კიდევ სუსტ სხივებზე პავოდის მორთულობები ბრჭყვილებდნენ. ბერმა ძენტში, ღია სარკემლთან მდგარმა, ღრმად ჩაისუნთქა.

და იმ წუთს ისევე დაუბრუნდა რაღაც თითქმის მივიწყებული განცდა.

აღელვებულმა იტაცა ხელები ცხვირზე. ის, რასაც მისი ხელი შეეხო, არ იყო გულმინდელი დამოკლებული ცხვირი. ეს იყო უწინდელი გრძელი ცხვირი ხუთი-ექვსი სუნის სიგრძისა, ტუჩებსკვემით რომ ჩამოჰკიდებოდა ნიკაპამდე. ბერი მიხვდა, რომ გასულ დამეს მისი ცხვირი ძველ მდგომარეობას დაბრუნებოდა. და მაშინ მას საიდანღაც მზიარული შვების შეგრძნება დაუბრუნდა, ზუსტად ისეთი, როგორიც მაშინ განიცადა, როცა ცხვირი დაუშოკლდა.

— აი, ახლა კი მეტს ვეღარ დამცინებენ, — ნაიჩურჩულა ბერმა და დაგრძელებული ცხვირი შემოდგომის ქარს შეუშვირა.

თარგმნა სერგო ნურნუშიაძე.



ჯუბა ლებელი

შენ ხარ ჩემი თოვლისფერი თეთნულდი

მე ამ მთებს და ამ სალ კლდეებს ვეკუთვნი, შენ მწვერვალთა თეთრ დედოფალს ჰგავხარ, შენ ხარ ჩემი თოვლისფერი თეთნულდი, მე ვარ შენი ნისლისფერი შხარა!..

მოდინხარ და ენგურივით მოღვარავ, მე ზღვასავით გულგაშლილი გხვდები, ეს ზვირთები და ეს ზვრები რომ არა, ან ეს მთები, თოვლიანი მთები!..

ასე დიდი სიყვარული რომ არა, ვინ მონყევტდა ეკლებიან ვარდებს, მერე რა რომ ზოგჯერ ასე შორსა ვართ, მთავარია ერთმანეთი გვყავდეს!..

\*\*\*

ასე ტირიან მერე ნისლებიც, როცა მშობლიურ ქედებს ტოვებენ, სამშობლოს მხრებით ვერ ვეზიდებით, სამშობლო გულით დაგვაქვს პოეტებს!..

ყველა სტრიქონში მზე და სისხლია სხეულს სიტყვათა აზრით ვმკურნალობ, რატომ მიყვარხართ, ვერ ამიხსნია, შენ და სამშობლო, ასე უფალო?!..

\*\*\*

ჯვარს რომ გაივლი და მერე, სვეტიცხოველსაც გაჰხედავ, ჩემი სამშობლოს მთა-ველზე, უფალი ამონათდება!..

აქ პოეზია ნისლადა, მთის მწვერვალზე ჰკიდია, ჩემი სამშობლო, ღვთის მადლმა, დედამინაზე დიდია!..

\*\*\*

ჩვენ ვსაუბრობდით მაისის მზის ქვეშ, ჩვენ ვსაუბრობდით მშვიდად და დიდხანს, ხან დავეძებდით სათქმელის მიზეზს, ხან უპასუხოდ ვტოვებდით კითხვას... ჩვენ ვსაუბრობდით უბრალოდ ისე, ჩვენ ვსაუბრობდით ჩუმად და დიდხანს!..

ცხოვრება არის მინა და მტვერი, სიცოცხლე ჩვენი მდინარეს მისდევს, არავინ ბავშვებს არა ჰყავს მტერი, მტრები ჰყავთ უფრო ნიჭიერ დიდებს... ცხოვრება არის მინა და მტვერი, სიცოცხლე ჩვენი მზის სხივებს მისდევს!..

მდინარე მიდის, მდინარე მოდის, ხან არის ფონი, ხან არის ხიდი, ბალახის არა, სუნი მცემს ოდის, თივის და პაპის დანული გიდლის... მდინარე მიდის, მდინარე მოდის, მდინარეს ჩემსას არა აქვს ხიდი!..

შეგყურებ ნისლში გახვეულ ზეცას, მინაზე სისხლით გალენილ კალოს, ჩვენ ერთხელ ტანზე ღრუბლები გვეცვა, გეძებდი ყველგან ლამაზო ქალო... შეგყურებ ნისლში გახვეულ ზეცას, მინაზე სისხლით გალენილ კალოს!..

ჩვენ ვსაუბრობდით მაისის მზის ქვეშ, ჩვენ ვსაუბრობდით მშვიდად და დიდხანს, ხან დავეძებდით სათქმელის მიზეზს, ხან უპასუხოდ ვტოვებდით კითხვას... ჩვენ ვსაუბრობდით უბრალოდ ისე, ჩვენ ვსაუბრობდით ჩუმად და დიდხანს!..

\*\*\*

გაგიკვირდება და მაინც გეტყვი, გეტყვი, რომ ვიცი იმაზე მეტი, რაც მე არ უნდა ვიცოდე ალბათ!.. ვერ შევიყვარე ბოლომდე მტერი, თუმც ვზიდე ბევრი ჭუჭყი და მტვერი და ვლექავ პირზე მოდებულ ლაგამს!..

გუშინნინ თითქმის ცხრას აკლდა ხუთი, თითქოს სულ რაღაც ის ხუთი წუთი, მთელი ცხოვრების ტკივილად იქცა!.. შენ მალაატობდი, მეხვია მუმლი, შენ მალაატობდი ხორციით და სულით, მე კი მაშინაც მიყვარდი, ვფიცავ!..

და ყელს, რომელიც მიყვარდა ასე, და ბაგეს, და მკერდს, და ლამაზ თვალებს, ვილაც უცნობი კოცნიდა ბილნად!.. ტკივილი ჩემი საბნის ქვეშ ვმალე, აღარ გათენდა ეს ღამეც მალე, ოთახი ჩემი ცრემლებით წვიმდა!..

გამთენიისას, წუთებზე ექვსის, ინერებოდა როცა ეს ლექსი, შენ, დალილს თავი სხვის მკერდზე გედო!.. ვმარცვლავდი სიტყვებს, კანკალით ვწერდი, ხან ვსვამდი მძიმეს, ხან ვსვამდი წერტილს, ღმერთო, რა კარგი იყავი ერთ დროს!..

ბორის ბზაზა

აქ ახლოს საზღვარია, ქართველთა საფლავია, ვაჟკაცი ბიჭები წვანან... სამშობლო აბარიათ, ზედ მინა აფარიათ, მთვარე უჩირაღდნებთ ნკვარამს!..

საზღვართან მინდორია, ამაყად მიმოვივართ, არც კი ვიხედებით აქეთ... თითქოს და მშვიდობით ვართ, აქ სხვისი დიდგორია, ვაი, საქართველოს ასეთს!..

ტყეს მუმლი მოსდებია, საზღვართან სოფლებია, ჯერ კიდევ ქართული, ვაი... აქ სხვათა დოგმებია, გაშლილი დროშებია, ქართული არ ჩხავის ყვავიც!..

სათვალე მოიხსენით და ნახეთ მოსისხლენი, როგორ გვიბილწავენ ტაძრებს, ეს მთები როდინდელნი და ახლა მოვისფერნი, სხვათა ტყვეობაში ვტანჯეთ!..

ადექით, დავირაზმოთ, განვსაჯოთ, გავიაზროთ, მამულს მოვაშოროთ მტერი... რომ ვწვევართ გარდიგარდმო, ურჩხული დარბის ამ დროს და სასაფლაოებს ტკეპნის!..

აქ განა მინდორია, გორის გზა დიდგორია, იქეთ გაიხედეთ ხოლმე... ტრასაზე მიმოვქრივართ, ნატყვიარ-ჭრილობიან, ავტობანს ლიღინით ვტოვებთ!..

აქ ახლოს საზღვარია, ქართველთა საფლავია, ვაჟკაცი ბიჭები წვანან... ზედ მინა აფარიათ, სამშობლო აბარიათ, მთვარე უჩირაღდნებთ ნკვარამს!..

ანთეთ შუქი

ანთეთ შუქი, ასე მგონია, არავინაა ახლა სახლებში და ჩემი სულის მელანქოლია, ღამეს აფხიზლებს ნისლით გალემილს, დასაბამიდან ასე ყოფილა, არა ყოფილა კაცის საშველი!..

დასაბამიდან ასე ყოფილა, ადამიანი სად არ ყოფილა, ვინ მზეს და მთვარეს ჩამოყოლილა, ვინ ლეგა ღრუბლებს ამოყოლილა, მაინც ყველაზე რთული ოდიტგან, "ადამიანად ყოფნა ყოფილა!.."

დაასხით ღვინო, სისხლი შეველებო, სული ვუხსენო ჩემს დიდ წინაპრებს, ო, მინავე, ჩემო აუღებელო, ღმერთს გამობმული ჰყავხარ წრიაპზე, მე ზეცის მკვიდრი, აქ არ მეძებოთ, სტუმრად მოვედი დედამინაზე!..

მე ზეცის მკვიდრი, აქ არ მეძებოთ, იქ, ვარსკვლავეთში ჩემი სახლია, სამშობლოვ, ჩემო, უბერებელო, თვალს ვერ გისწორებ დიდი ხანია, გვერდში გედექი, როგორც შემეძლო, შენს გულში ჩემი ცრემლიც მარხია!..

უსწორმასწორო გზებზე ქროლვაში, საქებარია ისევ სიმართლე, მირბის, მიქრის დრო უბელო რაშით, მე დალილ ფეხებს ძლივსლა მივათრევ, გვირაბის ბოლო ისე შორს არის, დასალიერზეც არ ჩანს სინათლე!..

არ ჩანს სინათლე და არც ქადაგი, არ ჰყავს მრჩეველად ჟამს ამ უჟამოს, ზოგჯერ ისეა, ქარიც არა ჰქრის, დროს განაჩენი გამოუტანოს, ისეთი არის ჩემი ქალაქი, როგორც წვიმაში სველი უდაბნო!..

ანთეთ შუქი, ასე მგონია, არავინაა ახლა სახლებში და ჩემი სულის მელანქოლია, ღამეს აფხიზლებს ნისლით გალემილს, დასაბამიდან ასე ყოფილა, არა ყოფილა კაცის საშველი!..

\*\*\*

ახლა ხულოში თოვლი იქნება, სადაც ზაფხულში ცხენებს ჭედავენ, შენზე ფიქრები თოვლის ფიფქებად, გაყინულ ფანჯრებს შემოეჯაჭვენ!..

მე ბათუმიდან შენთან ამოვალ, ან ამოვყვები ზღვიდან თოლიებს, არ დაგეზაროს კარში გამოსვლა, ხელები ცეცხლზე გამათობიე!..

ქათქათა არის შენი მკერდივით, გადაპენტილი თოვლით მიდამო, შენს წინ ვიდგები მუხლმოდრეკილი, რომ შენთან ერთად შემოვიდამო!..

კვამლი აყვითლებს სხვენზე ლოლუებს, ორთქლი ედება მინებს ხორკლებად, დღეს კაცს საფიქრალს რა გამოუღვეს, სახეც რამდენი დაიხოკება!..

ისმის "გელინო" გაღმა სოფელში, მთვარის ნალივით მოჩანს თურქეთი, ცუდად მიხდება გული ყოველთვის, როცა დაკარგულ მამულს ვუცქერი!..

ახლა ხულოში თოვლი იქნება, სადაც ზაფხულში ცხენებს ჭედავენ, შენზე ფიქრები თოვლის ფიფქებად, გაყინულ ფანჯრებს შემოეჯაჭვენ!..

\*\*\*

დღეს წამოვიწყე ახალი საქმე, კვლავ შენზე ფიქრი მექცა მოტივად, ვზივარ ოთახში, ვწერ და ხვალ ამ ლექსს, როგორც ნიშნობის ბეჭედს მოგიტან!.. ის არ იქნება ვერცხლის, ოქროსი და არც ასხმული მარგალიტებად, კაზმული სიტყვის მიქროლ-მოქროლვის, გულში ნანართობი ლექსი იქნება!.. მენდე, ეს ლექსი უფრო გამძლეა, ყველა რკინაზე, ქვაზე, ალმასზე, მადლობა, დღეს რომ შენით სავსე ვარ და ეს ცხოვრება გამილაამაზე!..

პოეტაჟი

მხოლოდ პოეტს სტკივა გული, ლალს და მაინც დარდიანს, პოეტები სიყვარულის, ჯადოქრები არიან!..

პოეტს, მხოლოდ პოეტს ესმის, მამულს როგორ უშველოს, მინაზე დგას, თუმცა ზეცის, მხედარია უბელო!..

უჭირს ან თუ ულხინს რამე, დარდი, დავიდარაბა, გულში მალავს, გულის გარეთ, არაფერი არ გააქვს!..

პოეტი სულ პურიტანობს, არ სურს დიბა-ალმასი, თავის ქოხს და პურის კალოს, არაფერზე არ გაცვლის!..

ტკივა, თვალზე ცრემლი ვერ სდის, თუმცა სულში ქარია, პოეტები ნათელ სევდის, მეგობრები არიან!..

ქარში, მზეზე როგორც მტვერი, ან ტაძრებში სანთლები, აღდებია პოეტები, პატიმრები დარდების!..

მხოლოდ პოეტს სტკივა გული, უსმენს მწუხრის არიას, პოეტები სიყვარულის, ჯადოქრები არიან!..



როსტომ მიგრიაული - 80

80 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე როსტომ მიგრიაული. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ბატონო როსტომ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები ღრმა პატივისცემით მოგესალმებიან ღირსეულ შემოქმედს, მშობელი ქვეყნისთვის ბოლომდე დახარჯულ მამულიშვილს და გილოცავენ დაბადების 80 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა იმ გუნდს ეკუთვნით, რომელიც სიტყვით თუ საქმით ამტკიცებს, რომ ღვთისმშობლის ნილხვდომილი მინის ჭეშმარიტი მეცხოვნეა, ამ მინის მადლითა და მორიხით სულდგმულობს და სუნთქავს...

პროფესიით იურისტი და ისტორიკოსი ხართ და თქვენი ცხოვრების უმეტესი ნაწილი საქართველოს სამართალმცოდნეობაში მსახურობდით, მერე კი როცა სამშობლოს დასჭირდა, პოლიციის პოლკოვნიკი დაუფიცებლად ჩაებთ უთანასწორო ომებში და მკერდით იცავდით საქართველოს, ქართველი კაცის სახელსა და ღირსებას აფხაზეთსა თუ სამაჩაბლოში.

თქვენი მხედრული შემართება და ქედუხელობა თქვენზე პოეზიის თანამდევს სული გახდა...

თქვენი პოეტური ნათლობა 1961 წელს შედგა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“ გამოაქვეყნეთ პირველი ლექსი „საარაგოზე ნისლია“. მას შემდეგ თქვენი ლექსები და პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველს დაინტერესება გამოიწვია თქვენმა პოეტურმა კრებულებმა, ისეთებმა, როგორცაა „ნეტავი მთასა მალაღსა“, „სულის სამკვიდროში ცეცხლი მინთა“, „სხივი, მზეს გამოქცეული“, „როგორ მტკივნისარ, სამშობლო“, „საარაგოზე ნისლია“, „მთების სიმღერები“, „გულიდან ამოსატყეველი ლექსები“, „წინახალი აღმართები“, „სიყვარული გეფიცვობდი“... ამ კრებულებიდან ჩვენ გვესაუბრება ის შემოქმედი, რომელიც თვალნათლივ ხედავს, თუ რა საშინლად ბრუნავს წუთისოფლის კალი, როგორ ტრიალებს ბედისწერის ჩარხი, როგორ უახლოვდება თანდათან დედამიწა - ეს უმშვენიერესი ცისფერი პლანეტა იმ კომპარულ მორევს, საიდანაც თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელია. უცნაურ ქვეყანათა სამოთხეების მძებნელს კარგად გაქვთ გასიგრძელებული, რომ უმთავრესი სამოთხე თქვენს გვერდითაა, იმ მიწაზე, დავეთ აღმამებელი და შოთა რუსთაველი რომ დააბიჯებდნენ და ამიტომაც ასდის აქაურობას არაამქვეყნიური სურნელი, ღვთიური მორიხი რომა გაჯერებული, ამიტომაცაა, ყველაზე დიდი უბედურების დროსაც მაინც ამაყი და ქედუხეული ხართ, ქართველად და სწორედ საქართველოში რომ დაიბადეთ. ჭერბოში შემოდებული ხმლის მსურველებმა მოსვენებას არ გაძლეთ, არავითარ მქუხარებთ და ყველა - მტერსა თუ მოყვარეს შეახსენებთ, რომ ქართველთა ძლიერება თუ დაბარცხებაზე ფიქრი მეტისმეტად უმაღური საქმეა.

თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი მკერდში დაჭრილი ხოხობით მიუყვება ათწლეულებს და ის აგვისტოს ღამე, ის ცხელი ღამე ეზმანება, მშვირი მგელივით რომ ყმობდა და ძლიერი საკვირველს უხმობდა ბედისწერის უღრანებიდან...

ბატონო როსტომ! რამდენ ეროვნულ საქმეს შესჭიდებხართ. არჩეული ხართ არასამთავრობო კავშირის „ფშავის აღორძინება-განვითარების“ თავმჯდომარედ და თქვენი დამსახურებაა, რომ ტარდება სახალხო დღესასწაული „სანათობა“, რომ გმირი დედის - სანათას ძეგლი ამშვენებს ფხოვს, თქვენი დამსახურებაა, რომ არარტულ ელვისას ჩაუტარდა რესტავრაცია.

თქვენი ღვაწლი ღირსების ორდენით აღინიშნა - დამოუკიდებელი საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი ჯილდოთი.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს სამშობლოს სამსახურში დახარჯულ შემოქმედსა და მოღვაწეს, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და თქვენი ყველა სანუკვარი ოცნების განხორციელებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი



ვასილ ბესელია - 70

70 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ვასილ ბესელია. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ძვირფასო ბატონო ვასილ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები სიყვარულით მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ უნიჭიერეს, საკუთარი ხელნერის მქონე წარმომადგენელს და გილოცავენ დაბადების 70 წლისთავს.

თქვენი პოეტური დებიუტი 1978 წელს შედგა, როდესაც გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტი“ პირველი ორი ლექსი („ლიმილის ბიჭები“, „სურვილი“) გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ თქვენი ლიტერატურული ტექსტები - ლექსები, მოთხრობები, ნოველები სისტემატურად ქვეყნდება ქართულ სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

მართლაც რომ დიდებული პოეტი ბრძანდებით, ისეთი, რომლის პოეტურ ნააზრევთან ზირება მუდამ სიხარულს ანიჭებს მკითხველს. ამიტომაცაა, რომ თქვენი პოეტური კრებულები („წვიმიანი მისი“, „კარდოლექსები“, „ვიდრე იყავ და ვიდრე არა ხარ“) მკითხველთა მონრებებით და ინტერესით სარგებლობს. ამ კრებულების ლირიკული გმირი ჩვენი თანამედროვეა, ჩვენი მირიადი პრობლემით და სადარდელით სავე ყოველდღიურობის მემტანე, რომელმაც კარგად იცის, რომ კაცთა მოდგმის აბსურდული ბედის დავთრები უფლის განგებით დანისწულია, ისიც მოეხსენება, თუ როგორ უტყვს გრიგალები ჯმუხა ბერბუხებს, ქართველთა მოდგმის არსებობის ნიშანსეცეტებს, შეკფურებს, თუ როგორ წყდებიან მტრედების კლავიშები წვიმებით გალუმპულ კლავსინის. სწორედაც რომ წვიმებში სურს გადასახლება, რათა ჩამოირეცხოს წუთისოფლის მტვერი და ჭუჭყი, წვიმების რეკვიემია მისი მუდმივი თანამგზავრი, რადგანაც იცის, რომ სიცოცხლე წყლის ნაყვამ მხოლოდ, საცრით წყლის ზიდავ, ხოლო სიკვდილი - შეწერილი გადასახება, ისიც კარგად მოეხსენება, მუხლზე დაცემას ზეცად ამალელება რომ მოჰყვება ზოგჯერ. ბევრი რამის დანახვა შეუძლია, თუნდაც იმისა, თუ მტკიცად მხარზე როგორ უზის და მის ვეება მთავარ პეპელასავით, როგორ ცრის ჩუმი სენსუალის მლაშე წვეთები, ღვინოში ჩანვეთებული ერთი ცრემლით შეუძლია ქარიშხლების დატრიალება. დიდი სიყვარულიც შეუძლია და უკანასკნელი სიყვარულის მერმე მორჩილად ელოდება უკანასკნელ ღალატს...

თქვენი ლექსები თარგმნილია გერმანულ, ინგლისურ, უკრაინულ, რუსულ ენებზე. თავად კი ჩინებულად თარგმნით საბოლოო იმპერიის მსხვერპლის სერგეი ესენინის ლექსები.


აგტორი ხართ ნოველების კრებულისა „წინიყურე“ რომ შვეია და თქვენი პოეზიის ორგანულ გაგრძელებად გვესახება.

ტიქნიკური ინტელიგენციის წარმომადგენელს სხვადასხვა დროს გიმუშავიათ მანქანათმშენებლობისა და ელექტროტიქნიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის განყოფილების გამგედ, გაერთიანება „საქკეპბანქანის“ ინჟინერ-მექანიკოსად, თბილისის ექსპერიმენტული ქარხნის დირექტორად... ბოლო წლებში მუშობდით სენაკის მუნიციპალიტეტის განათლების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსად და ამ უმშვენიერესი კუთხის სულიერი განვითარების უკეთილმოძილეს საქმეს ემსახურებოდით. არაერთი ლიტერატურული კონკურსის ფურის ნევირი ყოფილხართ. ამჟამად კი ლიტერატურული კონკურსის „ქუჯის“ შეუცვლელი თავმჯდომარე ცდას არ აკლებთ, რათა ეს კონკურსი ამართდებდეს ჩვენი დიდი წინაპრის, საქართველოს ერთიანობის ერთ-ერთი მესაძირკვლის ქუჯის სახელს.

თქვენი მრავალწლიანი ღვაწი და რუდუნება ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ვალაკტიონ ტაბიძის, ჯემალ აჯაიშვილის, რევაზ ინანიშვილის, თამაზ ნივინიძის სახელობის, „საგურამოსა“ და „მოღვაწის“ პრემიები. სულ ახლახან მათ რიცხვს ილია ჭავჭავაძის პრემია და ოქროს მედალი შეემატა. არჩეული ხართ სენაკის საპატიო მოქალაქედ.

ჩვენი ერთობა! კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს ძვირფას თანამოქალაქე, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი



გიორგი ეკიზაშვილი - 80

80 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე გიორგი კარლოს ძე ეკიზაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ჩვენი საყვარლო ბატონო გიორგი!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულითადად მოგესალმებიან ქართული სამწერლო ოჯახის ერთ-ერთ უღირსეულეს წარმომადგენელს, მრავალმხრივ ნიჭიერებით გამოჩენულ შემოქმედს და გილოცავენ დიდმნიშვნელოვან თარიღს თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 80 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 55 წლისთავს.

1968 წელს თსუ ახალგაზრდა მწერალთა წრის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში“ გამოქვეყნდა დიდი ფრანგი მწერლის ალბერ კამიუს „სტუმრის“ თქვენური თარგმანი. მას შემდეგ ქართველ მთარგმნელთა იმ რაზმში მოიაზრებით, ვინც მწერლობის ამ ურთულესი ფანრის თანამედროვე ეროვნული სკოლის სახეს წარმოადგენს. თქვენი მხატვრული თარგმანები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები, ლექსები და ნოველები პერიოდულად ქვეყნდება სალიტერატურო ჟურნალ-გაზეთებში, გამოდის ცალკე წიგნებად.

აონლეულებია, რაც ქართველი მკითხველისთვის ჭეშმარიტ ჩიჩრონედ იქცეით იმ ზღაპრული სრა-სასახლეებითა და კომპებით სავეს საოცარ სამყაროში, რასაც დიდი ფრანგული მწერლობა პეკია სახელად ყოველივე ეს შევადლებინათ ფრანგული ენის უბედლო ფლობამ. რაფინირებულმა ლიტერატურულმა გემოვნებამ და ალუმპასა და ფან-ბატისტ მოლიერის, ზომარესა და ალბერ კამიუს, მორის მეტერლინისა და შარლ ბოდლერის, ალენ რობ-გრის და გი დე მოპასანის, ერე ბაენისა და ანდრე მორუას, ფრანსუაზა სავანისა და მიშელ უელბეკის, სამუელ ბექეტისა და ფან-პოლ სარტრის, ანტუან დე სენტ-ეტიენურისა და დანიელ პენაკის, სვავია და სხვათა შემოქმედების ცალკეული ნიმუშები. ამ თარგმანებმა ცხადყო, რომ თქვენი სახით ქართულ მთარგმნელობით სკოლას ბრწყინვალე მავსტრო ჰყავს, რომელსაც ძალუძს ძირისძირამდე ჩაყვეს სათარგმნი მასალის ნიუნსებას, ეპოქის სულს, ნაწარმოებთა გმირების ხასიათს და ისინი ისე აქციოს ქართული ლიტერატურის ნაწილად, რომ არ დაუკარგოს დედნისული ხიბლი და სურნელება.

ფრანგულად თარგმნით ქართველ მწერლებს და როგორც ჰოვარდსა და სტენდალის სამშობლოდან მოგვდის ხმები, ფრანგი მკითხველის დიდი ინტერესი გამოიწვია თქვენს მიერ ამტკიცებულმა რევაზ გაბრიაძის, ლია სტურუას, თამაზ ბიბილურისა და სხვა ქართველ შემოქმედთა ცალკეულმა ნაწარმოებებმა.

თქვენი დიდებული მთარგმნელობითი საქმიანობის ფონზე თითქოს ერთგვარად ჩრდილონით მოექცა თქვენზე პოეტური ნააზრევი. არადა, ვინც ხელში აიღებს თქვენს პოეტურ კრებულებს („ტრამალები“, „ბილიკები“), მყისვე დარწმუნდება, რომ ჭეშმარიტ პოეზიას ეზიარა, ისეთს, დღემდე რომ ელოდება მისი სიღრმეების მწვდომელ კრიტიკოსებს...

არაერთი სამეცნიერო თუ ლიტერატურულ-კრიტიკული წერილის აგტორი ხართ, რომლებშიც დაჭამიკებით იკვლევთ კამიუს, მეტერლინის, დოსტოევსკის თუ სხვა კლასიკოსთა შემოქმედებას. აონლეულებს განმავლობაში ჩვენს ალმა-მატერში - თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში კითხულობდით ფრანგული მხატვრული ლიტერატურის კურსს.

თქვენი მრავალწლიანი აგრევიგად მნიშვნელოვანი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა. მონიჭებული გაქვთ ივანე მაჩაბლის, გეორგი ქიქოძის(2), მიხეილ თუმანიშვილის, „საბას“ სახელობის პრემიები. ცალკე უნდა აღინიშნოს ის უპრესტიჟულესი ჯილდოები, რომლებითაც საფრანგეთმა აღნიშნა თქვენი ღვაწი. ჯერ აკადემიური პალმის რტოს ორდენის ოფიცრის ნიშნად ნიშნაქვს, მერმე კი - იმავე პალმის რტოს ორდენის კომანდორის უმაღლესი რანგის მფლობელიც გახდით.

ბატონო გიორგი! გვახარებს, რომ ხანდაზმულობაც ვერარას გაკლებთ. სწორედ ბოლო წლებში თარგმნით ბრწყინვალედ ალბერ კამიუს ბოლო დაუმთავრებელი რომანი „პირველი ადამიანი“, ფრანგული ლექსებისა და პროზის დიდ კრებული „შორეული ხმები“, ფრანსუა კოტინის ნოველებისა და ლექსების კრებული „რით არ ვარ ქართველი“ მტკიცედ გვაწამს, რომ კვლავაც ჭაბუკური ენერგიით გააგრძელებთ სამწერლო მოღვაწეობას.

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს გამოჩენულად საინტერესო და მნიშვნელოვან შემოქმედს. დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი



თინა შიოშვილი - 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი მწერალი, ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე თინა იოსების ასული შიოშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია: ქალბატონო თინა!

ჩვენი ძვირფასო თანამოქალაქე! საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ჩინებულ შემოქმედსა და მეცნიერს, ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთ უბადლო ქომბაგსა და მოამბაგს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თქვენი პირველი თქვენს ცხოვრებაში - დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

დაიხ, ზუსტად ნახევარი საუკუნეა, რაც გრძელდება თქვენი საინტერესო და მნიშვნელოვანი შემოქმედებითი საქმიანობა. ზუსტად ნახევარი საუკუნის წინ, 1973 წელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრის ლიტერატურულ ალმანახ „პირველი სხივის“ მე-9 ნივთს გამოქვეყნდა თქვენი პირველი თქვენი „ამირანიანის“ მოტივი გურულ მითოსში“ და მას შემდეგ გატაცებით ირკვევთ ქართულ ფოლკლორს, გასაღებს რომ წარმოადგენს ქართული სულიერების, ქართველი კაცის რომის უკიდვანო მღვიმეებისა.

ავტორი ხართ მონოგრაფიული შინაარსის მქონე წიგნებისა, როგორცაა „სტუმარი-მასპინძლობა ქართულ ფოლკლორში“, „იესო ქრისტე ქართულ ფოლკლორში“, „თამარ მეფე ქართულ ფოლკლორში“, „ილია ჭავჭავაძე და ქართული ხალხური სიმღერა“, „შავშური ფოლკლორი“, „კლარჯული ფოლკლორი“, „თედო სახოკიას ფოლკლორისტიკური მოღვაწეობა“, „ქართული ფოკლორის ზნეობრივი სამყარო“ (2 ნივთი), „ტაოური ფოლკლორი“, „მუშავრების ფოკლორი“. ამავე დროს თანაავტორი ბრძანდებით ისეთი მნიშვნელოვანი კრებულებისა, როგორცაა „ქართული მუსიკები თანამედროვე კონტექსტში“, „შავშური“, „კლარჯეთი“, „სარფი“, „მაჭახლელო მუშავრები“, „ტაო“, „მარადიდი“, „ქართული ზეპირსიტყვიერება“. შემდგენელი ხართ უაღრესად საინტერესო წიგნებისა („ქართული ხალხური მუსიკები“, „ქართული გამოცანები“, „ვინც ამას ვერ გამოიცნობს“, „წყველის კრებული“).

ყოველივე ამან, თქვენმა დაუცხრომელმა და მუხლჩაუხრებლმა ძიებებმა ქართული ფოლკლორისა, მითოლოგიისა, ქართველოლოგიისა, - დამსახურებული აღიარება და პატივისცემა მოგატანათ, როგორც სამეცნიერო წრეებში, ისე მკითხველთა ფართო მასაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი მართლაც რომ ხელხვაიანი მთარგმნელობითი საქმიანობა. თქვენი თარგმანებით გაეცნო მკითხველი ავათა კრისტის („ბრალდების მონქი“, „პრემიერ-მინისტრის მოტაცება“), მიხეილ რომის („ოთხი პევედრა ნიკიტა ბრუმოვთან“), იაკობ ეკერის („ბიბლიური ისტორია ყრმათათვის“), ლიონ ფოხტანგერის („მოსკოვი - 1937“), ვლადიმერ ვისოცკის („მე დავბრუნდები“, ხასან ჰელიმოშის („ლექსები“) ნაწარმოებებს, უილიამ შექსპირის მე-12 სონეტის ვარიაციებს... საყოველთაო მონივნება ხედა წილად ბოლო დროს გამოცემულ თქვენი თარგმანების კრებულ „სპეკალს“, რომელშიც დაიწვია მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსების (მარ ხაიამი, საადი, შავეზი, რუმი, პეტრარკა, ზოკაო, გოეთე, შიუგო, დიკენსონი, აპოლინერი, იანკა კუპალა, შუმინი, მაიაკოვსკი, სევერიანი, ახ-მატოვა, ესენინი, ბროდსკი...) რჩეული ნაწარმოებებმა.

საყოველი საზოგადო მოღვაწე ხართ სხვადასხვა დროს მუშობდით თსუ ფოლკლორის კათედრის ლაბორანტად, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ნამყვან მეცნიერ-თანამშრომლად, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის შუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის ფოლკლორის სექტორის ხელმძღვანელად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრულ პროფესორად. მუშობდით და ყველას, თქვენს გარშემო მყოფს საუცხოო მაგალითს აძლევდით სამშობლოს უანგარო ფრმსახურსა, უებარო პროფესიონალიზმისა...

ქალბატონო თინა! კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს საიყვარულ კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და კვლავპარივით წვას მშობელი ქვეყნის საკურთხველთა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

